# სარბიელი

სპორტული გაზეთი | შაბათი 22 აპრილი 2000 №75 (1097) | ფასი 50 თეთრი


ევროლიგა. ოთხთა ფინალი

მერაბ რატიშვილი სალონიკიდან



# დაივიწყეთ ევროლიგა!

## ფიბამ სუპროლიგა მოიგონა

ოთხშაბათს, ფინალის წინა დღეს, ფესახი იყო, ებრაელთა რელიგიური დღესასწაული. ათენის „პანათინაიკოსის“ ებრაელმა გამთამაშებელმა ოდედ კატაშმა თავის მწვრთნელს, იუგოსლავიელ ჟელკო ობრადოვიჩს სთხოვა, იქნებ ცოტა ხნით ჩემს ხალხთან გამიშვა, ამ დღესასწაულს თელ ავივის „მაკაბისთან“ ერთად ალვნიშნავო. კატაში, მოგეხსენებათ, ამ სეზონამდე სწორედ „მაკაბიში“ თამაშობდა. მართლმადიდებელმა ობრადოვიჩმა დართო ამის ნება კალათბურთელს და კატაშმა რამდენიმე საათი თავის ხალხთან, მაკაბელებთან გაატარა... მეორე დღეს კატაში „პანათინაიკოსის“ გამარჯვების და „მაკაბის“ დამარცხების ერთ-ერთი მთავარი შემოქმედი გახდა.

„პანათინაიკოსმა“ ევროლიგა მოიგო, მეორედ არსებობის მანძილზე (პირველად 1996 ნელს). მოიგო ღირსეულად, ისე, როგორც ფავორიტს და დიდ გუნდს ეკადრება. „პანათინაიკოსის“ სიძლიერეს ვერც „მაკაბის“ მწვრთნელმა პინი გერშონმა აუარა გვერდი, თუმც პრესკონფერენციაზე მის ნაუბარში ცოტა წუწუნისმაგვარიც გაისმა: „პირველ რიგში იმას ალვნიშნავ, რომ ჩვენ ევროპის მართლაც უძლიერეს გუნდთან წავაგეთ. „პანათინაიკოსი“ სეზონის დასაწყისიდანვე ფავორიტი იყო. მე უკმაყოფილო ვარ იმ გზით, რომლითაც წავაგეთ. არ მინდა, წაგება მსაჯებს გადავაბრალო, მაგრამ თავად განსაჯეთ: ჩვენ 34 პერსონალური ჯარიმა მოგვცეს, „პანათინაიკოსს“ — 20. „მაკაბიმ“ 18 საჯარიმო ესროლა, ათენის გუნდმა — 40. ამით იმას ვამბობ, რომ ამნაირმა მსაჯებმა ევროლიგის ფინალი არ უნდა განსაჯონ.“

იხილეთ მეთხუთმეტე გვერდი

# ნუ ღელავ, რატი, შენ ითამაშებ!

## დღეს მიდლსბროსთან ალექსიძე შეიძლება ჩელსის ძირითადში გამოჩნდეს

დღეს 21 წლის რატი ალექსიძეს შანსი აქვს, გახდეს მეოთხე ქართველი, რომელსაც ევროპის ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ ეროვნულ პირველობაზე — ინგლისის პრემიერლიგაში უთამაშია. აქამდე ეს პატივი ქართველთაგან გიორგი ქინქლაძეს, თემურ ქეცბაიას და მიხეილ ყაველაშვილს ჰქონდათ.

როგორც „სარბიელმა“ გაუწყათ, ჯანლუკა ვიალიმ, მიუხედავად იმისა, რომ ალექსიძეს ჩემპიონთა ლიგაში თამაშის უფლება არ ჰქონდა, იგი ბარსელონაში, „კამპ ნოუზე“ მაინც იახლა და ეს ქართველისთვის გამოცდილების შეძენის სურვილით ახსნა.

„ჩელსი“ ლონდონში ოთხშაბათს, დილის 5 საათზე დაბრუნდა. მერე რატიმ გუნდთან ერთად ივარჯიშა, ხუთშაბათს კი ქართველმა პირველად ითამაშა „სტემფორდ ბრიჯზე“. აქ „ლურჯების“ სარეზერვო გუნდმა „ქოვენთრის“ დუბლები მიიღო და უგოლოდ დაუზავდა — 0:0. რატიმ, მიუხედავად იმისა, რომ დაღლილი და უძინარი იყო, 90 წუთი გაატარა მინდორზე და ჰოლანდიელ მარიო მელხიოტთან ერთად საუკეთესოდაც მიიჩნიეს.

შეხვედრას ჯანლუკა ვიალიც დაესწრო. რა მოხდა ამის შემდეგ, თავად რატის მოვუსმინოთ, რომელსაც წუხელ ლონდონში დავურეკეთ:

— ვიალიმ თამაშის შემდეგ გამიხმო და ლამის ნახევარ საათს მესაუბრა. ჯერ მითხრა, უძილობამ და მგზავრობამ ხომ არ გადაგღალაო. ჩემი ფსიქოლოგიური მდგომარეობითაც დაინტერესდა. ძალიან კმაყოფილი ვარ შენით, ზოგიერთები რეზერვში თამაშს უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან, შენ კი უკვე სერიოზულ დონეს მიაღწიე. ეს ძალიან მახარებს. ბარსელონაშიც იმიტომ წაგიყვანე, რომ მინდა, გუნდს კარგად შეეჩვიო და თავს სრულუფლებიან ჩელსელად გრძნობდე, დიდი ოჯახის წევრი ხარო. ძირითად გუნდში თამაშზე მითხრა. არაფერი სანერვიულო არ არის, მალე ითამაშებ, შენით კმაყოფილი ვარ. აგერ, ამბროზეტი ერთი წელია გუნდშია და ძირითადში მხოლოდ წინა ტურში გამოჩნდაო.

გუშინ კი ლონდონის „ივნინგ სტანდარტმა“ გაავრცელა ცნობა, რომ დღეს, აღდგომის წინა დღეს, „ჩელსის“ ძირითად გუნდში შედგება ორი დებიუტანტის, 21 წლის ქართველი ფორვარდის რატი ალექსიძისა და 24 წლის ჰოლანდიელი მარიო მელხიოტის დებიუტი. ეს უკანასკნელი ლონდონში 1999 წლის ივლისში ამსტერდამის „აიაქსიდან“ თავისუფალ აგენტად გადავიდა. ძირითად გუნდში ასევე შეიძლება ვიხილოთ რეზერვის მეკარე კარლო კუდიჩინი. „ივნინგ სტანდარტმა“ ეს ინფორმაცია „ჩელსის“ მთავარი შტაბ-ბინიდან მიიღო. „ლურჯების“ შემადგენლობის ასეთი განახლება იმან გამოიწვია, რომ „კამპ ნოუზე“ დაშავდა ესპანელი მცველი ალბერტ ფერერი, ხოლო სამშაბათის ანტიგმირი ნიგერიელი სელესტინ ბაბაიარო და ლიბერიელი ჟორჟ ვეა ეროვნულ ნაკრებებში არიან გამოძახებულნი. საშუალო დონის „მიდლსბროსთან“ ასეთი შემადგენლობის გაყვანა იმითაც არის გამოწვეული, რომ აღდგომის შემდეგ „ჩელსის“ ორი დღის ინტერვალით ორი უმძიმესი შეხვედრა ელის „მანჩესტერ იუნაიტედთან“ და „ლივერპულთან“.



ჯანლუკა ვიალი რატი ალექსიძეს: მე შენით კმაყოფილი ვარ

დღევანდელი თამაში „სტემფორდ ბრიჯზე“ თბილისის დროით საღამოს 7 საათზე დაიწყება. ალექსიძის დებიუტს პრემიერლიგაში მოუთმენლად ელის თბილისის „დინამოც“, რომელიც ინგლისური კლუბიდან საკომპენსაციო თანხას მას შემდეგ მიიღებს, რაც ალექსიძე „ლურჯების“ ძირითადში რამდენჯერმე გამოჩნდება. კიდევ ერთი, დღეს „ჩელსი“ ახლებური დიზაინის მაისურებით გამოვა, რომელშიც ყვითელი ფერი სჭარბობს.

სიმონ მენაბდე

# დინამო თუ სენსაცია?

საქართველოს 11 ჩემპიონატი — 8 ტური

| «ა» ზონა, 22 აპრილი, შაბათი | «ბ» ზონა, 22 აპრილი, შაბათი |
|---|---|
| ვიტ ჯორჯია — დინამო | სამგურალი — თსუ |
| კოლხეთი — ტორპედო | გორდა — არსენალი |
| იბერია — ბათუმი | მერანი — თბილისი |
| დილა — სიონი | ხობი — ლოკომოტივი |

ეროვნულ ჩემპიონატში ისეთი რა უნდა მოხდეს, კაცმა გაიკვირვოს, მაგრამ 22 აპრილი შესაძლოა გარდამტეხ დღედ იქცეს.

დღეს უეჭველად გაივსება ფოთის „ფაზისი“ და მცხეთის „არმაზი“.

დღეს გამოჩნდება, ვინ არის ჩემპიონობის ღირსი.

დღეს მეთერთმეტე ეროვნულის უპრინციპულესი მატჩებია: „კოლხეთი“—„ტორპედო“ და „ვიტ ჯორჯია“—„დინამო“. ქუთაისელებს ძალუძთ, ჩემპიონობა დღემდე ყველაზე მეტად მიიახლოვონ, ვეტერინარებს შეუძლიათ, აქამდე გაუგონარი სენსაცია გამოაცხონ.

აი, ესაა მოსალოდნელი დღეს, თუმც არ არის გამორიცხული, ყველაფერი უკუღმა შეტრიალდეს. მაშინ „დინამო“ ისევ იჩემპიონებს, ხოლო „კოლხეთს“ ევროსარბიელისკენ გაეხსნება გზა.

იხილეთ მეორე გვერდი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს 11 ჩემპიონატი მეორე ეტაპი — 8 ტური — ესტონსი

# ქელეხი თუ შამპანური?

დღეს ფოთსა და მცხეთაში, ისევე, როგორც მთლიანად ეროვნულ ჩემპიონატში, ძალიან ჩამოცხება. პაპანაქება სულ ცოტა 30 მაისამდე გასტანს და ამ ხნის მანძილზე პირველჯგუფელები აგრილებასა და შვებას ტყუილუბრალოდ დაელოდებიან.

არა, სინოპტიკოსობაზე თავს ნამდვილად ვერ დავდებთ, უბრალოდ, დღეს ეროვნული გათამაშების დასკვნითი ეტაპის მეორე წრე იწყება.

რთული და დაძაბული იქნება უახლოესი ერთი თვე. ამის შემდეგ ზოგს სამხიარულოდ და საშამპანუროდ წაუვა საქმეები, ზოგიც, ალბათ, საქელეხოდ და თავის სატირლად გაემზადება.

შამპანურსაც და ქელეხსაც ხარჯი უნდა. ბევრს ამის შესაძლებლობა გააჩნია, ბევრსაც... ისე, ერთიც სათქმელია, შამპანურს რისკიანი ხალხი სვამს და ეროვნულ ჩემპიონატსაც ის მოიგებს, ვინც პირველი გარისკავს. უამისოდ არაფერი გამოვა, ცოტა ძნელად გადასადგმელი ნაბიჯია, მაგრამ დავით ყიფიანს, ოთარ კორღალიძეს, სერგო კოტრიკაძეს და ჯანი კარნევალის მაინცდამაინც მრავალფეროვანი არჩევანიც არ დარჩენიათ.

მაშ ასე, მეორე წრე იწყება.

დღეს, ბოლოჯერ ახალ გათამაშებამდე, ქუთაისის „ტორპედო" თავის ქომაგებიანად ფოთს და „კოლხეთს" ეწვევა.

ბოლო ერთი წლის მანძილზე რიონისპირელებმა, სადაც კი ბურთი ააგდეს, იქ გაამწარეს ზღვისპირელები. ფოთელებს „ტორპედოსთან" მოგება ენატრებათ, მაგრამ ჯერჯერობით არაფერი გამოსდით. „კოლხეთს" დღეს ეძლევა შანსი. ტყებუჩავამ და მისმა შეგირდებმა უნდა დაამტკიცონ, რომ „ბათუმთან" ამასწინანდელი გამარჯვება მხოლოდ წუთიერი აფეთქება არ ყოფილა.

„კოლხეთი" მადაზეა მოსული, მაგრამ მეტოქედ ჩემპიონობაზე დაგეშილი და პირველობას დამშეული „ტორპედო" ჰყავს. მასპინძლები უძლიერესი შემადგენლობით გამოვლენ, სტუმრები კი ერთ-ერთ წამყვან მოთამაშეს დავით ჯანაშიას მოისაკლისებენ. დათომ პირველი წრის ბოლო მატჩში გაფრთხილება მიიღო, ჯამში სამი ყვითელი ბარათი დაუგროვდა და საკუთარ კლუბს მხოლოდ ქომაგობითღა თუ გაამხნევებს.

კიდევ ის არის საკითხავი, ითამაშებს თუ არა გიორგი გოგიაშვილი. „ტორპედოს" ცენტრალური ნახევარმცველი ძირითადი შემადგენლობიდან მეტად უცნაურად გაქრა. მისი ტრავმის შესახებ არაფერი შეგვიტყვია. დავით ყიფიანსა და გოგიაშვილს შორის უთანხმოებაზეც თითქმის არაფერი თქმულა, თუმც რაღაც რიგზე რომ არ გახლავთ, ფაქტია.

თუ დღეს „ტორპედომ" მოიგო, მაშინ სანუკვარ მიზანს მეტად მოიახლოვებს, არადა... „კოლხეთმა" თუ იძალა, „ევროპაზე" ფიქრს რეალობად აქცევს.

ამათ დაპირისპირებაში ფრე ის შედეგია, რომელიც არც სტუმარს ესიამოვნება და მასპინძელსაც დაალონებს. ფრე დალუპვის ტოლფასია, ასე რომ, ან „ტორპედო", ანაც „კოლხეთი".

მცხეთაში „ვიტ ჯორჯია" — „დინამოა". ჩემპიონატის დასკვნით ეტაპზე მხოლოდ ეს ორი გუნდია დაუმარცხებელი. ვნახოთ, ვინ იმარჯვებს.

ახალგაზრდა ვეტერინარები ძალიან გაუთამამდნენ ჩემპიონებს. „ეროვნულზე" კინაღამ წააქციეს მრისხანე მეტოქე და რაც იქ ვერ გაახერხეს, იმას მცხეთაში აპირებენ.

„ვიტ ჯორჯია" გამალებით ემზადება, მაგრამ სტუმარს მაინც კაცნაკლული დაუხვდება. დღეს გუნდის კაპიტანი გიორგი ყიფიანი ვერ ითამაშებს. მიზეზი „ტორპედოსთან" გასულ ტურში მიღებული ყვითელი ბარათია.

„დინამოსთვის" საქმეები ისე აეწყო, რომ ყველა მატჩი გადამწყვეტია. გულმოცემულ „ვიტ ჯორჯიასთან" სტუმრობა სახუმარო საქმე სულაც არ გახლავთ. ამიტომ კორღალიძეს ერთი დიდი საფიქრალი გაჩენია. რა უნდა ქნას მწვრთნელმა, გამარჯვებისთვის ვეტერანებს ენდოს თუ ახალგაზრდა მასპინძლებს თავისი ახალგაზრდები დაუპირისპიროს? თავისი საქმისა კორღალიძემ უკეთ იცის, მაგრამ ცხადია, ერთი მცდარი ნაბიჯი მთელ საქმეს წაახდენს.

„ვიტ ჯორჯიასთვის" მთავარია, არ წააგოს, „დინამომ" კი აუცილებლად უნდა მოიგოს. ამის გათვალისწინებით მცირე უპირატესობა მასპინძელთა მხარესაა, თუმც საბოლოოდ ბევრსაც არაფერს ნიშნავს.

„კოლხეთი" — „ტორპედო", „ვიტ ჯორჯია" — „დინამო"! ამ ორი მატჩის საბოლოო შედეგი მსაჯების — თამაზ ლაცაბიძისა და მერაბ მალაღურაძის აუღელვებელ და ობიექტურ განსჯაზეც იქნება დამოკიდებული.

ჩვენ თამაზ ლაცაბიძის ნამსაჯი „კოლხეთი" — „ტორპედოც" გვახსოვს და მერაბ მალაღურაძის „ვიტ ჯორჯია" — „დინამოც". ბევრი რამ იყო მაშინ სადავო და, გულწრფელად ვამბობთ, არც გვსურს, დღეს რამემ დაღი დაამჩნიოს ამ მართლაც უპრინციპულეს მატჩებს. შეცდომები ზედმიწევნით დაითვლება და არავის ეპატიება.

კიდევ ერთი, სასიცოცხლო მნიშვნელობის მატჩი დღეს სამტრედიაში ჩატარდება. სასიცოცხლო „ბათუმისთვის", თორემ სოსო ფრუიძის ახალგაზრდულ „იბერიას" სანერვიულო ბევრი არაფერი აქვს.

იმედია, „ბათუმს" ჩავარდნისა და დაბნეულობის კვირეულმა გაუარა. დროა, კარნევალის შეგირდებმა ის თამაში აჩვენონ, რომლის მნახველიც მათ ჩემპიონობას უწინასწარმეტყველებდა.

ალბათ, „ბათუმი" მოიგებს. თუ ვერა, მაშინ ზღვისპირელებს ჩემპიონატში ბრძოლაზე ხელი აუღიათ და თასის მოპოვება დაუსახავთ მიზნად. ეს ამბავი კი ვერაფრით გაახარებთ რევაზ ძოძუაშვილსა და „ლოკომოტივის" თავკაცებს. რკინიგზელთა ბედი, ნაწილობრივ დღეს, სამტრედიაში გადაწყდება.

გორში „დილას" ბოლნისის „სიონი" ესტუმრება და კოჭლაშვილის დამოძღვრილებს შესაძლებლობა ეძლევათ, გამარჯვების გემო გაიხსენონ. „დილას" დასკვნით ეტაპზე ჯერ არ მოუგია და ეს იქნებ დღეს მოახერხოს.

„სიონს" თამაშზე ნაავადმყოფარი მწვრთნელიც გაჰყვება. სპარტაკ არჩვაძე ჯერ გრიპმა შეაწუხა, მერე გულმა შეუტია და ბოლნისელებიც გასულ ტურში უმწვრთნელოდ ეთამაშნენ „იბერიას".

დიდი მნიშვნელობა არა აქვს, „დილა" მოიგებს თუ „სიონი". ესენი ჩემპიონატში, ფაქტობრივად, არაფრისთვის თამაშობენ და...

„ბ" ზონისთვისაც მოვიცალეთ. საქელეხოდ თუ ვინმეს აქვს საქმე, სწორედ აქ. რვიდან ოთხი ზედმეტია და იმ ოთხიდან ერთი უკვე ცნობილია — „ხობი".

ხობელებს ვერავინ და ვერაფერი უშველით. ეს ყველაზე უკეთ თავად უწყიან და თითქმის არც იბრძვიან.

დღეს სენაკში „ლოკომოტივი" მოიგებს და „მერანთან" ერთად კიდევ უფრო გაიმყარებს პოზიციებს.

ავჭალელები, ალბათ, „თბილისს" გადათქერავენ მშობლიურ „სინათლეზე", ხოლო რუსთაველი „გორდა" დედაქალაქურ „არსენალს" წირვას გამოუყვანს.

დღეის შემდეგ, არ არის გამორიცხული, აწ უკვე გავარდნილ „ხობს" „თბილისი" და „არსენალი" შეუერთდნენ. ორივე თითქმის უპატრონო და უშანსოა. ორივეს მზე, როგორც ჩანს, მალე ჩავა.

აი, რა მოხდება წყალტუბოში, ძნელი სათქმელია. „სამგურალს" გადარჩენის შანსი კიდევ აქვს და ამისთვის გამწარებულიც იბრძვის, მაგრამ, აბა, თსუ-ს ვკითხოთ, თუ სურს, საქმე სამარჩიელოდ და თავში საცემად გაიხადოს.

„სამგურალს" ახლა თუ ფეხი წაუცდა, მერე პირველი ჯგუფისკენ ვერაფერი მოაბრუნებს. ასე რომ, წყალტუბოელები არაფერს დათმობენ, ისევე, როგორც ბოლო დროს მოძლიერებული თსუ.

ფეხბურთის მოყვარულებს კი ერთ რამეს ვურჩევდით. თუ ეროვნული ჩემპიონატის მატჩები მოგენატრებათ და რომელიმეს ხილვას მოისურვებთ, მაშინ დასავლეთელებმა ფოთსა და წყალტუბოში (ადგილმდებარეობის მიხედვით) წასვლა არ დაიზაროთ, ხოლო აღმოსავლეთელებისთვის მცხეთა დიდებული ქალაქია, იქ ფეხბურთი გაჩაღდება...

**მამუკა ძვანტალიანი**



„ფაზისზე" კოლხ ჯონი შალამბერიძეს ტორპედოელი დავით ჯანაშია (მარცხნივ) ვერ დაუპირისპირდება



„ვიტ ჯორჯია" — „დინამოს" ისევ მერაბ მალაღურაძე განსჯის

| ბომბარდირები | |
|---|---|
| 19 - იონანიძე | ტორპედო |
| 12 - აშვეთია | დინამო |
| ალექსიძე | დინამო |
| 11 - ვ. ქილასონია | გორდა |
| 10 - ზ. ქორიძე | ვიტ ჯორჯია |
| მეგრელაძე | ტორპედო |
| 9 - ქებაძე | ლოკომოტივი |
| ხორგუაშვილი | დილა |
| 8 - დ. ჯანაშია | ტორპედო |
| წიტაიშვილი | დინამო |
| 7 - ლ. მელქაძე | ვიტ ჯორჯია |
| რუსია | ლოკომოტივი |
| ა. მუჯირი | ბათუმი |

| «ა» ზონა | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | გუნდები | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | ტორპედო | 7 | 4 | 2 | 1 | 18:7 | 11 | 32 | 4 | 3 | 1 | 0 | 12:2 | 10 | 10 | 3 | 1 | 1 | 1 | 6:5 | 1 | 4 |
| 2 | დინამო | 7 | 3 | 4 | 0 | 8:0 | 8 | 30 | 4 | 2 | 2 | 0 | 5:0 | 5 | 8 | 3 | 1 | 2 | 0 | 3:0 | 3 | 5 |
| 3 | ვიტ ჯორჯია | 7 | 4 | 3 | 0 | 6:2 | 4 | 27 | 4 | 2 | 2 | 0 | 4:2 | 2 | 8 | 3 | 2 | 1 | 0 | 2:0 | 2 | 7 |
| 4 | ბათუმი | 7 | 4 | 1 | 2 | 12:3 | 9 | 26 | 4 | 3 | 0 | 1 | 11:2 | 9 | 9 | 3 | 1 | 1 | 1 | 1:1 | 0 | 4 |
| 5 | კოლხეთი | 7 | 2 | 2 | 3 | 5:6 | -1 | 21 | 3 | 2 | 1 | 0 | 4:1 | 3 | 7 | 4 | 0 | 1 | 3 | 1:5 | -4 | 1 |
| 6 | სიონი | 7 | 2 | 1 | 4 | 9:14 | -5 | 18 | 4 | 2 | 1 | 1 | 9:7 | 2 | 7 | 3 | 0 | 0 | 3 | 0:7 | -7 | 0 |
| 7 | იბერია | 7 | 2 | 1 | 4 | 5:17 | -12 | 16 | 3 | 2 | 0 | 1 | 3:2 | 1 | 6 | 4 | 0 | 1 | 3 | 2:15 | -13 | 1 |
| 8 | დილა | 7 | 0 | 0 | 7 | 5:19 | -14 | 10 | 2 | 0 | 0 | 2 | 0:4 | -4 | 0 | 5 | 0 | 0 | 5 | 5:15 | -10 | 0 |

| «ბ» ზონა | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | გუნდები | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 9 | მერანი | 7 | 5 | 2 | 0 | 6:1 | 5 | 25 | 3 | 2 | 1 | 0 | 2:0 | 2 | 7 | 4 | 3 | 1 | 0 | 4:1 | 3 | 10 |
| 10 | თსუ | 7 | 5 | 0 | 2 | 10:4 | 6 | 23 | 4 | 3 | 0 | 1 | 4:1 | 3 | 9 | 3 | 2 | 0 | 1 | 6:3 | 3 | 6 |
| 11 | ლოკომოტივი | 7 | 4 | 2 | 1 | 7:2 | 5 | 23 | 4 | 2 | 2 | 0 | 5:1 | 4 | 8 | 3 | 2 | 0 | 1 | 2:1 | 1 | 6 |
| 12 | გორდა | 7 | 4 | 1 | 2 | 9:3 | 6 | 21 | 3 | 3 | 0 | 0 | 5:0 | 5 | 9 | 4 | 1 | 1 | 2 | 4:3 | 1 | 4 |
| 13 | სამგურალი | 7 | 2 | 2 | 3 | 5:5 | 0 | 14 | 3 | 2 | 0 | 1 | 4:2 | 2 | 6 | 4 | 0 | 2 | 2 | 1:3 | -2 | 2 |
| 14 | არსენალი | 7 | 2 | 0 | 5 | 7:13 | -6 | 11 | 4 | 2 | 0 | 2 | 6:9 | -3 | 6 | 3 | 0 | 0 | 3 | 1:4 | -3 | 0 |
| 15 | თბილისი | 7 | 1 | 1 | 5 | 5:10 | -5 | 11 | 4 | 1 | 1 | 2 | 3:2 | 1 | 4 | 3 | 0 | 0 | 3 | 2:8 | -6 | 0 |
| 16 | ხობი | 7 | 1 | 0 | 6 | 7:18 | -11 | 8 | 3 | 1 | 0 | 2 | 5:7 | 0 | 3 | 4 | 0 | 0 | 4 | 2:11 | -9 | 0 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ჩემპიონატი მეორე ეტაპი 8 ტური ანონსი

## «ა» ზონა

მცხეთა. „არმაზი“. 22 აპრილი. 16 საათი

### ვიტ ჯორჯია — დინამო

მსაჯები: მ. მალაღურაძე; მ. ელიკაშვილი, ლ. სილაგავა (ყველა თბილისი); ო. გუნთაძე (ლანჩხუთი); სფფ-ის ინსპექტორი: ა. მილჩენკო
დისკვალიფიცირებულნი: ყიფიანი (ვიტ ჯორჯია)

ფოთი. „ფაზისი“. 22 აპრილი. 16 საათი

### კოლხეთი — ტორპედო

მსაჯები: თ. ლაცაბიძე (სურამი); ა. სამხარაძე (სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში); კ. მესხი (ზუგდიდი); სფფ-ის ინსპექტორი: ვ. მიმინოშვილი
დისკვალიფიცირებულნი: დ. ჯანაშია (ტორპედო)

სამტრედია. „ეროსი მანჯგალაძე“. 22 აპრილი. 16 საათი

### იბერია — ბათუმი

მსაჯები: ა. მეშკოვი (თბილისი); ზ. ხუციშვილი (დმანისი), ზ. მენთეშაშვილი (თბილისი); ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); სფფ-ის ინსპექტორი: მ. ლაცაბიძე
დისკვალიფიცირებულნი: არავინ

გორი. „ცენტრალური“. 22 აპრილი. 16 საათი

### დილა — სიონი

მსაჯები: ა. შალამბერიძე; კ. გაბრიაძე, ნ. რუსიშვილი (ყველა ქუთაისი); ა. კრიჭაშვილი (თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: ა. დურსუნიში
დისკვალიფიცირებულნი: არავინ

## «ბ» ზონა

წყალტუბო. „26 მაისი“. 22 აპრილი. 16 საათი

### სამგურალი — თსუ

მსაჯები: ა. ორდინიძე (ონი); ლ. მიქელაძე, გ. ჩიგოგიძე (ორივე სამტრედია); პ. დოგრაშვილი (ქუთაისი); სფფ-ის ინსპექტორი: ჯ. ზეინკლიშვილი
დისკვალიფიცირებულნი: არავინ

რუსთავი. „ფოლადი“. 22 აპრილი. 16 საათი

### გორდა — არსენალი

მსაჯები: კახიანი; ო. ხეცაძე, კ. თბილელი (ყველა თბილისი); გ. ასკაროღლი (ქარელი); სფფ-ის ინსპექტორი: გ. ფირცხალავა
დისკვალიფიცირებულნი: ხოსროშვილი, კაკაშვილი (არსენალი)

თბილისი. „სინათლე“. 22 აპრილი. 16 საათი

### მერანი — თბილისი

მსაჯები: ა. შილაკაძე; ვ. ჩოჩიშვილი, ზ. დოლიძე; ლ. ფანიაშვილი (ყველა თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: ნ. ამირეჯიბი
დისკვალიფიცირებულნი: გონჩაროვი, ბურდული (თბილისი)

სენაკი. „ეგრისი“. 22 აპრილი. 16 საათი

### ხობი — ლოკომოტივი

მსაჯები: ზ. ანიაშვილი; ლ. რაზმაძე (ორივე გორი), გ. მარღიშვილი (ქარელი); გ. კიკაჩეიშვილი (ქუთაისი); სფფ-ის ინსპექტორი: რ. ჩილაჩავა
დისკვალიფიცირებულნი: არავინ



ბადრი კოპალეიშვილის ფოტო

შარშანდელი თსუ — „სამგურალი“. მეტოქეები მაშინაც ჯგუფში ადგილის შესანარჩუნებლად იბრძოდნენ

# მადლობა ატილა ვიხრის

ქართულ ფეხბურთს ნიჭიერ ახალგაზრდობას რა დაულევს. ყველაფერი შეიძლება მოხდეს ჩვენს ფეხბურთში, არ იყოს ფული, არ იყოს პირობები, არ ჩანდეს პატრონი, მაგრამ ნიჭიერი ფეხბურთელები ადრეც იყვნენ, ახლაც მრავლად მოიძებნებიან და დარწმუნებულნი ბრძანდებოდეთ, არც მომავალში მოგვაკლდებიან. თუმცა საქმისათვის მარტო ნიჭიერება რომ არ კმარა, ამის მაგალითიც მრავლად ახსოვს ქართულ ფეხბურთს. რაღა შორს წავიდეთ, ახლანდელი ნაკრების ბირთვი ავიღოთ. არველაძეები, ქინქლაძე, ჯამარაული თუ სხვები უდავოდ ნიჭიერი ფეხბურთელები არიან, თუმც ქართული ფეხბურთიდან უსახელოდ წასვლა ემუქრებათ.

ქართულ ქომაგებს კი იმედი კვლავაც უკრთის, მიზეზი მომავალია. ბოლო ათწლეულში ყველაზე დიდ წარმატებას 1980 წელს დაბადებულებმა მიაღწიეს. ეს თაობა „კოპალას ბიჭებად“ მოინათლა. ამ ჭაბუკებით დაკომპლექტებულმა 17-წლამდელთა ნაკრებმა პორტუგალიაში ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური დღეები მოიგო, 18-წლამდელთა შორის ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზეც ითამაშა.

გიორგი დეკანოსიძე ამ თაობის ერთ-ერთი წარმომადგენელია. ვინც ეროვნული ჩემპიონატის მატჩებს ესწრება და ბოლო დროს თსუ-ს თამაშიც უნახავს, დეკანოსიძე უთუოდ თვალში მოხვდებოდა. ნითური ფეხბურთელი მინდორზე ისედაც ადვილი საცნობია, მეორე ეტაპზე კი კარგი თამაშითაც გამოირჩევა. სწრაფია, ბევრს მოძრაობს, პასიც კარგი იცის და არც დარტყმა დაეწუნება — ასეთია გიორგი დეკანოსიძე. ისე, ბოლო დროს გოლების გატანასაც მოუხშირა და თსუ-ს რომ გავარდნა აღარ ემუქრება, ამაშიც დიდი წვლილი მიუძღვის.

ერთი სიტყვით, მისი პროგრესი აშკარაა. დეკანოსიძე ნელ-ნელა ავანსებს ამართლებს, იმ ავანსებს, რომელიც მწვრთნელებმა რამდენიმე წლის წინ მისი მისამართით გასცეს — ეს ბიჭი დიდ ფეხბურთს ითამაშებსო. გიორგი დეკანოსიძე დღეს „სარბიელის“ სტუმარია.



ბადრი კოპალეიშვილის ფოტო

გიორგი დეკანოსიძე

**— გიორგი, მოდი თავიდან დავიწყოთ. ფეხბურთში როგორ მოხვედი?**

— ძალიან უცნაურად, შეიძლება ითქვას, შემთხვევითაც. 155-ე სკოლაში ვსწავლობდი. პირველი კლასის მოსწავლე ვარ, გაკვეთილზე ვზივარ. უცებ საკლასო ოთახის კარი იღება და ორი კაცი შემოდის. როგორც მოგვიანებით შევიტყვე, ერთი უნგრელი ატილა ვიხრი იყო, მეორე ჩვენში კარგად ცნობილი ბავშვთა მწვრთნელი გია მაისურაძე. შემოვიდნენ და გვეუბნებიან ყველა ბიჭი ეზოში ჩამოდითო. სკოლაში სამი პირველი კლასი იყო, დანარჩენ ორ კლასშიც შევიდნენ და იქ მყოფი ბიჭებიც ჩამოიყვანეს. ორ-ორად დაგვყვეს და ერთმანეთში „გვამატავეს“, ძალიან ცოტა ხანს, სულ ორი-სამი წუთი. მოვეწონე ვიხრის, ჩემს მშობლებს წერილიც დაუტოვა, გვხოვთ, ამა და ამ დღეს, ამა და ამ საათზე, ვაკეში, ფიზკულტურის ინსტიტუტში მოიყვანოთო. ასე აღმოვჩნდი ფეხბურთში.

**— კი მაგრამ, შენთვის არ უკითხავთ, გინდოდა თუ არა ფეხბურთი?**

— არა, თუმც რომ ეკითხათ, უყოყმანოდ დავთანხმდებოდი.

**— უნგრელ მწვრთნელს საქართველოში რა უნდოდა?**

— სტაჟირებაზე იყო ჩამოსული. სამი თუ ოთხი წელი დაჰყო აქ, გუნდი გააკეთა — „ვაკე“. იცით, სავარჯიშოდ რომ მივედი, ვინ დამხვდნენ გუნდში? გაგიკვირდებათ ზურაბ ბათიაშვილი, ლადო ბურდული, ლაშა ჯაკობია. ვიხრმა სხვა სკოლებიც დაიარა და ეს ბიჭები იქ აარჩია. სულ სამიოთხი წუთი აკვირდებოდა თითოეულს.

**— შემდეგ...**

— გააკეთა გუნდი — „ვაკე“. სამი წელი გვავარჯიშებდა. ძალიან კარგი მწვრთნელი იყო. ყველაფერი ნულიდან დაიწყო და ფეხბურთის ანბანიც მან გვასწავლა. თავისებური პროგრამა ჰქონდა.

**— ენობრივი ბარიერი ხელს არ გიშლიდათ? როგორ გაგებინებდათ ექვსი წლის ბავშვებს სათქმელს?**

— დამტვრეული რუსული იცოდა. თანაც ვარჯიშის პროცესში სხვა მწვრთნელებსაც იხმარდა, რომლებიც ვიხრის ნათქვამსაც გადმოგვცემდნენ. ასე რომ, ენის პრობლემა არ გვქონდა. უნგრეთშიც წაგვიყვანა ტურნირზე. მერე კი სიტუაცია აირია ჩვენთან. 9 აპრილის ტრაგედიას ბევრი ცვლილება მოჰყვა ქვეყანაში. ვიხრმაც გაცლა ამჯობინა. უნგრეთში დაბრუნდა. ჩვენი მწვრთნელი კი კოტე ჯალიაშვილი გახდა, რომელმაც ბევრი რამ გააკეთა ჩემი ფეხბურთელად ჩამოყალიბებისათვის. ვიხრმა და ჯალიაშვილმა განსაკუთრებული როლი ითამაშეს, დიდ მადლობას ვუხდი ორივეს. არც გაგუას, კოპალეიშვილის, და კაცია ამგს ვივიწყებ. ჯალიაშვილის შემდეგ ჩემი მწვრთნელი რევაზ გაგუა გახლდათ. მის გუნდში ვიყავი, 16-წლამდელთა ნაკრებშიც მიმიწვია. იქ თამაშმა დიდი სიხარული მომიტანა.

**— სწორედ ამაზე მინდა გკითხო, მაშინ როცა ქართულ ფეხბურთში არცთუ სახარბიელო სიტუაცია შეიქმნა, თქვენმა თაობამ პორტუგალიაში ევროპის ახალგაზრდულ ოლიმპიურ დღეებში იმარჯვა. როგორ შეძელით ეს?**

— კარგი გუნდი იყო — შეკრული, მონდომებული. ჟინით ვთამაშობდით. თაობაც კარგია, ბევრის მიღწევა ძალუძს.

**— მაინც რისი?**

— უფრო მეტის, თუნდაც ეროპის თუ მსოფლიოს ჩემპიონატების ფინალურ სტადიაზე თამაშის. ეს თუ შევძელით, თავს ბედნიერად ჩავთვლი.

**— 16-წლამდელთა ნაკრების მუდმივი წევრი იყავი, 18-წლამდელებში კი იშვიათად ჩნდებოდი, რა იყო მიზეზი?**

— უპირველეს ყოვლისა, ტრავმები. ჯერ ლავიწი მოვიტეხე, მერე მეორე მძიმე ტრავმა მივიღე. ამის გამო თითქმის ერთი წელი გამიცდა. ეს ძალიან დიდი დროა. ამ ტრავმებმა წინსვლაში ძალიან შემიშალა ხელი. ვარჯიშს, სრულფასოვან მომზადებას ვერ ვახერხებდი.

**— წლეულს აშკარად მოუმატე, პროგრესი თვალსაჩინოა.**

— მოსამზადებელი პერიოდი ნაყოფიერად გამოვიყენე და ამიტომ ეს წელი ნამდვილად საუკეთესოა ჩემს კარიერაში. კაცია და კოპალეიშვილის ხელმძღვანელობით ორი შეკრება გავიარეთ. შედეგიც სახეზეა.

**— როგორ ფიქრობ, ფეხბურთისთვის ბოლომდე იხარჯები, თუ რამეს აკლებ?**

— დავაკლებ და თავადვე დამაკლდება. ფეხბურთისთვის დიდი მსხვერპლს ვიღებ, ბევრ რამეს ვიკლებ, რადგან ვიცი, სხვანაირად არაფერი გამოვა. დისციპლინა აუცილებელია. მზად ვარ, სხვადასხვა სიამოვნებები გვერდზე გადავდო და მთლიანად ფეხბურთისთვის დავიხარჯო.

**— სანაცვლოდ რას ელი ფეხბურთისგან?**

— იმას, რომ რასაც ახლა ვიკლებ, კარიერის დასრულების შემდეგ ერთბაშად ანაზღაურების საშუალებას მომცემს. გართობა, დროსტარება და სხვადასხვა ცხოვრებისეული სიამოვნებანი არასდროს არ არის გვიანი.

**— შენს კარიერაში რომელ მატჩებს გამოყოფდი?**

— თსუ-ს შემადგენლობაში „ლარწყალთან“ შეხვედრას. მაშინ ყოფნაარყოფნის საკითხი წყდებოდა. საბედნიეროდ, მოვიგეთ და თსუ-ც პირველ ლიგაში დარჩა, 17-წლამდელთა ნაკრებიდან კი უდავოდ პორტუგალიასთან ფინალურ მატჩს. პორტუგალიელთა პორტუგალიაში დამარცხება სახუმარო ამბავი არ იყო.

**— დღეს ყველას გაქცევაზე უჭირავს თვალი, ბუნებრივია, შენც გექნება უცხოურ კლუბში თამაშის სურვილი.**

— რა თქმა უნდა საქართველოს ჩემპიონატში თამაშით გამოცდილებას შეიძენ, რაღაც დონეს მიაღწევ, მაგრამ შემდეგ წინსვლაზე საუბარი ზედმეტია. ადრე თუ გვიან მეც წავალ. ჯერჯერობით კი არანაირი ვარიანტი არ მაქვს.

**— არც ეროვნული ნაკრების წევრი ხარ და არც ახალგაზრდულის...**

— ნაკრებში თამაში ყველა ფეხბურთელის ოცნებაა. არც მე ვარ გამონაკლისი. ახალგაზრდულში სულ ერთხელ ვითამაშე. ეტყობა, სათანადო ფორმაში ჯერ ვერ ვარ, თუმცა ყველაფერს გავილებ საიმისოდ, რომ ჯერ ახალგაზრდულში მოვიკიდო ფეხი, მერე კი ეროვნულზეც ვიფიქრებ.

**— ვთქვათ და იმ დღეს ვიხრის არ შემოეღო საკლასო ოთახის კარი, არ ჩაეყვანე ქვემოთ და თვალში არ მოსვლოდი, ვინ იქნებოდა გიორგი დეკანოსიძე დღეს?**

— ფეხბურთელი! სხვანაირად ვერც წარმომიდგენია. ფეხბურთი ჩემთვის ყველაფერია და მგონია, რომ მაინც ფეხბურთელი გავხდებოდი. ეს ჩემი ცხოვრებაა.

ვანო ოქროპირიძე

# პირველი სიხარული

თბილისი
20 მარტი
15 საათი
სინათლე
100 (ტევადობა 3 000)

**საქართველო 4:0 სომხეთი**

თექვსმეტწლამდელები

1:0 მოდებაძე (33), 2:0 ბაჩილავა (42), 3:0 მარცვალაძე (45), 4:0 ბირკაია (71)

**საქართველო:** მუჯრიშვილი (ნადარაშვილი), გაგუა (თავზარაშვილი), ექონია, ქელიძე (ჩივაძე), ქარსელაძე (ჩოხელი), ჯიქია, ჭილაძე (დარასელია), ბაჩილავა, მოდებაძე, სახოკია (ბირკაია), მარცვალაძე (მაჭავარიანი)

**სომხეთი:** ბოიახჩიანი (პოლოსიანი), ბენიამიანი (ერიციანი), კარაპეტიანი, ბალდასარიანი, არაქელიანი (ხაჩატრიანი), მანუკიანი, ფეტისიანი (ხოხიკიანი), კარაბახჩიანი, აირაპეტიანი, სარქისიანი, მელქოიანი

**გაფრთხილება:** ბაჩილავა, თავზარაშვილი, ბენიამიანი, კარაპეტიანი, ბირკაია

**მსაჯები:** ლ. სილაგავა; ა. ნონიკაშვილი, ო. ხეცაძე; მ. ურუშაძე



თენგიზ სულაქველიძე

საქართველოში სტუმრად მყოფი სომხეთის თექვსმეტწლამდელთა ნაკრები დღეს ბოლნისში ქართველ თანატოლებს შეხვდება და მატჩის დასრულებისთანავე შინ გაემგზავრება. გუშინწინ ამ ორ ნაკრებს შორის პირველ მატჩს ავჭალის „სინათლემ" უმასპინძლა. ჩვენდა სასიხარულოდ, თენგიზ სულაქველიძის აღსაზრდელებმა უპრობლემოდ სძლიეს მეტოქეს და შთამბეჭდავი გამარჯვებაც მოიპოვეს — 4:0. ეს მატჩი ჯერაც ჩამოუყალიბებელი თექვსმეტწლამდელთა ნაკრებისთვის წლეულს პირველი იყო, თენგიზ სულაქველიძემაც ჩინებული დებიუტი მოიწყო და დღევანდელ მატჩსაც იმედიანად ხვდება: „მიხარია, რომ ახალმა გუნდმა პირველი გამოცდა წარმატებით ჩააბარა. ეს მოგება ყმაწვილებს სამომავლოდ დიდ სამსახურსაც გაუწევს. მიუხედავად ამისა, მატჩმა დამანახა, რომ წინ ბევრი სამუშაო გველის, ეტაპობრივად ამასაც დავძლევთ".

ორმოცწუთიანმა ტაიმმა ქართველების სრული უპირატესობით ჩაიარა. სტუმრებმა მაინცდამაინც კარგი შთაბეჭდილება ვერ დატოვეს. მაგრამ ეს გარკვეულწილად სულაქველიძის ბიჭების გააზრებული თამაშის ბრალიც იყო. პირველი ნახევრის ბოლოს მოდებაძემ გახსნა ანგარიში, ამას მეორე ტაიმში ბაჩილავამ, მარცვალაძემ და ბირკაიამ კიდევ სამი გოლი მიაყოლეს.

დღევანდელი მატჩი ქართველ და სომეხ თექვსმეტწლამდელთა შორის ბოლნისურ „თემურ სტეფანიაზე" დღის 12 საათზე დაიწყება.

**დათო დანელია**

# დავით ხმელიძე როსტოვშიც საქართველოზე ფიქრობს

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მეკარე დავით ხმელიძე როსტოვში ძალიან სწრაფ პროგრესს განიცდის — ამის შესახებ როსტოველმა ჟურნალისტმა თემურ ივანოვმა გვაცნობა. ბოლო ტურში ხმელიძისა და სეზონის წინ კიევის „დინამოდან" აყვანილი ილია ბლიზნიუკის კონკურენციას ძირითადის მეკარე სავჩენკო შეეწირა. „როსტსელმაშის" 16-კაციან სიაში დათო პირველად გამოჩნდა.

ხმელიძეს 1+1 წლით კონტრაქტი გაუფორმებია. მისივე მოთხოვნით, ესეც ივანოვმა გვაცნობა, კონტრაქტში ჩაწერილა, რომ საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში გამოძახებისთანავე უნდა გაუშვან. ხმელიძე ბაზაზე ცხოვრობს და „როსტსელმაშ 2-ში" თამაშობს, რომელიც რუსეთის მეორე დივიზიონის სამხრეთ ზონაში გამოდის. ქართველი მეკარე უმაღლესი დივიზიონის განაცხადშიც არის შეყვანილი. ხმელიძე მატჩებს 35-ნომრიანი მაისურით ატარებს.

შეგახსენებთ, რომ ხმელიძეს საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში ერთი მატჩი აქვას ჩატარებული, საბერძნეთის ახალგაზრდულ ნაკრებთან თბილისში, „შევარდენის" სტადიონზე. რუსი სპეციალისტები დავითს დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ.

**სიმონ მენაბდე**

# სამსახურში მივდივარ

## ზურაბ დოლიძემ სასჯელი მოიხადა

კიდევ ერთი სასჯელმოხდილი მსაჯი შეუერთდა ეროვნულ პირველობას. გურამ ასკაროვლის დარად, „ლოკომოტივის" თასის ნახევარფინალში გამყვანი ზურაბ დოლიძეც დაუბრუნდა სამუშაოს. სადისციპლინო-ტექნიკური კომიტეტის გადაწყვეტილების თანახმად, დოლიძემ ერთი კალენდარული თვე გამოტოვა ეროვნულ ჩემპიონატში. ამის მიზეზი ეროვნული თასის გათამაშების საპასუხო მეოთხედფინალურ მატჩში მომხდარი ინციდენტი გახლდათ, როცა თანამსაჯმა ვიტელი ლევან მელქაძის წესების სრულად დაცვით გატანილი გოლი არ ჩათვალა. დოლიძის აწეულმა დროშამ (თამაშგარეაო) არბიტრი თამაზ ლაცაბიძეც შეცდომაში შეიყვანა და თავდაპირველი გადაწყვეტილება შეაცვლევინა. ფრედ დამთავრებულ შეხვედრაში კი პენალტების სერიით „ლოკომოტივმა" უწია ნახევარფინალს.

ეროვნულ ჩემპიონატში ზურაბ დოლიძე დღეს ჩაებმება, იგი „მერანი" — „თბილისის" მატჩში თანამსაჯის ფუნქციას შეასრულებს.

**პაატა ძვანტალიანი**



ვიტელები გიორგი ყიფიანი და ლევან მელქაძე (მარჯვნივ) თანამსაჯ ზურაბ დოლიძეს არასწორ გადაწყვეტილებას ემართლებიან

# ქართული ფეხბურთი აინშტაინთან ერთად

მომავალ კვირაში საქართველოს რუსული ტელეკომპანია РТР-ის ჟურნალისტები ეწვევიან. გადამღები ჯგუფი 29 აპრილს ეროვნული ჩემპიონატის მეორე ეტაპის მეცხრე ტურის ორ მატჩს დაესწრება — „დინამო" — „კოლხეთს" და „ტორპედო" — „ბათუმს". რუსებს ამ მატჩების ფირზე აღბეჭდვა განუზრახავთ, რათა შემდეგ სიუჟეტი მოამზადონ გადაცემისათვის — „ფეხბურთს + ტვ ალექსანდრე აინშტაინთან ერთად".

ამასთან დაკავშირებით ორიოდე დღის წინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ რუსული ტელეკომპანიისაგან ფაქსი მიიღო. РТР-ის ხელმძღვანელობა სფფ-ს ჟურნალისტთა დახმარებას და ზემოაღნიშნულ მატჩებზე აკრედიტაციის გამოყოფას სთხოვს. სტუმრებს მასპინძლობას სფფ-ს საინფორმაციო განყოფილება გაუწევს.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში ჩამომსვლელთა ჯგუფი თავდაპირველად სომხეთს ეწვევა, სადაც 26 აპრილს სომხეთ-საქართველოს ეროვნულ ნაკრებთა ამხანაგურ მატჩს დაესწრება, თბილისშიც ერევნიდან გამოემგზავრება.

ეს გადაცემა საქართველოს ჩემპიონატის მეათე წლისთავს მიეძღვნება.

**ვანო ოქრობირიძე**

# მიხეილ საჯაია მეორე ბუნდესლიგაშია

გერმანიის „ობერჰაუზენიდან" თბილისის „დინამოში" რეზო არველაძის წამოსვლის შემდეგ საქართველოს მეორე ბუნდესლიგაში ფეხბურთელი აღარ დარჩა. თუმცა ეს ასე აღარ იქნება. სულ მალე „როტლინგერი" გერმანიის სამხრეთ რეგიონალლიგაში გამარჯვებას დაიბევებს. ეს



გუნდი 27 ტურის შემდეგ 66 ქულით ლიდერობს და მთელი 15 ქულით უსწრებს მეორე ადგილზე მყოფ „აფულენდორფს". 28-ე ტურის მატჩს როტლინგერელები დღეს საკუთარ მინდორზე თამაშობენ და ლიგის ბოლოადგილოსან „ლოჰოფთას", ალბათ, იოლად სძლევენ.

„როტლინგერის" ამ წარმატებაში თავისი წვლილი ყოფილ მრეტს მიხეილ საჯაიასაც შეაქვს. 23 წლის ქართველი ნახევარმცველი როცა საქართველოდან წავიდა, სულ პატარა იყო და „როტლინგერში" მოხვედრამდე რამდენიმე რეგიონალლიგის გუნდში სცადა ბედი. წლევანდელი სეზონი, მიუხედავად გუნდის წარმატებისა, საჯაიასთვის არცთუ კარგად წარიმართა. მიხეილს ტრავმა ჰქონდა, რის გამოც ბევრი მატჩი გაუცდა, თამაშებზე კი ძირითადად შეცვლებზე შეჰყავდათ. ქართველმა სულ 11 შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა. „როტლინგერს" კი ეს სეზონი მართლაც ჩინებული აქვს. კლუბი მე-5 ტურიდან შეუცვლელად ლიდერობს. მისი საუკეთესო ფეხბურთელი 31 წლის შავკანიანი ოლივერ დჯაპაა, რომელსაც 25 გოლი აქვს გატანილი.

აღსანიშნავია, რომ სეზონის დაწყებისას „როტლინგერში" კიდევ ერთი ექსმრეტელი, ვახტანგ იაგორაშვილიც ირიცხებოდა, თუმცა ამ ქართველმა ფორვარდმა გუნდი დატოვა. „როტლინგერი" ახლა მეორე ბუნდესლიგაზე ფიქრობს. კლუბის პრეზიდენტმა დიტერ ვინკომ ახალი სტადიონის მშენებლობაზე უკვე 13 მილიონი მარკა დახარჯა.

**სიმონ მენაბდე**




# გუშინ 29 ოქტომბერი იყო

UEFA CUP

უეფას თასი. ნახევარფინალი. II წრე

**ლიდსი**

**2:2 (0:2)**

**გალათასარაი**

0:1 ჰაჯი (53), 1:1 ბაკე (16), 1:2 ჰაქან შუქური (42), 2:2 ბაკე (68)
ლიდსი: მარტინი, მილსი, ვუდგეიტი, რადებე, ჰარტი (ჰაკერბი 46), ბოიერი, მაკფაილი, ბაკე, უილკოქსი, კიუელი, ბრიჯისი
მწვრთნელი: დევიდ ოლირი
გალათასარაი: ტაფარელი, ბიულენთი, პოპესკუ, ემრე, არიფი (ჰაქან უნსალი 46), ოკანი (ჰასან სასი 87), სუათი (აჰმეთი 79), ჰაჯი, კაპონე, ჰაქან შუქური, ერგუნი
მწვრთნელი: ფათიჰ თერიმი
გაძევება: კიუელი (43), ემრე (45)
მსაჯი: ლუბოშ მიხელი (სლოვაკეთი)
38 406 მაყურებელი

თურქები თავიანთ ეროვნულ დღესასწაულს 29 ოქტომბერს ზეიმობენ. გუშინ და გუშინწინ მათი შემხედვარე ფეხბურთში და კალენდარში გაურკვეველ კაცს სწორედ ეს თარიღი ეგონებოდა. ზეიმობდნენ ყოველ ქალაქსა თუ სოფელში, ყავახანასა თუ საქაბაბეში. იქაურ სატელევიზიო არხებზე თურქეთის ისტორიისადმი მიძღვნილი გადაცემები „გალათასარაის" სადიდებელ სიუჟეტებს ენაცვლებოდა. მოკლედ, მთელი თურქეთი ზეიმობდა (ალბათ, „ფენერბაჰჩეს" ქომაგთა გარდა). ის კი არა, ეს ამბავი ხუთშაბათს დილიდანვე დაიწყო — საღამოს „გალათასარაი" უეფას თასის ფინალისტი რომ გახდებოდა, ეჭვიც არავის ეპარებოდა.

ლიდსში შეხვედრა ათი წუთის დაგვიანებით დაიწყო. ამის მიზეზი „ელანდ როუდისკენ" მიმავალ გზაზე საავტომობილო საცობი გახდა. მაგრამ ათი წუთი რაა, თურქები ამ დღეს მთელი 38 წელი ელოდნენ (უეფაში გაწევრიანების დღიდან) და ცოტასაც მოიცდიდნენ.

თამაში მე-5 წუთზე „გაფუჭდა". მასპინძელთა საჯარიმოში შეჭრილი ჰაქან შუქური ჯონათან ვუდგეიტმა მოცელა, რისთვისაც სლოვაკმა არბიტრმა ლუბოშ მიხელმა პენალტი დანიშნა. გეორგე ჰაჯის დარტყმა ზუსტი იყო. „ლიდსის" ამოცანა არც იქამდე ყოფილა იოლი, გაშვებული ბურთის შემდეგ კი საერთოდ მიუღწეველი შეიქნა — ოთხი გოლი „გალათასარაის" კარში სასწაული იქნებოდა, რაც არცთუ ხშირად ხდება.

ყმაწვილ ლიდსელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ისინი არ დანებდნენ, თუნდაც იმიტომ, რომ თურქთაგან მოკლული ორი თანაქალაქელის ხსოვნა მოუწოდებდათ ბრძოლისკენ და იბრძოლეს კიდეც. მე-16 წუთზე ერიკ ბაკემ თავურით ანგარიში გაათანაბრა. ეს ლიდსელთა პირველი გოლი იყო მას შემდეგ, რაც 26 მარტს ჰარი კიუელმა ბოლოს შეარხია მეტოქის („ლესტერი") კარის ბადე.

ავსტრალიელმა ამ მატჩშიც გამოიჩინა თავი, ოღონდ არა ისე, ინგლისელ ქომაგებს რომ სურდათ. 43-ე წუთზე მსაჯმა ის უხეში თამაშისთვის გააძევა. არადა, აშკარად გამოჩნდა, რომ კიუელს მეტოქისთვის სარმა არ გამოუდვია. როგორც ჩანს, სლოვაკი არბიტრიც მიხვდა შეცდომას და მისი გამოსწორება განიზრახა. ტაიმის ბოლო წუთზე მან ასევე არარსებული დარღვევისთვის (ლი ბოიერის წინააღმდეგ) ემრე გაუყენა კიუელის გზას. წითელი ბარათების აფრიალებამდე კი ჰაჯის დაწყებული კომბინაცია ჰაქან შუქურმა დენი მილსის და ჯონათან ვუდგეიტის მოტყუებით და ნაიჯელ მარტინის კარში მეორე გოლის გატანით დაასრულა.

შესვენების შემდეგ „ლიდსმა" მეორედაც შეძლო გათანაბრება. ეს გოლი ძალიან ჰგავდა პირველს. კვლავ ჯეისონ უილკოქსის ჩაწოდებული კუთხური და კვლავ ერიკ ბაკეს ზუსტი თავური.

ინგლისელებს იერიშები არ შეუწყვეტიათ და საფინალო სასტვენამდე მონდომებით ითამაშეს. თუმცა ჩინებულად ირჯებოდა სტამბოლელთა მსოფლიოს ჩემპიონი მეკარე კლაუდიო ტაფარელი. ბრაზილიელმა არაერთი ურთულესი ბურთი მოიგერია. საერთოდ კი სტუმრებს შიში არ შეჰპარვიათ და მატჩი სასურველი შედეგით ჩაამთავრეს.

როგორც ზემოთ ვთქვით, თურქები ჯერ კიდევ ლიდსური შეხვედრის დაწყებამდე ზეიმობდნენ ფინალში გასვლას. მატჩის შემდეგ კი მხიარულებამ პიკს მიაღწია. „ეს ოცნება როდია, ჩვენ ფინალში ვართ", „თურქთა ისტორიული დღე" — ამ სათაურებს ამოიკითხავდით ყოველი თურქული გაზეთის პირველ გვერდზე.

„ბოლო ორი კვირა ჩვენ ფინალში გასვლის მოლოდინით ვცხოვრობდით და აი, ფინალში ვართ" — განუცხადა გამარჯვებულთა მწვრთნელმა ფათიჰ თერიმმა ჟურნალისტებს ლიდსის აეროპორტში. რატომ აეროპორტში? სტამბოლელები ინგლისის დატოვებას ჩქარობდნენ, იქ დაყოვნება სახიფათო იყო...

**ლანსი**

**1:2 (0:1)**

**არსენალი**

0:1 ანრი (43), 1:1 ნუმა (73), 1:2 კანუ (86)
ლანსი: ვარმუზი, სიკორა, კუედრუ, პიერფანფანი, ისმაილი, ნიარკო, დაკური, კორიდონი (როდრიგესი 75), ბრუნელი (მორეირა 59), სახო, ნუმა (დეზირე ჟობი 89)
მწვრთნელი: ფრანსუა ბრისონი, დიდიე სენაკი
არსენალი: სიმენი, დიქსონი, სილვინიო, კიოუნი, ადამსი, ვიეირა, პეტი, ლიუნგბერგი (ოვერმარსი 70), პარლოუ, ბერხკამპი (კანუ 70), ანრი (გრიმანდი 82)
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
მსაჯი: გარსია არანდა (ესპანეთი)
41 500 მაყურებელი

ინგლისელებით, ჰოლანდიელებითა და ნიგერიელით გაძლიერებული ლონდონელ ფრანგთა გუნდი ლანსში იქაურ ფრანგთა გუნდს შეხვდა. მატჩის წინ მასპინძელთა მწვრთნელი ფრანსუა ბრისონი ასეთ რამეს ამბობდა: „თამაშის მსვლელობისას თავს გავიგიჟებთ და მოვიგებთ, ხოლო შემდეგ ინგლისელთა გაგიჟებას ვიხილავთ". მსგავსი არაფერი მომხდარა. არსენ ვენგერი: „მიმდინარე სეზონში სტუმრად მუდამ კარგად ვთამაშობთ. ამჯერადაც ასე მოხდა და ფინალში დამსახურებულად გავედით". დამეთანხმებით, არსენალელთა თავკაცს სიგიჟის არაფერი ეტყობა და სავსებით ნორმალურად ლაპარაკობს.

ლანსელებს თავიანთი უპირატესობის დასასაბუთებლად ერთი არგუმენტიც ჰქონდათ. თერთმეტნი ხომ მინდორზე ვიქნებით, 40 ათასი კაციც ტრიბუნებიდან დაგვეხმარებაო — ამბობდნენ ისინი. ფელიქს ბოლერის სახელობის სტადიონზე სწორედ ამდენი ლანსელი ქომაგი კი მივიდა (ათასი ხუთასნიც ინგლისელები იყვნენ), მაგრამ რას გააწყობდნენ? მუშტი-კრივში 40 ათასი კაცი მართლაც დიდი ძალაა, მაგრამ საფეხბურთო მოედანზე უპირატესობა სხვა კრიტერიუმებით იზომება.

რაკი გულშემატკივრები ვახსენეთ, ბარემ ვთქვათ, რომ ლანსელებს ჩინებული ქომაგობა სცოდნიათ — მთელი 90 წუთი დროშების ფრიალით ხელები დაიღალეს, დოლებს ცხრა პირი ტყავი ააძრეს, საყვირების ჩაბერვით ლოყები დაიხეთქეს და მსაჯის საფინალო სასტვენის შემდეგ თავიანთი ფეხბურთელებისთვის მადლობის გადახდაც არ დავიწყებიათ. მართლაც, მეტი რა უნდა ექნათ? მოედანზე ხომ არ შეცვივდებოდნენ (მით უმეტეს, ტრიბუნები მაღალი ღობით არის შემორაგული)? მოკლედ, ქომაგებმა, რაც შეეძლოთ, გააკეთეს. იგივე ითქმის ლანსელ ფეხბურთელებზეც, მაგრამ „არსენალი" მაინც სხვა კლასის გუნდია, რაც არსენ ვენგერმა დაამტკიცა კიდეც.

მასპინძელთა იმედი, ეგებ ერთი გოლი მაინც გავიტანოთო, 43-ე წუთზე ტიერი ანრიმ დაასამარა. კომბინაცია სილვინიომ და ფრედერიკ ლიუნგბერგმა წამოიწყეს. შემდეგ საქმეში ანრიც ჩაერთო — ბურთიანად ბრუნი გააკეთა, მცველი ჩამოიშორა და სეზონში თავისი 21-ე ბურთიც გაიტანა.



REUTERS ლონდონიდან

ლანსი — არსენალი 1:2. მოიერიშე დენის ბერხკამპი ალექს ნიარკომ ვერ შეაბრკოლა

ფინალში მოსახვედრად „ლანსს" უკვე სამი გოლი სჭირდებოდა. წარმოუდგენელი იყო, ფრანგებს ეს მოეხერხებინათ. გოლს ვინ დაეძებს, მეორე ტაიმში მათ სიმენის კართან მიახლოვებაც უჭირდათ. ლანსელთა ორადორი სახიფათო შეტევა დაგვამახსოვრდა. სტუმრები საკუთარ საჯარიმოსთან უხეშად შეცდნენ და ბურთი დაკარგეს. მოულოდნელი იერიში კი პასკალ ნუმამ ახლო მანძილიდან დარტყმული თავურით დაასრულა — დევიდ სიმენმა ბურთს თითის წვერებილა შეახო და ანგარიში გათანაბრდა. მეორე შემთხვევაში იმავე ნუმამ, ერთი მცველიც რომ არ ელობებოდა, სასწაული მოახდინა... ბურთი კარს ააცილა. ეს იყო და ეს. მასპინძელთა დანარჩენი შეტევები სათქმელადაც არ ღირს — სიმენის დონის მეკარე თვალდახუჭული რომ აიღებს, ისეთები გახლდათ.

აი, ლონდონელთა იერიშები მართლაც სახიფათო იყო, თუმცა ამის მიზეზი ფრანგთა უსუსურ დაცვაში უნდა მოვიძიოთ. მეტოქეს სამჯერ რომ დატოვებ მეკარესთან პირისპირ, უსუსურობა ჰქვია, აბა, სხვა რა. მაგრამ არსენალელებმა ასეთი „საჩუქრით" მაქსიმალურად ვერ ისარგებლეს: ემანუილ პეტიმ კარში დარტყმის ნაცვლად გაჩერება ამჯობინა და ბურთიც მეტოქეს ჩააბარა, ტიერი ანრიმ კი ძელს ზუსტად დაუმიზნა. მხოლოდ მესამე გარღვევას მოჰყვა გოლი, რომელიც შეცვლაზე შესულმა ნვანკვო კანუმ მიითვალა.

ახლა მატჩისშემდგომ კომენტარებს გავეცნოთ. არსენ ვენგერის აზრით, თამაში პირველი გოლის შემდეგ, 43-ე წუთზე დასრულდა. მწვრთნელი კი გოლზე მეტად მისი ავტორის თამაშმა გაახარა: „ყოველთვის მჯეროდა ანრის. ამჟამად ის ჩინებულ ფორმაშია და დარწმუნებული ვარ, როცა უნდა და სადაც უნდა, გოლის გატანა ძალუძს.

... ახლა ფინალისთვის ვემზადებით. ჩემპიონთა ლიგიდან გავარდნით გულშემატკივრებს გული დავწყვიტეთ, რასაც აუცილებლად გამოვასწორებთ. „გალათასარაი"? ეს გუნდი ჩემთვის დღემდე ასეუცნობიან განტოლებად რჩება".

„არსენალმა", ცხადია, დამსახურებულად მოგვიგო. მაგრამ რაღა ჩვენმა თანამემამულემ გაგვიტანა გოლი" — ეს „ლანსის" პრეზიდენტ ჟერვე მარტელის სიტყვებია.

**უეფას თასი. ფინალი**
17 მაისი. კოპენჰაგენი

**გალათასარაი (თურქეთი) — არსენალი (ინგლისი)**



REUTERS ლონდონიდან

ლიდსი — გალათასარაი 2:2. ერიკ ბაკეს (№19) გოლი ფინალში გასასვლელად საკმარისი არ აღმოჩნდა



ხუთშაბათის მრავალთაგან ერთი სცენა: რია-რია ლიდსის ერთ-ერთ პაბთან

REUTERS ლიდსიდან

# C კატეგორიამ გაიმარჯვა

## ქარაქირიქი ხულიგანი არ არის

ინგლისელმა ფანებმა პოლიციას ქვები და ბოთლები დაუშინეს — ეს ამბავი ხუთშაბათს, უეფას თასის საპასუხო ნახევარფინალური შეხვედრის, „ლიდს იუნაიტედი“ — „გალათასარაის“ დაწყებამდე, „ელანდ როუდის მისადგომებთან მოხდა. მიზეზი გასაგებია: ორი კვირის წინ, სტამბოლში, ამავე გუნდების პირველი თამაშის წინა ღამეს თურქმა ხულიგნებმა სტუმართა ორი გულშემატკივარი მოკლეს.

საბედნიეროდ, საგანგებოდ მომზადებულმა და აღჭურვილმა პოლიციამ უწესრიგობა მალევე აღმოფხვრა. მოგვიანებით გავრცელებულ ოფიციალურ ცნობათა თანახმად, წესრიგის მცველებმა 23 ადამიანი დააპატიმრეს, სერიოზულად კი არავინ დაშავებულა. ტელეკომპანია BBC-მ განაცხადა, რომ ინციდენტის დროს რამდენიმე ადამიანი მაინც შეიქნა საექიმო. მათ შორის საკუთრივ BBC-ს ორი ჟურნალისტი ყოფილა.

მოწმეები ამბობენ, რომ ინგლისელმა ფანებმა რამდენიმე ტელეკამერა დალეწეს და ერთ თურქ ოპერატორსაც დაესხნენ თავს.

მოგეხსენებათ, უეფას დადგენილებით თურქი ქომაგები ამ დღეს სტადიონზე არ დაუშვეს. ამიტომაც ლიდსელ ფანებს „გალათასარაის“ ავტობუსის მინის ჩამსხვრევით და ფეხბურთელებისთვის ნაძირლების ძახილით მოუხდათ დაკმაყოფილება.

თამაში დათქმულზე 10 წუთით გვიან სტადიონს გარეთ მიმდინარე ამბების გამო დაიწყო.

„ვნებათაღელვა აშკარად ძალიან დიდი იყო. ვერც მცირე უწესრიგობა ავიცილეთ თავიდან. მასში ცნობილი ხულიგნები მონაწილეობდნენ, მაგრამ ყველაფერი კარგად დასრულდა“ — განაცხადა მთავარი კონსტებლის ასისტენტმა პოლ გერვინმა.

თურქი ფეხბურთელები, რომლებსაც ლიდსელთა მსგავსად შავი სამკლაურები ეკეთათ, „ელანდ როუდზე“ უამრავმა ცხენოსანმა, მოტოციკლიანმა, მანქანიანმა და ჯავშნიანმა პოლიციელმა საგანგებო ესკორტით მიიყვანა. პოლიციით შემოჯარულები გარშემო ხალხს ერთობ გამომწვევ ჟესტებს აჩვენებდნენ.

თამაშის შემდეგ ლიდსელი გულშემატკივრები ყოველგვარი ინციდენტის გარეშე, სწრაფად დაიშალნენ. მართალია უეფას თურქ ქომაგთათვის თამაშზე დასწრება აკრძალული ჰქონდა, ადგილობრივმა პოლიციამ მაინც C კატეგორიის ანუ განსაკუთრებული მზადყოფნა გამოაცხადა. წესრიგის დაცვა 350 პოლიციელს ევალებოდა, მაგრამ, როგორც კი უწესრიგობა დაიწყო მყისვე დამატებითი რაზმები გამოჩნდა.

ეშინოდათ, რომ აკრძალვის მიუხედავად ლიდსის ქუჩებში ათასობით თურქი გამოჩნდებოდა, მაგრამ ქალაქის ცენტრსა და სტადიონზე „გალათასარაის“ სულ ორიოდ ქომაგი შენიშნეს. სხვათაშორის, ლიდსში მცხოვრებმა თურქებმა ბრიტანეთის ხელისუფალთ უსაყვედურეს.

„ჩვენ ხულიგნები ხომ არ ვართ — განაცხადა ეროლ ქარაქირიქმა — აქ თურქთაგან არავინ ლოთობს და პრობლემებს არ ქმნის. აი, მთვრალი ინგლისელები კი მართლაც პრობლემაა“.

„მე რას მერჩოდნენ. რა ხანია ინგლისში ვცხოვრობ. ცოტა არ იყოს დამაშინეს და ჩემმა დაქირავებულმა თანამშრომლებმა გაფიცვაც გამომიცხადეს“ — დაიჩივლა ლიდსის ერთ-ერთი რესტორნის მფლობელმა სუაიფ გუნეშმა.

უეფას ნებართვით „ელანდ როუდზე“ გამართულ შეხვედრას 112 თურქი პარლამენტარი დაესწრო. მათ შორის გახლდათ ქვყნის ყოფილი პრემიერ მინისტრი თანსუ ჩილერი.

# ჯიმ ბომ ბომ

„გალათასარაი“ გუშინ სტამბოლს დაბრუნდა. ბოსფორის სრუტით გაყოფილ უძველეს ქალაქში ევროპული საკლუბო შეჯიბრების პირველ თურქ ფინალისტს ენითაუწერელი ზეიმით დახვდნენ. „ათათურქის აეროპორტის“ მიდამოებში, რამდენიმე საათით ადრე, კლუბის წითელ-ყვითელი ფერებით აჭრელებულ ხალხის ზღვას დიდი დღესასწაული გაემართა. უზარმაზარ ქალაქში საავტომობილო მოძრაობაც მნიშვნელოვნად შეფერხდა — საყვირებითა და დროშებით შეიარაღებული დემონსტრანტები შუა ქუჩაში სიარულს არას დაგიდევდნენ.

მიუხედავად პოლიციელთა მრავალჯერადი თხოვნისა, მოზეიმეებმა ჰაერში ტყვიის სროლა არ მოიშალეს და, რამდენადაც ცნობილია, სამი ადამიანი დაჭრეს კიდეც.

„გალათასარაიმ“ უეფას თასის ნახევარფინალში ინგლისური „ლიდს იუნაიტედი“ დაამარცხა. თუმც სტამბოლისა და ლიდსის გუნდების ეს მატჩებში მარად ორი ინგლისელი ქომაგის მკვლელობასთან იქნება დაკავშირებული, გამარჯვება გამარჯვებაა. მაგრამ განგებამ თავისებურად განსაჯა და 17 მაისს, კოპენჰაგენში დანიშნულ ფინალში თურქები ისევ დაღუპულთა თანამემამულე გუნდს, ლონდონის „არსენალს“ გადაჰყარა.

„დღეს ჩვენ ფინალისტებად დავბრუნდით, ერთი თვის შემდეგ კი თასით ჩამოვალთ“ — მიმართა გულშემატკივარს მწვრთნელმა ფათიჰ თერიმმა.

თერიმის იმედიან ნათქვამს ქვეყნის პრემიერ-მინისტრი სულეიმან დემირელიც გამოეხმაურა.

„გალათასარაის“ წარმატებათა გვირგვინად ჩვენ უეფას თასს ველით — განაცხადა სახელმწიფოს ხელმძღვანელმა.

სტამბოლელთა დიდი ნაწილის საყვარელი კლუბი 1905 წელს ქალაქის ცენტრში მდებარე უმაღლეს სკოლაში დაარსდა. დღეს იგი დიდი ორგანიზაციაა, ფლობს უძრავ-მოძრავ ქონებას, ტურისტულ კომპანიებს და სპორტულ გუნდებს, რომელთა შორის ყველაზე ცნობილი „ჯიმ ბომ ბომად“ მონათლული ფეხბურთის გუნდია — სწორედ ის, ფინალში რომ გავიდა.

თერიმის ხელმძღვანელობით იგი თურქეთის ბოლო სამი ჩემპიონატის გამარჯვებულია და ახლა მეოთხე ტიტულისკენ მიიწევს.

„ლიდსთან“ გამარჯვების შემდეგ თურქულმა გაზეთებმა პირველ გვერდებზე, ფაქტობრივად, მხოლოდ „გალათასარაი“ დატოვეს.

„საბაჰი“ წერდა: „სიზმარი არ გეგონოთ, ჩვენ ფინალში ვართ.“

„ჰურიეთი“: „დღეს ისტორია იქმნება.“ იქვე ეწერა თერიმის გამონათქვამი: „გუშინ ფეხბურთმა გაიმარჯვა“.

## გერმანია

### XXXI ტური

**ვერდერი 1:3 ლევერკუზენი**

0:1 კირსტენი (29), 0:2 პაულო რინკი (35), 0:3 ზე რობერტო (41), 1:3 ფლოკი (86)

ვერდერი: ფ. როსტი, ფრინგსი (ფლოკი 46), ბარტენი (მაქსიმოვი 46), ფ. ბაუმანი, ვიდნერი, აილტსი, ტრარესი, ა. ჰერცოგი, მ. ბოდე, ბოგდანოვიჩი, აილტონი

მწვრთნელი: თომას შააფი

ლევერკუზენი: მატიშეკი, ნოვოტნი, რ. კოვაჩი, რამელო, ჟივკოვიჩი, ბალაკი, ბაინლიხი, ზე რობერტო, ნოივილი (რეები 62), კირსტენი (ტ. ჰოფმანი 74), პაულო რინკი (ბრდარიჩი 87)

მწვრთნელი: კრისტოფ დაუმი

გაფრთხილება: ჰერცოგი, ბაინლიხი, კოვაჩი, პაულო რინკი

მსაჯი: კრუგი

31 973 მაყურებელი

**აინტრახტი 3:0 ჰამბურგი**

1:0 გუიე მიენი (6), 2:0 ჩენ იანგი (71), 3:0 გუიე მიენი (76)

აინტრახტი: ჰაინენი, კუჩერა, ხუბჩევი, კრახტი, გუიე მიენი, შური (ფალკი 81), ჰელდტი, რასიევსკი, გებჰარდტი (ბინდევალდი 81), რაიხენბერგერი (სალუ 64), ჩენ იანგი

მწვრთნელი: ფელიქს მაგათი

ჰამბურგი: ჰ. ბუტი, ჰერჩი, გრავესენი, პანადიჩი, ფიშერი, ნ. კოვაჩი, პრეგერი, ბაბაცი, მაჰდავიკია, ილმაზი (ჰაშემიანი 56), იუსალი

მწვრთნელი: ფრანკ პაგელსდორფი

გაფრთხილება: შური, ბაბაცი, ჰერჩი, პრეგერი

მსაჯი: ფანდელი

50 000 მაყურებელი




**ესპანეთის** თასის ნახევარფინალს საპასუხო მატჩი „ბარსელონასა“ და „ატლეტიკოს“ შორის სამშაბათს უნდა გამართულიყო, მაგრამ სავარაუდოდ გადაიდება. მიზეზი ის გახლავთ, რომ კატალონიელებს 12 ფეხბურთელი არ ეყოლებათ. ფრანკ დე ბური, რაიციგერი, ბოგარდი, ზენდენი, კოკუ, კლუივერტი, რივალდო, ლიტმანენი და ფიგუ თავიანთი ქვეყნების ნაკრებებში არიან გამოძახებულნი. რონალდ დე ბური, ლუის ენრიკე და ამუნიკე კი დაშავებულნი არიან. „ვინღა დამრჩა? — კითხულობს ლუის ვან გაალი — ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციას ადრევე უნდა გაეთვალისწინებინა, რომ მომავალ კვირაში საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრები იმართება“. როგორც მოსალოდნელია, თასის ნახევარფინალის მატჩს 16 ან 17 მაისისთვის გადაიტანენ.

**იტალიელ ნახევარმცველ დინო ბაჯოს „პარმამ“ კონტრაქტის გახანგრძლივება შესთავაზა. პრესა იუწყებოდა, რომ ფეხბურთელის გადაბირებას სეზონის ბოლოს „ჩელსი“ ცდილობდა, თუმცა ლონდონელებს და პარმელებს ოფიციალურად არაფერი განუცხადებიათ. ბაჯოს „პარმასთან“ ხელშეკრულება 2001 წელს უსრულდება. იტალიური კლუბის ხელმძღვანელობა იმედოვნებს, რომ ნახევარმცველთან ახალ შეთანხმებას მომავალ კვირაში გააფორმებს.**

**რუსეთის** პროფესიონალ ფეხბურთელთა ლიგამ მაღალჩინოსან მოხელეებს თხოვნით მიმართა, რათა მათ გარკვეული ზომები მიიღონ სხვადასხვა ქალაქების სტადიონებზე წესრიგის დასამყარებლად და ფანებს შორის შეტაკებების აღმოსაფხვრელად. „ლიგის საბჭო იმედოვნებს, რომ ფედერაცია უახლოეს მომავალში საგანგებო სხდომას მოიწვევს და სიტუციის გამოსწორებაზე იზრუნებს. უნდა განვახორციელოთ შესაბამისი ღონისძიებები სტადიონებზე გამეფებული კრიმინალის მოსასპობად — ეს ხომ ხელს უშლის მატჩების ნორმალურად ჩატარებას, აზარალებს ხალხს და ძაბავს პოლიტიკურ სიტუაციას“ — ნათქვამია ლიგის საბჭოს განცხადებაში.

**რუმინელი ფორვარდის ადრიან მუტუს შეძენით ლონდონის „ჩელსი“ დაინტერესდა. „ჯანლუკა ვიალის თითქმის ერთი საათი ვესაუბრე — განაცხადა ფეხბურთელის აგენტმა ჯოვანი ბეჩალიმ — სპეციალისტს მიაჩნია, რომ მუტუ ერთობ საინტერესო და პერსპექტიული მოთამაშეა“. იტალიური პრესის ცნობით, „ინტერი“ უკვე აწარმოებს მოლაპარაკებებს ლონდონურ კლუბთან და არ არის გამორიცხული, რუმინელი მომავალ სეზონში ინგლისში გაუშვას. სატრანსფერო თანხას არ იუწყებიან, ისიც შესაძლოა მუტუ „ჩელსიში“ განათხოვრებით გადაბარგდეს.**

**გერმანიის** ჩემპიონატის ლიდერ „ლევერკუზენის“ ბრაზილიელმა ნახევარმცველმა ემერსონმა მუხლი დაიზიანა და სეზონის ბოლომდე ვერ ითამაშებს. ფეხბურთელი გასულ კვირას, როსტოკის „ჰანზასთან“ მატჩში დაშავდა, რამდენიმე დღეში კი ტრავმა გაუმიზეზდა და ექიმების თქმით, დაახლოებით 7 კვირას დაისვენებს. შეგახსენებთ, რომ მომავალი სეზონიდან ემერსონი, შესაძლოა „რომაში“ ჩაირიცხოს.

**ინგლისური „ტოტენჰემის“ მთავარი მწვრთნელი ჯორჯ გრემი საავადმყოფოდან გაწერეს. უახლოეს დღეებში მას გამოკვლევას ჩაუტარებენ და საბოლოოდ დაადგენენ, როდის შეძლებს მუშაობის გაგრძელებას. შეგახსენებთ, რომ გრემი ფილტვების ანთებით დაავადდა, თუმცა ნავარაუდევზე გაცილებით ადრე გამოჯანმრთელდა. ლონდონურ კლუბს დროებით დამხმარე მწვრთნელი სტიუარტ ჰიუსტონი ავარჯიშებს, მისი ხელმძღვანელობით „ტოტენჰემმა“ „ლესტერი“ სტუმრად 1:0 დაამარცხა.**

**ბრაზილიელი** ვარსკვლავი რონალდო პარიზში გაკეთებული მუხლის ოპერაციის შემდეგ მილანში „ინტერის“ პრეზიდენტ მასიმო მორატის პირადი თვითმფრინავით დაბრუნდა. რონალდომ ჟურნალისტებთან შეხვედრა არ ინდომა. კლუბის წარმომადგენლის განცხადებით, ის ფეხბურთს რვა-ცხრა თვის შემდეგ დაუბრუნდება.

**თურქ ფორვარდ ჰაქან შუქურს იტალიის ჩემპიონმა „მილანმა“ დაადგა თვალი. „გალათასარაი“ ჯერჯერობით დუმს, თუმცა იტალიური პრესა არ გამორიცხავს, რომ თავდამსხმელმა მომავალი სეზონი აპენინებზე დაიწყოს. მილანელებს კიდევ ერთი ფორვარდის შეძენა სურთ, მათ არჩევანი საფრანგეთის ახალ ჩემპიონ „მონაკოში“ მოთამაშე დავიდ ტრეზეგეზე შეაჩერეს. თუმცა ფრანგები იუწყებიან, რომ ტრეზეგეს გაყიდვას არ აპირებენ, გაისად ჩემპიონთა ლიგაში ვთამაშობთ, გამოცდილი ფეხბურთელები გვჭირდება და ტრეზეგეს, ალბათ, არ გავყიდითო.**

**შოტლანდიის** ჩემპიონ „გლაზგო რეინჯერსში“ მოასპარეზე იტალიელ მცველ ლორენცო ამორუზოს განცხადებით, მას „ბარსელონა“ და „ბაიერნი“ ეპატიჟებიან. „ეს მართალია, ამ კლუბებს მართლაც სურთ ჩემი გადაბირება — განუცხადა ამორუზომ გაზეთ „დეილი რეკორდს“ — თუმცა ჯერჯერობით „რეინჯერსის“ პასუხს ველი. თუ გუნდი გაყიდვას დამიპირებს, „ბარსელონას“ და „ბაიერნს“ მხოლოდ მაშინ გამოვეხმაურები“. გლაზგოურ, კატალონიურ და მიუნხენურ კლუბებს კონტრაქტის თაობაზე ჯერჯერობით არაფერი უთქვამთ.

**ესპანური მადრიდის „ატლეტიკოს“ თავდამსხმელი ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკი სეზონის ბოლოს, შესაძლოა საფრანგეთის ჩემპიონ „მონაკოს“ შეუერთდეს. პრიმერადივიზიონის საუკეთესო ბომბარდირზე არაერთ სახელოვან კლუბს უჭირავს თვალი, მათ შორის „მილანს“, „ვალენსიას“, „პსვ ეინდჰოვენს და „ბეტისს“, თუმცა ჰოლანდიელი ფორვარდისა და მადრიდული კლუბის პასუხი ჯერჯერობით უცნობია.**

**ესპანელმა** ნახევარმცველმა ხოსე მარია „გუტი“ გუტიერესმა ტრავმა მიიღო და დაახლოებით ერთ თვეს ვერ ითამაშებს. „რეალის“ ფეხბურთელი პრიმერადივიზიონის ერთ-ერთ ბოლო ტურში „სელტასთან“ მატჩში დაშავდა. მიმდინარე სეზონში გუტიმ მეოთხე ტრავმა მიიღო. ექიმები იმედოვნებენ, რომ ფეხბურთელი სეზონის ბოლოს გამოჯანმრთელდება და თუ „რეალი“ ჩემპიონთა ლიგის ფინალში მოხვდა, გუტი გუნდს დაეხმარება. პრიმერადივიზიონში კი ნახევარმცველი სულ ცოტა, სამ ტურს გამოტოვებს.

**იტალიური „პარმა“ და „მილანი“ ვალენსიელი ხერარდის შემდეგ კიდევ ერთმა ფეხბურთელმა დააინტერესა. ორივე კლუბი სეზონის ბოლოს ბრაზილიელი დენილსონის გადაბირებას ცდილობს. ერთ დროს მსოფლიოს ყველაზე ძვირადღირებული ფეხბურთელი ამჟამად „ბეტისში“ ასპარეზობს, თუმცა დიდი წარმატებებით ვერ დაიკვეხნის. თავად ფეხბურთელმა ადრეც განაცხადა, რომ სერია A-ში თამაში სურს. იტალიური პრესის ცნობით, „პარმა“ და „მილანი“ ბეტისს 7 მილიონ გირვანქას სთავაზობენ, თუმცა სევილიური კლუბის პრეზიდენტი ჯერჯერობით პასუხისგან თავს იკავებს.**

**ბულგარეთის** თასის ნახევარფინალი. I მატჩები. ლევსკი — ველბაჟდი 6:1; ჩერნომორეცი — ნეფტოხიმიკი 2:2. საპასუხო მატჩები გაიმართება 2-3 მაისს.

გიო ახვლედიანის



სვეტი

## უეფას თასის აღება

„გალათასარაი“ ალბათ ყველაზე საინტერესო და ძლიერი გუნდია იმათ შორის, ვინც კი ოდესმე გასულა უეფას თასის ფინალში. ამას ბევრი მტკიცება არ სჭირდება, იმიტომ, რომ „გალათასარაი“ იმგვარ ფეხბურთს თამაშობს, სხვები რომ ხვალ ითამაშებენ. „გალათასარაიმ“ წლეულს ისეთი გუნდები წამოაქცია, რომ..

მოვეშვათ ბოროტ ხუმრობას და ვაღიაროთ, რომ უეფას თასი იმას დაემსგავსა, რისთვისაც თასების თასი გააუქმეს. რა თქმა უნდა, არა იმიტომ, რომ ფინალში „გალათასარაი“ გავიდა. ყოფილა დრო, ჩემპიონთა თასის ფინალში ბერძნულ კლუბებსაც უთამაშიათ. არამედ იმიტომ, რომ ფონი უეფას თასის ტურნირისა, ძლიერ და სახელოვან მონაწილეთა მიუხედავად, გამოდგა ულიმღამო და ერთგვარად პროვინციული ჩემპიონთა ლიგასთან შედარებით. მთავარი სენსაციები მეოთხედფინალში დატრიალდა. ამ გათამაშების ნახევარფინალები მეტად ულიმღამო გამოდგა ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალებთან შედარებით.

უეფას თასის ნახევარფინალში გავიდა ჩემპიონთა ლიგის ჯგუფებიდან გავარდნილი ორი გუნდი, „არსენალი“ და „გალათასარაი“, რომლებმაც დრამატულ ბრძოლებში დათმეს საგზურები და ასევე „ლანსი“, რომელსაც თავისუფლად შეეძლო „მარსელისა“ და „ბორდოს“ მაგივრობა გაეწია ლიგაში.

მეოთხე იყო „ლიდსი“, რომელმაც ბოლო სეზონნახევარი საუცხოოდ ითამაშა და გაზაფხულზელა უწია ინფორქტმა. ნახევარფინალს მიღმა დარჩნენ იტალიური და ესპანური კლუბები. ეს მაშინ, როცა ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში სამი ესპანური გუნდი გავიდა.

ამგვარ შედეგთა ახსნა-განმარტება ახლა შორს წაგვიყვანდა. თუმცა, იმას კი მოგახსენებთ, რომ თასებით განებივრებულ კლუბებს უეფას თასი როგორღაც ნაკლებად ხიბლავთ.

ისედაც აშკარაა, რომ მთავარი ჩემპიონთა ლიგაა. თავისი კალენდრით, ფინანსებით, ტელერეპორტაჟებით ის აშკარად ჩაგრავს უეფას ტურნირს. ჩემპიონთა ლიგამ უეფას თასს სუდარა გადააფარა. ჩემპიონთა თასი ყოველთვის მეტი იყო უეფას თასზე, მაგრამ მხოლოდ ნაბიჯით და ეს ნაბიჯიც მკვეთრი არ იყო. ახლა კი ჩემპიონთა ლიგამ, რომელშიაც ადრე მხოლოდ ჩემპიონები თამაშობდნენ, ძველი უეფას თასის გუნდებიც შეიერთა, უეფას თასს კი საშუალო კლუბთა დივიზიები მიუყარა და იქ თავისი რიგების უღიმღამო წარმომადგენლები მიუგდო.

ასე რომ, ამ მხრივაც, უეფას თასი ის თასი აღარ არის.

ეგებ, მალე ისიც გასაუქმებელი შეიქნეთ.

თუ გაუქმება არ უნდათ და უეფას ტურნირი რაღაც ჰარმონიაში მაინც უნდა იყოს ჩემპიონთა ლიგასთან, განვითარება უნდა ეტყობოდეს.

ეგებ მის ფინალისტებს ჩემპიონთა ლიგის საგზური მიანიჭონ. ან, რა ვიცი. უეფას თასის აღება, ერთი შიდა ჩემპიონატის მოგებას აღარ უნდა უდრიდეს?

# თქვენ ცვლით, სერ, ესე იგი, ცხაროზთ

## რუუდ ვან ნისტელროი უკვე მანჩესტერელია

ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში მადრიდის „რეალთან“ დამარცხების შემდეგ „მანჩესტერ იუნაიტედში“ გარკვეული საკადრო ცვლილებებია მოსალოდნელი. ინგლისური პრესა არ გამორიცხავს, რომ გუნდი, შესაძლოა რამდენიმე ფეხბურთელმა დატოვოს და მათ მაგიერ ახალი მოთამაშეები გამოჩნდნენ.

სატრანსფერო რეფორმას „მანჩესტერ იუნაიტედმა“ გუშინ რუუდ ვან ნისტელროის ყიდვით ჩაუყარა საფუძველი — „მანჩესტერსა“ და პსვ-ს შორის მოლაპარაკება დილით დაიწყო და რამდენიმე საათში დასრულდა. „ვან ნისტელროი „მანჩესტერ იუნაიტედის“ წევრია“ — განაცხადა პსვ-ს პრესატაშემ პედრო სალაზარმა.

ტრანსფერის ოფიციალურ ღირებულებას კლუბები არ ასახელებენ, თუმცა ინგლისურ პრესას თუ ვერწმუნებით, თანხა დაახლოებით 18,5 მილიონი გირვანქაა, რაც ბრიტანულ ტრანსფერებში სარეკორდო მაჩვენებელია.

— მჯერა, რომ გავამართლებ — განაცხადა თავად ვან ნისტელროიმ პარასკევს გამართულ ოფიციალურ პრესკონფერენციაზე — ერთი სული მაქვს, როდის დავამტკიცებ ჩემს სიძლიერეს.

ჰოლანდიელს გუნდში შექმნილ თავდამსხმელთა კონკურენციაზეც დაეკითხნენ. მან კი თქვა, რომ ნებისმიერ დიდ კლუბს სჭირდება სამი-ოთხი მაღალი კლასის ფორვარდი, უამისოდ დღევანდელ ფეხბურთში ვერაფერს გახდები. „მანჩესტერში“ თავდამსხმელთა სიმრავლე მას სულაც არ აღარდებს.

— პირიქით, დიდ სტიმულს მაძლევს ის, რომ შემადგენლობაში ადგილის დამკვიდრება მომიწევს — დასძინა ვან ნისტელროიმ.

„მანჩესტერისა“ და პსვ-ს შეთანხმება ერთობ უცაბედად მოხდა. ფეხბურთელი ადრეც აცხადებდა, რომ ინგლისში თამაში სურდა, მაგრამ გაცილებით რეალურ კანდიდატებად ყოველთვის „ჩელსისა“ და „არსენალს“ ასახელებდნენ.

ერთ-ერთ ადრინდელ ინტერვიუში ჰოლანდიელი აცხადებს: „საიდუმლო არ არის, რომ ინგლისში გადასვლა მინდა, ოღონდ დღემდე ვერ გადამიწყვეტია, სად წავიდე. ძნელია, გააკეთო არჩევანი, როცა ერთდროულად რამდენიმე ბრიტანული გრანდი გეპატიჟება“.

ვან ნისტელროის თანამემამულე იაპ სტამს ადრე უთქვამს, დარწმუნებული ვარ, რუუდი ის ფეხბურთელია, რომელმაც „მანჩესტერში“ უნდა ითამაშოსო.

გამართლდა გამოცდილი მცველის სიტყვები, ვან ნისტელროი სერ ალექსის გუნდშია. უდავოა, რომ იგი ძალიან პერსპექტიული მოთამაშეა, ამას მისი ბოლოდროინდელი მიღწევებიც ადასტურებს. (რუუდი 29 გოლით ჰოლანდიის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირია) თუმცა ჯერ კიდევ ბევრი რამ უნდა დაამტკიცოს.



რუუდ ვან ნისტელროის საკუთარი თავის იმედი აქვს

ვან ნისტელროისთან ერთად ფერგიუსონმა რამდენიმე სხვა ძლიერი ფეხბურთელიც შეარჩია, რომლებიც მომავალი სეზონიდან, შესაძლოა „ოლდ ტრეფორდზე“ გადაიბიროს.

სერ ალექსს ძლიერ სურს მიუნხენის „ბაიერნის“ მეკარე ოლივერ კანის ხელში ჩაგდება, თუმცა თავადვე აღნიშნავს, კანი „ბაიერნიდან“, ალბათ, არსად წავა და მასთან შეთანხმების მიღწევა გარკვეულწილად შეუძლებელიაო.

„მანჩესტერის“ გოლკიპერად ფერგიუსონს იტალიის ნაკრებისა და „პარმას“ კარის დარაჯი ჯანლუიჯი ბუფონი წარმოუდგენია, რომელიც ჯერ მხოლოდ 22 წლისაა და თავის ამპლუაში კონტინენტზე ერთ-ერთი უძლიერესია. არაოფიციალური ინფორმაციით, ინგლისის ჩემპიონი ბუფონში 10 მილიონ გირვანქას იხდის.

ბრიტანული პრესა დორტმუნდის „ბორუსიას“ მეკარე იენს ლემანზეც საუბრობს, რომელსაც თურმე ძალიან უნდა „მანჩესტერის“ მაისურას მორგება.

თავად ფერგიუსონს ლემანის შესახებ ჯერჯერობით არაფერი უთქვამს, თუმცა ეს ცნობა სულ ახლახან გავრცელდა და შესაძლოა მწვრთნელმა კომენტარი უახლოეს მომავალში გააკეთოს.

დაცვის ხაზის გაძლიერებას შოტლანდიელი სპეციალისტი ტოტენჰემელი სოლ კემპბელით აპირებს. ფერგიუსონს ცენტრალური მცველის შეძენა ადრეც სურდა, მაგრამ ვერ მოახერხა, ახლა კი, არ არის გამორიცხული, გადაიბიროს.

„წითელ ეშმაკებს“ ვალენსიელი კილი გონსალესისთვისაც დაუდგამთ თვალი და არგენტინელ ნახევარმცველში 6 მილიონ გირვანქას იძლევიან. კილი ძირითადად შეტევის მარცხენა ფლანგზე თამაშობს, „მანჩესტერში“ კი ამ პოზიციაზე რაიან გიგზია გამწესებული. ჯერაც გაურკვეველია, რამდენად მოახერხებს გონსალესი გიგზის შემადგენლობიდან ამოგდებას, თუმცა ინგლისელები ვარაუდობენ, რომ ფერგიუსონი არგენტინელს შეცვლაზე შეიყვანს ხოლმე.

სერ ალექსის ბოლოდროინდელი აქტიურობა სატრანსფერო ბაზარზე ერთობ მოულოდნელია. ცოტა ხნის წინ მან თავად განაცხადა, კლუბებმა ახალი ფეხბურთელების შეძენისგან თავი უნდა შეიკავონ და ყურადღება საკუთარი ბავშვთა სკოლების აღზრდილებს მიაპყრონო...

**ნიკა შუბლაძე**

# კლუივერტი უცოდველია

სწორედ ამაზეა ნათქვამი, რაც არ გერგება, არ შეგერგებაო.

როგორც იქნა, ბოლო მოეღო ჰოლანდიის ეროვნული ნაკრებისა და ესპანური „ბარსელონას“ ფორვარდ პატრიკ კლუივერტის საქმეს.

ალბათ გახსოვთ, მავანი ჰოლანდიელი მარიელ ბუნი კლუივერტსა და მის სამ მეგობარს ადანაშაულებდა, კლუივერტის სახლში გამაუპატიურესო.

განაჩენი გამოტანილია და გასაჩივრებას არ ექვემდებარება — გამოაცხადა ამსტერდამის სამოქალაქო სასამართლოს მოსამართლემ.

რა ხდება, რაშია საქმე? ორი წლის წინ ხომ უკვე განიხილეს საქმე და კლუივერტი და მისი მეგობრებიც დაჰკითხეს. მაშინ ყველანი უდანაშაულოდ ცნეს და საქმეც დაიხურა.

მაგრამ მარიელ ბუნი არ დაწყნარებულა. მან ახლა უკვე სამოქალაქო სასამართლოში აღძრა სარჩელი, მიყენებული მორალური ზარალისთვის კომპენსაციას ითხოვდა. გუშინ კი მოსამართლემ ყოველივეს ნათელი მოჰფინა. ამსტერდამის სამოქალაქო სასამართლომ ბრალდება უსაფუძვლოდ მიიჩნია, მარიელი აქეთ გაამტყუნა და დაადგინა, რომ მან პატრიკ კლუივერტს ცილისწამებისთვის 18 000 დოლარი უნდა გადაუხადოს.

გაგეცინებათ, ეს თანხა ხომ კლუივერტისთვის ბევრს არაფერს ნიშნავს, მაგრამ მასზე ალალია. რატომ? მარიელ ბუნის წყალობით ფეხბურთელს მოძალადის სახელი გაუვარდა, მეორეც, ფეხბურთის თამაშის გარდა გამუდმებით სასამართლოში უწევდა სირბილი.

**გიორგი ვაშაკიძე**

# ეს ბიჭი ჩემთვის მინდა

როგორც იცით, გასულ შაბათს „მონაკომ“ შინ „ნანსისთან“ 2:2 ნათამაშევი ფრით ვადამდე მოიპოვა საფრანგეთის ჩემპიონობა.

კლოდ პუელის გუნდიც გაისად ჩემპიონთა ლიგაში იასპარეზებს, მაგრამ ასპარეზობაცაა და ასპარეზობაც.

ოლიმპიური დევიზი, მთავარია მონაწილეობა, მონაკოელებს აქედანვე არ აკმაყოფილებთ და ვინაიდან ჩემპიონობა უკვე დაიბევს, ახლა დამშვიდებით შეუძლიათ, ახალი სეზონისთვის სასურველი ფეხბურთელები შეიგულონ.

„მონაკოს“ ფეხბურთელებს — დავიდ ტრეზეგეს, მარტინ ჯეტუს, ფილიპ კრისტენვალსა და სხვებს ბევრი ბობოლა ევროპული კლუბი ეკურკურება. დასუსტება რას მიქვიაო, პირიქით უნდა გავძლიერდეთო, გაიძახიან კაზინოებით განთქმულ ჯუჯა სახელმწიფოში და აი, დასტურიც.

ხმა გავარდა, მონაკოს თავად ლუი მეორეს იტალიური „მილანის“ მცველ პაოლო მალდინის თავის გუნდში ხილვა სურსო. „ჩინებული იქნება, თუ ჩემპიონთა ლიგაში იტალიური დუეტით წარვდგებით — პაოლო მალდინი და მარკო სიმონე, რომელიც აგერ უკვე მესამე წელია, ჩვენთან თამაშობს“.

ჯერჯერობით „მონაკოს“ ამის თაობაზე კომენტარი არ გაუკეთებია. „სეზონის ბოლოა და ასეთი მითქმა-მოთქმა მანამდე არ შეწყდება, ვიდრე გუნდი ახალი სეზონისთვის საბოლოოდ არ დაკომპლექტდება“ — აცხადებს გუნდის პრესატაშე.

**გიორგი ვაშაკიძე**

კითხვა — პასუხი

— აბა, ერთი, კარგად დამენახე...

— ***აჰა, აქა ვარ.***

— არაფერს იტყვი?

— ***კარგია, აწი მშვიდად ვიქნები.***

— რად გინდა ეგეთი გუნდის ბალეშჩიკობა, ყოველ კვირაში გულს რომ გიხეთქავს?

— ***ფეხბურთი ეგ არის, მეტი არაფერი.***

— კარგია, „მანჩესტერი“ რომ გავარდა.

— ***რატომ არის კარგი?***

— თუნდაც იმიტომ, რომ შენ დამშვიდდი.

— ***ამისთვის ნამდვილად არ ღირდა „მანჩესტერის“ გავარდნა.***

— და კიდევ, ახლა „ბარსა“ ნაღდად აიღებს თასს.

— ***მე მგონი პირიქით.***

— რას ნიშნავს „პირიქით“?

— ***პირიქით ნიშნავს იმას, რაც „ბარსას“ პირიქითაა, ანუ „რეალს“.***

— აი, შეზღუდული აზროვნება. რახან „რეალმა“ „მანჩესტერი“ გააგდო, თასს აიღებს?

— ***„მანჩესტერი“ გააგდო და „ბაიერნს“ რაღას უზამს?***

— „რეალმა“ „ბაიერნს“ რა უნდა უქნას?

— ***დახერხავს ფიცრებად და გაუშვებს სახლში.***

— ო-ჰო-ჰო, წელს უკვე ორჯერ დახერხა, და ახლა კიდევ, არა?

— ***მაშინ სხვა „რეალი“ იყო.***

— რას ბოდავ? როგორ შეიძლება სხვა „რეალი“ არსებობდეს?

— ***„მანჩესტერს“ რომ მოუგო, ის „რეალი“ იყო, „ბაიერნთან“ რომ წააგო?***

— მისმინე, ანელკა ხომ იმ „რეალშიც“ იყო?

— ***იყო.***

— ჰოდა, იგივე „რეალი“ ყოფილა.

— ***ამ კაი ადგილას ანელკა რა სახსენებელია?***

— აბა, ვინ ვახსენოთ.

— ***და მაკმანამანი?***

— ჰო, ტელევიზორში ამბობენ, თამაში არ იცისო.

— ***საწყალი მაკმანამანი, თამაში არ იცისო.***

— და გაზა?

— ***გაზა რამ გაგახსენა?***

— რა ვიცი რამ გამახსენა. არც დამვიწყებია.

— ***სწორია, არ უნდა გადავიწყდეს.***

— თასს კი მაინც „ბარსა“ აიღებს.

— ***ბოდიში და კლაუდიო ლოპესი ხომ ისევ „ვალენსიაში“ თამაშობს?***

— ჰო, რა იყო?

— ***არა, არაფერი.***

— შენ ეგეთებს თავი დაანებე.

— ***თორემ, რა?***

— ერთი „გალათასარაი“ შენთვის მოიძებნება.

— ***მაგათი არ მეშინია.***

— აბა ვისი?

— ***„რეალის“ მეშინოდა და ახლა ვიღასი უნდა მეშინოდეს?***

# პროკურატურა და პანტანი
## ჯერ სიყვარული, მერე მტრობა


მარკო პანტანი

 იტალიის ქალაქ ფორლის მოსამართლემ გუშინ დიდი იტალიელი ველომრბოლის, „მეკობრედ“ წოდებული მარკო პანტანის წინააღმდეგ საქმე აღძრა. მას სპორტულ აფერისტობაში ედება ბრალი. შეგახსენებთ ვითარებას. გასული წლის „ჯირო დიტალიას“ უმნიშვნელოვანესი ტური პანტანის თითქმის მოგებული ჰქონდა, როცა ფინიშამდე ორი ეტაპით ადრე შეამოწმეს და სისხლში ჰემატოკრიტის (სისხლის წითელი ბურთულებია და ადამიანს აქტივობას ჰმატებს) დონე 52 პროცენტის ტოლი დაუდგინეს, რაც დასაშვებს ორი პროცენტით სჭარბობდა. მრბოლის უსიამოვნებებიც აქედან დაიწყო, „ჯიროდან“ ხომ მოკვეთეს და დისკვალიფიკაცია მისცეს, მერე კინაღამ ავტოსაგზაო შემთხვევას შეეწირა. თავად მუდამ გულმოდგინედ ირწმუნებოდა, დოპინგს არ გავკარებივარო. იტალიის ოლიმპიური კომიტეტის მესვეურებმა მისი არგუმენტები ირწმუნეს და სპორტსმენსი აღარ დასაჯეს. მერე „მეკობრე“ ველოსპორტში რეაბილიტაციას ცდილობდა, მაგრამ ამაოდ დაშვრა: სეზონის პირველ, „ვალენსიის ტურზე“ უხეიროდირბოლა, ხოლო „მურსიის ტური“ სულაც მესამე ეტაპზე მიატოვა. პანტანი მაინც იმედიანად უჭვრეტდა მომავალს. მან წლევანდელი სეზონის გამოტოვება განიზრახა. სამაგიეროდ, მომავალი წლიდან ეფექტური დაბრუნება ჰქონდა ჩაფიქრებული, თუმცა, უახლესი ინფორმაციით, იქნებ ყველაფერი ისევ თავდაყირა დადგეს. არადა, პანტანის წინააღმდეგ საქმის აღძვრა მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას ჰგავდა, რადგან აქამდე პროკურორებიც კი კეთილგანწყობილნი იყვნენ მის მიმართ და აღიარებდნენ, რომ მტკიცებათა ნაკლებობის გამო მისი დახურვაც არ იქნებოდა უმართებულო. ახლა იუწყებიან, რომ ახალ ფაქტები აღმოჩნდა. 1995 წელს პანტანი ვარჯიშისას დაშავდა და ჰოსპიტალში გააქანეს, სადაც სხვა სიკეთეებთან ერთად სისხლის სინჯიც აუღეს და, როგორც ირკვევა, არც მაშინ ყოფილა ჰემატოკრიტის დონე ნორმის ფარგლებში, 58 პროცენტი დაუდგენია ანალიზს.

პანტანი იტალიელთა ერთ-ერთი უსაყვარლესი სპორტსმენია. გაიმეტებენ ვითომ ვირის აბანოში გასაშვებად? ვნახოთ.

**დავით გულუა**



# უნახავმა რა ნახა

29 აპრილს „მედისონ სკვერ გარდენში“ ამერიკელი მაიკლ გრანტი საბჭოსა (ვბკ) და ფედერაციის (იბფ) მძიმე წონის საჩემპიონო ქამრებს შეეცილება ბრიტ ლენოქს ლუისს.

ბრძოლისწინა ხმაური უკვე გახურებულია და მედიაც მონდომებით აშუქებს მოკრივეთა, განსაკუთრებით კი ლუისის გამო ატეხილ ხმაურს. ფედერალურმა სასამართლომ დონ კინგის სარჩელის საფუძველზე ჩამოართვა ასოციაციის (ვბა) საჩემპიონო ქამარი ლუისს, რომელმაც უარი თქვა ასოციაციის პირველ პრეტენდენტ ჯონი რუისთან შეხვედრაზე, აქაოდა სამივე ტიტული ერთდროულად უნდა დავიცვაო.

ლუისის მწვრთნელმა, ემანუილ სტიუარდმა კი შეგირდი გააკრიტიკა, რინგზე დიდხანს ფიქრობს, ჭადრაკს ბევრ დროს უთმობს და გრანტთან ბრძოლის წინ დუნედ გამოიყურებაო.

გუშინ პრესკონფერენცია გამართა თავად გრანტმაც, რომელმაც ყველას გასაოცრად გამოაცხადა, რომ ლუისის არცერთი ბრძოლის ჩანაწერი არ უნახავს. მაშ როგორ მოემზადა 27 წლის გრანტი (31-0) თავისი კარიერის უმნიშვნელოვანესი ბრძოლისთვის? თანდათან გაირკვა, რომ გრანტს ყველაფერი უნახავს გარდა ლუისის სუსტი ბრძოლების ჩანაწერებისა (ოლივერ მაკკოლთან წაგება ნოკაუტით 1999 წელს და შენონ ბრიგსის დამარცხება 1998 წელს), ვინაიდან, მისი აზრით: „ლუისის სუსტი მხარეები საინტერესო არ არის. საინტერესოა მისი ძლიერი მხარეები“.

„ის ფიზიკურ მონაცემებს იყენებს. მისი მთავარი კოზირი აგებულება და ჯანია“ — თქვა გრანტმა — ჯანი, ჯანი, ჯანი, აი, ეგ კაცი. ჩვენ რაღაცეები მოვიფიქრეთ. თორმეტივე რაუნდი გვინდა, მოკლე ბრძოლა არ გვაწყობს. სულ პრესის ქვეშ უნდა მყავდეს“.

აღდგომა და ხვალეო.

ბრძოლა ჩვენებური აღდგომის ღამეს გაიმართება.

**ალბერტ ხაჩატურიშვილი**



# განკითხვის დღე

ორი კვირის წინანდელი დევისის თასის სკანდალური შეხვედრა ჩილესა და არგენტინის ნაკრებებს შორის ორივე გუნდისთვის საბედისწერო გამოდგა — ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციამ (ITF) საქმის ხელმეორედ განხილვის შემდეგ ისინი უმკაცრესად დასაჯა.

ერთხელაც შენახსენებთ, რომ სანტიაგოში მსაჯობით უკმაყოფილო გულშემატკივრებმა კორტზე სკამები, ბოთლები, ხილი და მონეტები გადაყარეს, რის გამოც ერთეულთა მატჩი მარიანო ზაბალეტასა და ნიკოლას მასიუს შორის შეწყდა. მთავარმა მსაჯმა შეხვედრის დახურულ კარს მიღმა გაგრძელება ბრძანა, მაგრამ არგენტინელები მეორე დღეს შინ გაფრინდნენ, აქ ჩვენს სიცოცხლეს საფრთხე ემუქრებაო და ITF-ში იჩივლეს.

სტუმართა საქციელი საბოლოოდ ავი ძაღლისას უფრო დაემსგავსა: დევისის თასის კომიტეტმა მათ მაინც 0:5 წაგება ჩაუთვალა, ჩილელებს კი 2003 წლამდე შინ თამაში აუკრძალა, ამასთან, ეროვნული ფედერაციები შესაბამისად 77 და 141 ათასი დოლარითაც დააჯარიმა.

ეს გადაწყვეტილება არც ერთი მხარისთვის არ გამოდგა მისაღები და მათაც სასწრაფოდ აპელაციები აახლეს საერთაშორისო ფედერაციას.

კიდევ ერთი ანდაზა რომ მივუსადაგოთ სიტუაციას, ჩილელებმა თხარეს, თხარეს და კატას თუ არა, სასიკვდილო განაჩენს მაინც გამოჰკრეს ხელი: ITF-ის დირექტორთა საბჭომ მათ მოგება კი გაუფორმა, მაგრამ წლეულს კიდევ უფრო წინ წაწევის შანსი მოუსპო.

„ჩილეს არა აქვს უფლება, უმაღლეს ლიგაში გადასასვლელ საპლეიოფო მატჩში ივლისში მაროკოს შეხვდეს, არგენტინამ კი კიდევ უფრო დაქვეითების თავიდან ასაცილებლად უნდა იბრძოლოს. უმაღლეს ლიგაში ავტომატურად გადადის მაროკო“ — ნათქვამი საბჭოს განცხადებაში.

ITF-ის გულქვა დირექტორებმა თავიანთი ადრინდელი გადაწყვეტილება, ჩილესთვის მატჩების მასპინძლობის აკრძალვა, ძალაში დატოვეს, თუმცა სამხრეთამერიკელების მიმართ ოდნავი გულმოწყალება მაინც გამოიჩინეს და ფულადი ჯარიმები შეამცირეს: თავგასული მასპინძლები 47800 დოლარით გაღარიბდნენ, არგენტინელები — 25700-ით.

# ნავრატილოვა ბრუნდება?


მარტინა ნავრატილოვა

ოკეანის გაღმიდან მართლაც რომ სენსაციური ცნობა მოვიდა — ლეგენდარული მარტინა ნავრატილოვა, მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი, ივნისში ისტბორნის ტურნირზე თამაშს აპირებს.

43 წლის ჩეხური წარმოშობის ამერიკელი პროფესიონალურ ჩოგბურთს 1994-ის ნოემბერში გამოემშვიდობა. ამ ხნის მანძილზე ის მშვიდ ცხოვრებას ეწეოდა და ბიორნ ბორგასგან განსხვავებით კორტზე ნაშოვნი მილიონები თვალის დახამხამებაშიც არ გაუფანტავს. ასე რომ, ძველი პროფესიისთვის ხელი იმიტომ არ მოუკიდია, რომ მევალეებისგან სული მოეთქვა.

მაშ, რაღა დარჩენია ყველა დროის ერთ-ერთ საუკეთესო ჩოგბურთელს კორტზე, როდესაც მისი გაცილებით ახალგაზრდა კოლეგები 30 წლის ასაკში ანებებენ თავს თამაშს? ძნელი სათქმელია, რადგან ნავრატილოვას ჯერჯერობით არავითარი განცხადება არ გაუკეთებია მომხდარის შესახებ.

მარტინა ისტბორნში მხოლოდ წყვილებში ითამაშებს, 29 წლის სამხრეთაფრიკელ, როგორც ამბობენ, თანალესბოსელ მარიან დე შვარდტთან.

ინგლისური ბალახის პირველობაზე კი ნავრატილოვას არჩევანი შემთხვევით სულაც არ გაუკეთებია — აქ თავის საყვარელ, სწრაფ საფარზე ის ზედიზედ ექვსჯერ, 1981-86 წლებში ჩემპიონი გახლდათ წყვილებში, ერთეულებში კი კიდევ უფრო მეტი, 10 ტიტული მოიპოვა.

ვინ იცის, იქნებ მარტინამ უიმბლდონზე ასპარეზობა და „ოლ ინგლენდ კლაბში“ მეათედ გამარჯვება ამოიჩრა გულში.


ალექს კორეტხა

# ფეხბურთელების კვალზე

მასტერსის სერია — მონტე კარლო. მონაკო. თიხნარი. საპრიზო 3 მილიონი $

თანამემამულე ფეხბურთელების გმირობით შეგულიანებულ ესპანელ ჩოგბურთელებს მონტე კარლოში ჩემპიონობაზე უჭირავთ თვალი.

„როგორც ჩანს, ესპანურ სპორტს ოქროს ხანა უდგას. ფეხბურთი, ჩოგბურთი, გოლფი, მძლეოსნობა — ყველგან წარმატებებს ვაღწევთ. მიხარია, რომ ამ პროცესის ნაწილი ვარ“ — ეს სიტყვები „ბარსელონას“ თავგადაკლულ ქომაგ ალექს კორეტხას ეკუთვნის.

ქრონიკული გადაღლილობის გამო შარშან კლასიფიკაციაში შესამჩნევად დაქვეითებული კორეტხა ნელ-ნელა იბრუნებს ძველ ფორმასა და პოზიციებს. გასულ თვეში ინდიან უელსის პრესტიჟული ტურნირის გამარჯვებულმა მონტე კარლოში უკვე მეოთხედფინალში შეაბიჯა, არგენტინელი ხუან იგნასიო ჩელას 6:3, 6:3 დამარცხებით.

„მასტერსის სერიის პირველობებზე განსაკუთრებით მონდომებულად ვთამაშობ, რადგან ისინი მნიშვნელობით თითქმის დიდ სლემებს უტოლდებიან. მათზე ყველა საუკეთესო ჩოგბურთელი ასპარეზობს. სასიამოვნოა, რომ შარშან ყველასგან ჩამოწერილმა წლეულს შევძელი თავის გამოჩენა“ — განაცხადა მატჩის შემდეგ ესპანელმა.

მეოთხედფინალის საგზური მოიპოვა კორეტხას თანამემამულემ, 20 წლის ამომავალმა ვარსკვლავმა ხუან კარლოს ფერერომ. „მოსკიტად“ წოდებულმა ესპანელმა ამჯერად სისხლი არგენტინელ ფრანკო სკილარის გამოსწოვა 6:2, 6:4.

ფერეროს ფეხბურთში კორეტხასგან განსხვავებული პრიორიტეტები გააჩნია: „ძალიან მიხარია, რომ მადრიდმა მოიგო. თავად ვალენსიელი ვარ და, ბუნებრივია, თანაქალაქელთა წარმატებაც არანაკლებ სასიამოვნო იყო. იმედი მაქვს, ვალენსია ნახევარფინალში ბარსელონას დაამარცხებს და გადამწყვეტ მატჩში ჩემი საყვარელი გუნდები შეხვდებიან ერთმანეთს“.

ფეხბურთში აზრთა სხვადასხვაობა ესპანელებს მეგობრობაში ხელს არ უშლის და გამოცდილი კორეტხა უმცროს კოლეგას დიდ მომავალსაც უწინასწარმეტყველებს: „ეს ბიჭი უკვე არაჩვეულებრივად კარგი მოთამაშეა და უახლოეს ხანებში საუკეთესო ათეულელიც გახდება. ჯერ კიდევ ბევრი რამ აქვს სასწავლი, მაგრამ ასეთი აგრესიულობითა და შემტევი სტილით ყველა საფარზე მიაღწევს წარმატებას. მისი კონცენტრირების უნარი მართლაც მაოცებს“.

თიხნარზე ახალგაზრდა ესპანელი უკვე ანგარიშგასაწევ ძალას წარმოადგენს. შარშან სექტემბერში მან სწორედ კორეტხას მოუგო მალიორკის ტურნირის ფინალში, ორიოდ კვირის წინ კი დევისის თასზე ევგენი კაფელნიკოვი გაანადგურა.

იმ მატჩის შემდეგ ფერერომ ცისკენ საჰაერო კოცნა გაგზავნა. ქესტი ოთხი წლის წინ გარდაცვლილ დედას, როსარიოს ეძღვნებოდა, რომლის სიკვდილიც ჩოგბურთელმა ძალიან განიცადა და მხოლოდ მამის, ედუარდოს დაჟინებული თხოვნით გააგრძელა ვარჯიში.

„წლეულს როლან გაროსის მოგებაზე ფიქრი ნაადრევია, მე რეალურად ვაფასებ საკუთარ ძალებს. ბოლო ხანებში მართლაც დიდ პროგრესს მივაღწიე, ვნახოთ, რა მოხდება“.

მერვედფინალი: **სედრიკ პიოლინი** (8, საფრანგეთი) — სლავა დოსედელი (ჩეხეთი) 3:6, 7:5, 6:4; **ალბერტ კოსტა** (12, ესპანეთი) — რიჩარდ კრაიჩეკი (ჰოლანდია) 7:6 (7:3), 6:3; **დომინიკ ჰრბატი** (სლოვაკეთი) — არნო კლემანი (საფრანგეთი) 6:4, 7:5; **ქარიმ ალამი** (მაროკო) — კრისტიან რუუდი (ნორვეგია) 2:6, 6:1, 7:6 (7:2); **კაროლ კუჩერა** (სლოვაკეთი) — სხენგ შალკენი (ჰოლანდია) 6:2, 6:4; **გასტონ გაუდიო** (არგენტინა) — ჟულიან ბუტე (საფრანგეთი) 6:3, 7:5.

ჰილტონ ჰედ აილენდი. FAMILY CIRCLE CUP. მწვანე თიხნარი. საპრიზო 1 მილიონი $

მერვედფინალი: **მარი პირსი** (1, საფრანგეთი) — ანა სმეშნოვა (ისრაელი) 6:1, 6:2; **კონჩიტა მარტინესი** (2, ესპანეთი) — ფლორენსია ლაბატი (არგენტინა) 6:3, 6:0; **მონიკა სელეში** (3, აშშ) — ელენა ლიხოვცევა (9, რუსეთი) 6:4, 2:6, 7:6 (7:5); **არანჩა სანჩეს-ვიკარიო** (4, ესპანეთი) — პატი შნიდერი (13, შვეიცარია) 7:5, 6:1; **რუქსანდრა დრაგომირი** (11, რუმინეთი) — ანა კურნიკოვა (6, რუსეთი) 6:7 (2:7), 6:3, 6:3; **ელენა დოკიჩი** (ავსტრალია) — ემი ფრეზერი (7, აშშ) 6:2, 6:2; **ამანდა კუტცერი** (8, სამხრეთ აფრიკა) — ელენა დემენტიევა (15, რუსეთი) 6:2, 6:4; **იანა ნეიდლი** (აშშ) — ლაიზა რეიმონდი (12, აშშ) 6:2, 6:3.

**ავთანდილ სვანიძე**

REUTERS მონტე კარლოდან


ხუან კარლოს ფერერო

REUTERS მონტე კარლოდან

# რეზო ჯაფარაშვილი თამაშობს, წვრთნის და ფულს ეძებს



*„ზორდა“ საქართველოს ჩემპიონატში მონაწილე გუნდთაგან ყველაზე ახალგაზრდაა, თუმც მეტად ქირნახული. მას შექმნის დღიდანვე პრობლემები დაებედა. მთავარი მოთამაშეთა ნაკლებობაა. როცა იგი 1999 წლის სეზონის შუაში თერთმეტმა მორაგბე დატოვა (უმეტესობა საფრანგეთში წავიდა სათამაშოდ), ბევრს არ ეგონა, რომ „ზორდა“ გააგრძელებდა ჩემპიონატში ასპარეზობას, მაგრამ გუნდმა იმდენი შეძლო, უმაღლეს ლიგაში მეექვსე ადგილიც დაიბევა. 2000 წლის სეზონისთვის ძველს ახალი პრობლემა — უფულობაც დაემატა.*

*...„ზორდას“ შესახებ საუბარი მის მოთამაშე-მწვრთნელთან, რეზო ჯაფარაშვილთან ვარჩიეთ, ადამიანთან, რომელმაც საკუთარი ხელებით ააშენა ეს გუნდი და მასზე კარგად არავის მოეხსენება მისი ავ-კარგი.*

**— ბევრი პრობლემა დაგროვდა გუნდში?**

— იცოცხლეთ, ბევრი, ჩვენს დროში ვის გააკვირვებ ამით.

**— რამდენიმე ხნის წინ ხმა გავრცელდა, „ზორდა“ იშლებაო...**

— ერთხანს, ამდენი სიძნელისგან გაბეზრებულმა ყველაფერზე ხელის ჩაქნევა გადავწყვიტე, მაგრამ ისიც მშვენივრად მესმოდა, რომ დაშლა უფრო ადვილია, ვიდრე რაიმეს გაკეთება, თან ეს გუნდი ძლივს შეიქმნა, საკმაოდ ბევრი ხალხის ხელშეწყობით და... გადავიფიქრე.

**— ხომ არ მოგვითხრობთ მოკლედ მის ისტორიას?**

— ალბათ იცით, არსებობდა ასეთი გუნდი — „გუმარი“, რომელმაც 1998 წელს სეზონი ვერ დაასრულა. სწორედ მისი ნაშთისა და რამდენიმე სხვა მორაგბის დამატებით შეიქმნა ახალი გუნდი, დაერქვა ახალი სახელი, მოვიდა ახალი მწვრთნელი, ახალი პრეზიდენტი და გაჩნდა „ზორდა“, რომელიც ძალიან პერსპექტიული და თავისი შემადგენლობით ერთ-ერთი უძლიერესი იყო საქართველოს ჩემპიონატში. თავად განსაჯეთ, რვა ზორდელი ნაკრების კანდიდატი გახლდათ. შემდეგ მოხდა ისე, რომ შუა სეზონში თერთმეტი კაცი საფრანგეთში წავიდა, რათა ნაკრებისთვის მომზადებულიყვნენ. მეც ახალგაზრდებს ვენდე და სეზონიც ასე ჩავამთავრეთ.

**— ხომ არ გაგიჭირდათ?**

— ძალიან გამიჭირდა. პირველ რიგში იმიტომ, რომ მარტო დავრჩი ამდენი პრობლემის წინაშე. როცა მწვრთნელად გუნდში მოვდიოდი, სულ არ მეგონა, რომ ფულზეც უნდა მერბინა, ფორმებიც უნდა მეშოვა, სტადიონიც მექირავებინა და ამ პატარა ბიჭებისთვის თამაშიც უნდა მესწავლებინა. არადა, წესით ჩემი საქმე მხოლოდ ეს არის. თან იმასაც თუ გაითვალისწინებთ, რომ პროფესიონალი არ ვარ და მწვრთნელობას მწვრთნელობისას ვსწავლობდი, წარმოიდგენთ, რა დღეშიც ჩავვარდი.

**— გასულ სეზონში საკმაოდ ხშირად გხედავდით მოედანზე...**

— მე ხომ მოთამაშე-მწვრთნელი ვარ. შემეძლო, რა თქმა უნდა, არ გავსულიყავი სათამაშოდ, მაგრამ ახალგაზრდებისთვის ძალიან დიდი სტიმულია, როცა მათთან ერთად ირჯები მოედანზე, თუმცა უფრო მეტად რაგბის სიყვარულით ვაკეთებდი ამას.

**— ახლა რა ვითარებაა გუნდში, როგორ აგვარებთ იმ პრობლემებს, რომლებმაც კინაღამ „ზორდას“ დაშლა გაფიქრებინათ?**

— თემურ ბენდიაშვილი ძალიან დაგვეხმარა. ეს კაცი ჩემი მეგობარი და მასწავლებელია, რომლისგანაც ბევრი ვისწავლე რაგბშიც და ცხოვრებაშიც, ამოგვიდგა მხარში და გადაწყდა, რომ მოთამაშეების დანაკლისს „ზორდა“, „ლოკომოტივი 2“-დან შეივსებს. თან ჩემი ძველი მეგობრებიც შევკრიბე — თამაზ ხუადე, გია გიუნაშვილი, ახალგაზრდებთან მხარდამხარ მათაც გამოვიყვან მოედანზე, მეც ვითამაშებ. რაგბის კავშირმაც გაგვიგო და გუნდი კიდევ რომ არსებობს, მათი დათმობების შედეგიცაა.

**— რაგბის კავშირში თანხის შეტანის ვადა 28 აპრილამდე გადაწია. მოასწრებთ ამ დროისთვის ფულის შოვნას?**

— 28 აპრილამდე კი არა, უფრო ადრეც შევიტან ამ თანხას, პრობლემა სულ სხვაა. უნდა ჩამოყალიბდეს კლუბი, რომელსაც თავისი სტრუქტურა, ბავშვთა გუნდები ეყოლება და ძლიერი ფინანსური ზურგი ექნება.

**— ამას ხომ სერიოზული სპონსორი სჭირდება.**

— ჰოდა, გვაქვს კიდეც ასეთ ხალხთან მოლაპარაკება. ვნახოთ, რა გამოვა. ისე, გუნდის დაშლის საშიშროება ისევ არსებობს, რადგან აზრი არა აქვს, ფული მხოლოდ ერთი სეზონისთვის ვიშოვოთ. უბრალოდ, მომავალშიც ხომ იგივე პრობლემა გვექნება და მოთამაშეების ასაკის მომატებასთან ერთად თავსატეხიც მოგვემატება. ამიტომ საქმე თავიდანვე სერიოზულად უნდა გაკეთდეს, სხვანაირად ყველაფერი აზრს კარგავს.

**— „ზორდადან“ ბევრი წავიდა საფრანგეთში, მათი კონტრაქტებიდან არაფერი გერგოთ?**

— იცით, მე ამაზე პრეტენზია არ მაქვს, რადგან ისინი, ჩემი გაზრდილები არ არიან. თუმცა ვთვლი, რომ კარგი იქნებოდა, რაგბის კავშირს გამოეჩინა ინიციატივა ამ მიმართულებით. თუ არ გვერგება, ისიც თქვან, რატომ არ გვერგება. მე ფულზე ლაპარაკს მირჩევნია, რაგბი ვითამაშო.

**— ამ სეზონში ითამაშებს „ზორდა“?**

— ამ ჩემპიონატში ვითამაშებთ, სამაგისო ფულს გამოვნახავთ, შემდეგისთვის ვერაფერს დაგპირდებით.

**ზაზა ბენიძე**



# F1

**მეოთხე ეტაპი** **ბრიტანეთის დიდი პრიზი**

## სილვერსტოუნი

*ლონდონი, 23 აპრილი*




**ტრასის სიგრძე** . . . . . . . . . . . . . . . . . . . . **5.141 კმ**
**რბოლის დისტანცია** . . . . . . . . . . **60 წრე — 308.289 კმ**

*რბოლა დაიწყება ჩვენი დროით 17 საათზე*

### შარშანდელი შედეგები

1 კულჰარდი (მაკლარენი); 2 ირვინი (ფერარი); 3 რ. შუმახერი (უილიამსი); 4 ფრენცენი (ჯორდანი); 5 ჰილი (ჯორდანი); 6 დინიცი (ზაუბერი)

**კვალიფიკაცია** ჰაკინენი (მაკლარენი) 1:24.804

### წინა წლების გამარჯვებულები

1990 — პროსტი (ფერარი); 1991 — მენსელი (უილიამსი); 1992 — მენსელი (უილიამსი); 1993 — პროსტი (უილიამსი); 1994 — ჰილი (უილიამსი); 1995 — ჰერბერტი (ბენეტონი); 1996 — ვილნევი (უილიამსი); 1997 — ვილნევი (უილიამსი); 1998 — შუმახერი (ფერარი)

**საუკეთესო წრე** მ. შუმახერი (ფერარი) - 1997 — 1:24.475

# სამშობიაროში იუბილეა

ნახევარი საუკუნის წინ შუაგულ ინგლისში, ოქსფორდიდან 50 კილომეტრის დაშორებით, გაიმართა ავტორბოლა, რომელსაც ჩვეულებრივზე, ერთ-ერთ რიგითზე, ბევრად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. სწორედ იქ, სილვერსტოუნის სამხედრო აეროდრომის ტერიტორიაზე მოწყობილ ტრასაზე იმ დღეს, 1950 წლის 13 მაისს, „დაიბადა“ ფორმულა. 330-კილომეტრიანი დისტანციის დასაძლევად 21 მანქანის ორსაათიანი ჯირითის შემდეგ პირველი ჩემპიონატის პირველი რბოლის გამარჯვებულიც გაირკვა. დებიუტი იტალიური „ალფა-რომეოს“ პილოტთა ტრიუმფით აღინიშნა — სამივე საპრიზო ადგილი მათ დაიკავეს. ბრიტანეთის პირველი ჩემპიონი 44 წლის ჯუზეპე ფარინა (მეტსახელად „ნინო“) გახდა, მეორე-მესამე ადგილები კი მისმა თანამემამულე ლუიჯი ფაჯიოლიმ და მასპინძელმა რეჯინალდ პარნელიმ დაიკავეს. სინიორ „ნინომ“ იმ წლის ექვსი ეტაპიდან სამი მოიგო, ჯამში 30 ქულა დააგროვა და „სამეფო რბოლების“ პირველი ტრიუმფატორიც გახდა.

ბრიტანეთის დიდი პრიზის გათამაშებას, რაც 50 წლის მანძილზე ერთხელაც არ გამცდარა, სილვერსტოუნის (33-ჯერ) გარდა, კიდევ ორმა ავტოდრომმა — ბრენდს ჰეჩმა (12) და ეინტრიმ (5) უმასპინძლა. „ვერცხლის ქვა“, რასაც სილვერსტოუნი ნიშნავს, დღესაც ერთ-ერთ ყველაზე ჩქაროსნულ ტრასად რჩება. 4600-მეტრიანი წრის სიგრძე, არაერთი რეკონსტრუქციის მიუხედავად, ბევრად არ შეცვლილა — მხოლოდ ნახევარი კილომეტრით დაგრძელდა.

ინგლისის ჩემპიონობა ხუთ-ხუთჯერ მოუპოვებიათ ჯიმ კლარკსა და ალენ პროსტს, გუნდურში კი უპირატესობა „ფერარის“ მხარეზეა — სისხლისფერმა ბედაურებმა 11 პრიზი დაისაკუთრეს. „უილიამსისა“ და „მაკლარენის“ აქტივში 10-10 მოგებაა. დღემდე ერთხელაც ვერ გაუმარჯვნია ორგზის ჩემპიონ მიკა ჰაკინენს, რომლის მონაგარიც ერთი მეორე და ორიც მესამე ადგილია. მიხაელ შუმახერს კი შარშანდელი რბოლა, ალბათ, მთელი ცხოვრება მწარედ ემახსოვრება. პირველივე წრეზე მუხრუჭების მოშლის გამო ტრასის უსწრაფესი მონაკვეთის ბოლოს მას უმძიმესი ავარია შეემთხვა, რასაც შედარებით იოლად გადაურჩა — ფეხის მოტეხვითა და ექვსი ეტაპის გამოტოვებით.

რამდენიმე საინტერესო ფაქტი. 1955 წელს ბრიტანეთის დიდი პრიზის მოგები სტირლინგ მოსი პირველი ინგლისელი შეიქნა, ვისაც მშობლიურ ტრასაზე გაუმარჯვნია. 1965 წელს შოტლანდიელმა ჯეკი სტიუარტმა, 87-ში ინგლისელმა ნაიჯელ მენსელმა, ერთი წლის შემდეგ კი ბრაზილიელმა აირტონ სენამ სწორედ „სილვერსტოუნზე“ მოიპოვეს კარიერაში მეათე გამარჯვებები, ოთხგზის ჩემპიონმა პროსტმა კი 1993 წელს იქ თავისი 50-ე დიდი პრიზი მოიგო „უილიამსის“ ბოლიდით. 94-ის რბოლამ ძალიან დააზარალა შუმახერი — გასახურებელ წრეზე მეტოქის გასწრებისთვის მას ბოქსებში ათწამიანი ჯარიმა უნდა მოეხადა, მაგრამ მსაჯების ნიშანი არაფრად ჩააგდო. ფინიშის შემდეგ მიხაელს მეორე ადგილი ჩამოართვეს და დამატებით ორეტაპიანი დისკვალიფიკაციაც გამოუწერეს.

დაბოლოს, ხვალინდელი რბოლა 650-ე გახდება ფორმულის ისტორიაში, 150-ე „ჯორდანისთვის“ და 450-ე წინათ „ტირელის“ სახელით მოასპარეზე BAR-ისთვის.

**ირაკლი ნიკოლაძე**



REUTERS სილვერსტოუნიდან

სველმა „ვერცხლის ქვამ“ კულჰარდის „მაკლარენი“ შეიწირა



# ოთხწლიანი ფეხმძიმობა
## სოკ-ი ოცდამერვე ბავშვს ათენისგან ელის

ხუან ანტონიო სამარანჩი გაწყრა. მისი ბოლო განცხადება ათენში დაგეგმილი 2004 წლის ოცდამერვე ზაფხულის ოლიმპიადის ორგანიზატორთა კრიტიკით იყო გაჯერებული და ფარულ მუქარასაც შეიცავდა. „შესაძლოა მალე დავიწყოთ საუბარი ოლიმპიადის სხვაგან გადატანაზე — თქვა ესპანელმა მარკიზმა ლოზანაში, სადაც საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის შტაბბინა მდებარეობს — ორგანიზატორებს მდგომარეობის გამოსწორება მხოლოდ წლის ბოლომდე შეუძლიათ, მერე კი გვიან იქნება.“ შემდეგ სოკ-ის პრეზიდენტმა ის დააზუსტა, რომ რაც გუშინწინ ლოზანაში სახალხოდ თქვა, რამდენიმე თვის წინ დელიკატურად მიანიშნა ბერძენთა საორგანიზაციო კომიტეტის წევრებს. როცა ნახა, რომ ამან ვერ გაჭრა, ხმა აღიმაღლა, კომიტეტის წევრთა შეშფოთებაც დააფიქსირა და ბოლოს მოლბა: „ამ დღეებში ბერძენ მალალჩინოსნებს ვხვდებით, იმედია, ეს ნაყოფს გამოიღებს და წლის ბოლოსთვის ხელშესახები შედეგები გვექნება. ვერ წარმომიდგენია, 2004 წლის ოლიმპიადის ათენის გარეთ გამართვა, ამიტომ ცვლილებებს მალე ველი, მით უფრო, ჩემი შენიშვნის შემდეგ“. ის ვერ გავიგეთ, კონკრეტულად რა არ მოეწონა მსოფლიოს ოლიმპიზმის პატრიარქს, მის ნაუბარში ერთადერთმა ტერმინმა გაიჟღერა — „არასწორი სტრატეგიული ცვლილებები“, რაც, მოგეხსენებათ, მეტად ზოგადი ფრაზაა, ამიტომ არცთუ უსამართლო ჩანს ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტის მმართველი დირექტორის, კოსტას ბაკურისის პროტესტი, რომ სამარანჩის კომენტარები გაზვიადებულია და უმთავრესი პრობლემა ის არის, რომ ათენსა და სოკ-ს შორის სუსტი კონტაქტებია. საწინააღმდეგო პოზიციათა მიუხედავად, მხარეებმა ერთმანეთისთვის თბილი სიტყვებიც გაიმეტეს, ხოლო ბელგიელმა დოქტორმა, ჟაკ როგმა მახვილგონივრულობაც გამოიჩინა, როცა მიმდინარე პროცესები ქორწინებას შეადარა — „ჩვენ (სოკმა და ათენმა) შევიყვარეთ ერთმანეთი და ვიქორწინეთ, ახლა კი ბავშვს ველით, თქვა ბატონმა როგმა — ამ საქმეში ერთგულება ძვირად ფასობს. კომიტეტს ეს თვისება გააჩნია და ვიმედოვნებ, ბერძნებსაც. მათ ვიცნობ და ვიცი, რომ საქმის ბოლომდე მიყვანა ძალუძთ. ისიც ექნებათ გაცნობიერებული, რამხელა ტვირთს შეეჭიდნენ და რამდენი პრობლემის გადაჭრა მოუწევთ.“ სხვებმაც თქვეს ორიოდე სიტყვა. ფიფას პრეზიდენტმა, იოზეფ ბლატერმა სამარანჩის ნათქვამს საორგანიზაციო კომიტეტისთვის ნაჩვენები ყვითელი ბარათი უწოდა და იმედი გამოთქვა, რომ წითლამდე საქმე არ მივა, ზაფხულის სახეობათა საერთაშორისო ფედერაციების ასოციაციის პრეზიდენტმა დენის ოსვალდმა კი მხარეებს შორის კონტაქტების გაღრმავება მოითხოვა. ასე იყო, თუ ისე, ბერძნებს დრო მიეცათ და წლის ბოლომდე ალბათ საქმეს საჭირო გზით წარმართავენ, ოლიმპიადისნაირი გემრიელი ლუკმის პირიდან გამოცლა ხომ კატასტროფის ტოლფასი იქნება.



ხუან ანტონიო სამარანჩი

**დავით გულუა**

# ჰელსინკი სატახტო ქალაქია

## დავით ციმაკურიძემ მთავრობა ვერ შეაშინა



*1942 წელს ბათუმში თავისუფლად მოჭიდავეთა საქართველოს პირველობა გაიმართა, რომელიც 17 წლის უცნობმა ბიჭმა — დავით ციმაკურიძემ მოიგო. მომდევნო წელს ამას მოჰყვა გამარჯვება პროფკავშირთა საკავშირო ჩემპიონატზე მოსკოვში. ასე დაიწყო ის დიდი და სახელოვანი სპორტული გზა, რომელიც 1952 წლის ჰელსინკის ოლიმპიადაზე ჩემპიონობის მოპოვებით დაგვირგვინდა. 29 მარტს, პირველი ქართველი ოლიმპიური ჩემპიონი 75 წლის გახდა.*



დავით ციმაკურიძესთან გამკლავება ყველასთვის ძნელი იყო

...ყველაფერი კი ტანვარჯიშით დაიწყო. საქმე კარგადაც მიდიოდა, მაგრამ კარიერა ერთმა ილეთმა შეიწირა — ვარჯიშისას იარაღიდან ჩამოვარდა და მწვრთნელმა ჭიდაობაზე გადასვლა ურჩია. ციმაკურიძემაც დაუჯერა აღმზრდელს და მაშინდელი ორჯონიკიძის ქუჩაზე, არაერთი სახელოვანი ფალავნის გამზრდელ პეტრე იორდანიშვილს მიაკითხა. 14 წლის ბიჭს თავი უცხოდ არც იქ უგრძვნია, რადგან მოჭიდავე მამის წყალობით ბავშვობიდანვე ამ წრეში ტრიალებდა. იგი ინტერესით უცქერდა იმ დროის ცნობილ ფალავანთა ორთაბრძოლებს და მერე ილეთების შესრულებაში უფროსებს ბაძავდა. თავად გვითხრა, იმ დროს შესწავლილი ბევრი ხერხი მოგვიანებით ძალიან გამომადგაო. როგორც ყველა მისი თანატოლი ბიჭი, ისიც ფეხბურთით იყო გატაცებული და „აისში“ შეუცვლელ მარცხენა გარემარბადაც ითვლებოდა, მაგრამ საბოლოოდ მაინც ჭიდაობამ გადაძალა.

მის დროს მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატები არ ტარდებოდა. ვიდრე ჭიდაობდა, საბჭოთა კავშირმა მხოლოდ ერთ, 1952 წლის ჰელსინკის ოლიმპიადაზე გაუშვა გუნდი. ამიტომ არის, რომ ციმაკურიძის, სსრკ-ს 7-გზის ჩემპიონისა და არაერთი საერთაშორისო შეჯიბრების გამარჯვებულის კოლექციაში ამ უმაღლესი რანგის ტურნირებზე მოპოვებული მხოლოდ ერთი ოქროს მედალია, მაგრამ როგორი! ციმაკურიძეც ყოველთვის სიამოვნებით იხსენებს იმ შორეულ, 1952 წელს მომხდარ ამბებს.

— ჩვენთვის ოლიმპიური თამაშები უცხო ხილი იყო. ჰელსინკში ასეთ გრანდიოზულ ღონისძიებაზე პირველად ვიყავით. ოლიმპიური სოფელი „ბოტანიემი“ და სპორტკომპლექსი „მესუჰალი“ დამთრგუნველადაც კი მოქმედებდა ჩვენზე.

...პირველად შვედ ლინდბლანდს შევხვდი. ამ დროს წონა ახალდაკლებული მქონდა, ამ პროცედურის მერე კი ჭიდაობა ყოველთვის მიჭირდა. შვედი ჩოქბჯენში ჩავაყენე და დავატრიალე. ეს ორი ქულა იყო. მეტოქემ ერთი ქულა ამართვა ჩოქბჯენში გადაყვანით, მაგრამ მსაჯებმა შეცდომით შეგვაფასეს — ჩემი ქულები ლინდბლანდს დაუწერეს, მისი — მე. თურქმა მსაჯმა (თურქები, მოგეხსენებათ, თავისუფალი ჭიდაობის კარგი მცოდნენი არიან) მე მომაკუთვნა გამარჯვება, ხოლო ნორვეგიელმა და ფრანგმა — შვედს. ასე წამაგებინეს არბიტრებმა პირველივე შეხვედრა. რა თქმა უნდა, ამან ძალიან გაგვანაწყენა. ჩვენმა ხელმძღვანელობამ პროტესტიც დაწერა და კარგა გვარიანი თანხაც გადაიხადა აპელაციის შესატანად. მახსოვს, ჩემთან არსენ მეკოკიშვილი მოვიდა და გამამხნევა, ყურები ნუ ჩამოყარეო. ვუთხარი, არაფერიც, ბოლოს ჩემპიონი მაინც გავხდები-მეთქი. ვიდრე ჩვენს პროტესტს განიხილავდნენ, ეგვიპტელ და ამერიკელ მეტოქეებს მოვუგე და ფინალში გავედი, ხოლო ლინდბლანდი საერთოდ გავარდა. მერე ის პროტესტი და ფული ჩვენებს უკან გამოვატანინე, რა საჭიროა-მეთქი. ჩემთან ერთად ფინალში გავიდნენ უნგრელი მოჭიდავე გეორგ გურიჩი და ირანის შაჰის საყვარელი ფალავანი მოჰამედ რეზა ტახტი. პირველად გურიჩს შევხვდი. ის ორჯერ დავატრიალე, საპასუხოდ მან ერთხელ გადამიყვანა ჩოქბჯენში. ეს ანგარიში სრულიად მაძლევდა ხელს და თავი არ მომიკლავს, ძალებს ვზოგავდი. რამდენჯერმე ხიდზეც დავაყენე უნგრელი, მაგრამ მთლად საიმედოდ ვერა და გავუშვი, აღარ გავრისკე. მასთან ტექნიკური გამარჯვება მოვიპოვე, თუმცა იმ 12 წუთში (მაშინ ამდენ ხანს ვჭიდაობდით). რომ იტყვიან, თავი შემაკლა და გვარიანად დამღალა. მერე უნდა დამესვენა, გურიჩი კი ტახტის შეხვედროდა, მაგრამ გურიჩმა მუხლის ტკივილი მოიმიზეზა და არ იჭიდავა, სანაცვლოდ კი ოც წუთში მე გამომიძახეს ტახტისთან შესახვედრად. ახლაც არ ვიცი, მართლა სტკიოდა თუ არა გურიჩს მუხლი. (ის მესამე ადგილს მაინც არ კარგავდა), მაგრამ ფაქტია, რომ მე, დაღლილი კაცი, დასვენებულ ირანელს უნდა შევხვედროდი.

თითქოს საბრძოლო სული შთამბერესო ტახტისთან შეხვედრაში. სწორედ ამან მიშველა. დასაწყისშივე ჩემი საყვარელი ილეთი გავუკეთე — მკლავი დავუჭირე, ფეხით ავწიე და ხიდზე დავაყენე. ამ მდგომარეობაში დიდხანს ვიყავით, მაგრამ ვერაფერი მოვუხერხე. მერე ორჯერ ჩოქბჯენიდან დავატრიალე, მან კი ერთი ქულა ამართვა. ამასობაში სამი წუთი დარჩა. აღარ გავრისკე და ტაქტიკური, დროის გაყვანაზე აგებული ჭიდაობა გავაგრძელე, თუმც მისთვის ინიციატივა არ დამითმია, მსაჯებს პასიურობისთვის რომ არ გავეფრთხილებინე. შედეგად რამდენიმე ქულა ისევ მივითვალე. მეამაყებოდა, რომ საქართველოს პირველი ოლიმპიური ოქროს მედალი მოვუტანე. საკავშირო სპორტის მესვეურებმაც ისე გაიხარეს, რას არ შეგვპირდნენ, მაგრამ არაფერი!

**— მოგატყუეს?**

— ჩემპიონებს 25 ათასი მანეთი დაგვიწესეს ჯილდოდ. მაშინ ეს დიდი ფული იყო. ჰელსინკში მხოლოდ მედალი და სიგელი გადმოგვცეს. მოსკოვში რომ ჩამოვედით, გვეგონა, იქ აასრულებდნენ სიტყვას, მაგრამ არაფერი მოუციათ. სანაცვლოდ იმ ზაფხულს მე, რაფაელ ჩიმიშკიანი და გივი კარტოზია ოჯახებთან ერთად სოხუმში წავედით დასასვენებლად ჩვენივე ხარჯებით. თბილისში კი ჩვენმა სპორტულმა საზოგადოებებმა ათასი მანეთი მოგვცეს, ამდენივე — საქართველოს სპორტკომიტეტმა, რესპუბლიკის ხელისუფლებამ კი — სამი ათასი.

**— ზემოთ რომ ბრძანეთ, მეკოკიშვილს ვუთხარი, ჩემპიონი გავხდებიო, დამარცხებულს ასეთი ოპტიმიზმი საიდან გქონდათ?**

— ეს პირველი შემთხვევა როდი იყო. საკავშირო პირველობებზე რამდენჯერმე მოხდა, რომ პირველი შეხვედრა წავაგე, მაგრამ მაინც მოვიგე ოქრო. უკვე გითხარით, რომ წონადაკლებული ჭიდაობა ყოველთვის მიჭირდა, მაგრამ მერე აზარტში შევდიოდი და ჩვეულ ფორმას ვიბრუნებდი. ფინალში კი დაუნდობელი, საშინელი ვიყავი.

**— ერთხელ ბალავაძემ ბრძანა, ყველა მეტოქე უხერხულიაო — თქვენ თუ გყავდათ მოწინააღმდეგე, ვისთანაც განსაკუთრებით გიჭირდათ ჭიდაობა და გერჩივნათ, არ შეგხვედროდათ?**

— ასეთი არ არსებობდა. კაცს თუ გეშინია, ვერაფერს მიაღწევ. დარწმუნებული უნდა იყო იმაში, რომ მეტოქეს ფიზიკურად, ტექნიკურად და ტაქტიკურად სჯობიხარ. მეტოქეს არასოდეს ვუფრთხოდი. ჩოქბჯენსა და დგომში თითო-თითო ხერხი საგანგებოდ დავამუშავე. ჩოქბჯენში მეტოქეს ხელებს ვუჭერდი, ფეხის ამოსმით ვაბრუნებდი და ხიდზე ვაყენებდი. მოგვიანებით მას ციმაკურიძის ილეთი შეარქვეს. სწორედ ამით მოვუგე თბილისის ცირკში 1954 წელს იაპონელ კაცუნამოტოს, რის მერეც ჭიდაობას თავი დავანებე. ამ ილეთის წყალობით გავხდი ოლიმპიური ჩემპიონი. იგი ისე შევისისხლხორცე, რომ ძალდაუტანებლად გამომდიოდა. ამით ძლიერი ვიყავი და არავისი მეშინოდა.

**— წაგებაზე როგორ რეაგირებდით? ნუთუ ყოველთვის ისე მშვიდად აღიქვამდით, როგორც გვიამბეთ?**

— უმაღლესი რანგის ტურნირებზე სულ რამდენჯერმე დავმარცხდი, მაგრამ დიდად არც ერთი მინაღვლია. ვიცოდი, მაინც ჩემპიონი გავხდებოდი. თუმცა ბავშვობაში ასე არ იყო. როცა ჭიდაობა დავიწყე, პირველი სამი შეხვედრა სუფთად წავაგე. მსაჯმა, ირაკლი ყიფიანმა მითხრა, მამაშენის შვილს არ გრცხვენია, ამდენს რომ აგებო. მას მერე ორი თვე ხალიჩას არ გავკარებივარ. ბოლოს პეტრე იორდანიშვილი შინ მოვიდა და მითხრა, რომ მიდიხარ, არ გინდა, იმ ხალხს სამაგიერო გადაუხადოო. ამის გამო მივუბრუნდი ჭიდაობას.

**— შვილები ან შვილიშვილები არ გაჰყვნენ თქვენს კვალს?**

— ჩემი ორივე ვაჟი ვარჯიშობდა, უფროსმა ცსს საკავშირო პირველობაც კი მოიგო, მაგრამ მერე დაოჯახდა და თავი მიანება. ხუთი შვილიშვილიდან ბიჭი მხოლოდ ერთია და ისიც ფეხბურთსა და წყალბურთზეა შეყვარებული. ჭიდაობის გაგონებაც არ უნდა. რა მოვუხერხო, არ ვიცი. ძალით ხომ არ დავაძალებ ჭიდაობას?

**— ადრინდელი თაობის სპორტსმენები ხშირად ამბობდნენ, რუსები გვჩაგრავდნენო. თქვენ თუ გიგრძვნიათ ასეთი რამ?**

— რუსები მართლაც გამოარჩევდნენ თვისტომებს. მათზე ერთი თავით ძლიერი უნდა ყოფილიყავი, ნაკრებში რომ მოხვედრილიყავი. არარუსები მართლაც ვიჩაგრებოდით.

**— ოლიმპიური ჩემპიონობა ყოველთვის პრივილეგია იყო. მით უფრო თქვენს დროს, რადგან ასეთები ცოტანი იყავით, თქვენ კი საერთოდ პირველი ბრძანდებით. ვიცი, რომ თავის დროზე ზოგიერთ სახელოვან მწვრთნელსა თუ სპორტსმენს საბინაო პრობლემის მოგვარებაში „ზევით“ ერთი-ორი სიტყვაც წააშველეთ. ხშირად გისარგებლიათ ამ უპირატესობით?**

— ასეთი შემთხვევა მართლაც იყო. ერთხელ ცკ-ს პირველმა მდივანმა მითხრა, რაიმეში დაგეხმარებიო. მაშინ სანდრო კანდელაკი მცხეთიდან დადიოდა, ვახტანგ ბალავაძის მწვრთნელი მიხეილ თიკანაძე კი სარდაფში ცხოვრობდა. მათთვის და კიდევ რამდენიმესთვის ბინა ვითხოვე. მაგრამ ეს თავად ცკ-ს მდივანმა შემომთავაზა. ეს რა პრივილეგიაა? ამით ბოროტად არასოდეს მისარგებლია. უბრალოდ, საქართველოში კარგ სპორტსმენს ყოველთვის აფასებდნენ.

**— ბატონო დავით, ამ თემაზე საუბარი კიდეც მეუხერხულება. რამდენიმე წლის წინ თქვეს, რომ გაჭირვების გამო ოლიმპიური ჩემპიონის მედალს ყიდდით...**

— ამაში საუხერხულო არაფერია. მე და ბალავაძე საგანგებოდ მივედით ერთ-ერთ რედაქციაში, სადაც განვაცხადე, რომ მედლის გაყიდვა მსურდა. მაგრამ რა? ამას არავითარი რეაქცია არ მოჰყოლია. შეაყარე კედელს ცერცვიო, ისე გამოვიდა.

**— გაიმეტებდით მედალს? მართლა უპირებდით გაყიდვას თუ?..**

— არა, კაცო, რას ამბობთ, როგორ გავიმეტებდი! უფრო მეტადაც რომ გამჭირვებოდა, მაინც არ შეველეოდი. ეს არც მიფიქრია. უბრალოდ მინდოდა, ქვეყნის ხელისუფლება შემეფუცხუნებინა. მინდოდა, მათ შეეგნოთ, რომ ოლიმპიური ჩემპიონი თვეობით მიუღებელი 12-ლარიანი პენსიის იმედად არ უნდა იყოს.

**— ახლა თუ გეხმარებათ ვინმე?**

— ორი თვეა, რაც საქართველოს ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა პენსიები დაგვინიშნა — ოლიმპიურ ჩემპიონს 120, მეორე პრიზიორს — 100 და მესამეს - 80 ლარი. რამდენიმე წლის წინ შევარდნაძემ ბრძანება გამოსცა, 65 წელს გადაცილებულ მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონებს 70 ლარი მიეცითო, სია გივი კარტოზიამ შეადგინა, მაგრამ სპორტის დეპარტამენტში რომ მივიდა, ვისაც ბურთი გაუგორებია, ყველა შეიყვანეს შიგ. ხომ შეიძლებოდა, ვეტერანები ცალკე გამოეყოთ. მით უმეტეს, იმ კატეგორიის ხალხი ასე ცოტანი დავრჩით. ის პენსია ორჯერ კი მოგვცეს და მას მერე არავინ დაგვხმარებია.

**— მეტსახელად „ამურს“ გეძახიან. როდის და რატომ შეგარქვეს იგი?**

— ბავშვობაში დედაჩემი შევაწუხე კითხვით, როგორ გავჩნდი ამქვეყნად-მეთქი. მითხრა, ერთხელ სიყვარულის ღმერთებმა — ამურებმა გადმოიფრინეს, მე ერთ-ერთი მათგანი დავიჭირე და ის შენ ხარო. „ამურიც“ ამიტომ მიწოდეს.

ირაკლი თავაძე

ძალოსნობა

# მარტო კასი სოფიაშიც ცოდოა

25 აპრილს სოფიაში დაიწყება ძალოსანთა ევროპის ჩემპიონატი, სადაც ქართველთაგან მხოლოდ გიორგი ასანიძე იასპარეზებს. ბულგარულ ფიცარნაგზე საჩხერელი ათლეტი რომ ეულად გამოვა, ეს უფულობის ბრალი არ არის — ნაკრების ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა ასე. თავიდან მუხრან გოგიას გაგზავნაც იგეგმებოდა, მაგრამ ბოლოს ისიც დაასვენეს. გოგია და ასანიძე თვეზე მეტია, პოლონეთში ვარჯიშობენ ვანო გრიქუროვთან და მუხრანის წაუსვლელობაც მისი სურვილი ყოფილა. ეს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა რამაზ გურგენიძემ გვითხრა.

რაც შეეხებათ თბილისში დარჩენილ ოლიმპიური ნაკრების სხვა კანდიდატებს, მათ გუშინწინ დაამთავრეს შეკრება ფასანაურში მდებარე ბაზაზე. იქ ვალერი სარავა, გიორგი კობალაძე და ალეკო ნოზაძე იმყოფებოდნენ. სავარაუდოდ, მწვრთნელი ევროპის ჩემპიონატის მერე დაასახელებს მათგან ერთ-ერთს, რომელიც სიდნეიში ასანიძესა და გოგიასთან ერთად იასპარეზებს.

ირაკლი თავაძე

ხუთჭიდი

# ფულზე გაზომე და ხუთჯერ გაჭერი

26 აპრილს უნგრეთში ხუთჭიდელები მსოფლიოს თასის მორიგ ეტაპზე გაეჯიბრებიან ერთმანეთს. იქ ჩვენებურ დავით ჭულუხაძესაც უნდა ეასპარეზა, მაგრამ უფულობის გამო ჭულუხაძე უნგრეთში ვერ წავიდა, არადა, იგი სიდნეის ოლიმპიური თამაშების ლიცენზიის მოპოვების კანდიდატად ითვლება. მაისში სწორედ სალიცენზიო მსოფლიოს ჩემპიონატია, სადაც საგზურს 15 კაცი მიიღებს. ამიტომ უნგრეთში წასვლას მისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ შარშანდელ მსოფლიოს პირველობაზე ჭულუხაძე სწორედ მე-15 იყო, მაშინ არც საგზურის დაუფლების პერსპექტივა მოგვეჩვენება გადაჭარბებულად.

ჩვენი ფედერაციის გეგმით, ჭულუხაძე ჯერ უნგრეთში უნდა გამოსულიყო, მერე — გერმანიაში, ისევ მსოფლიოს თასის ეტაპზე. დეპარტამენტი თუ დააფინანსებდა, იქვე რამდენიმედღიანი შეკრების მოწყობაც სურდა და მსოფლიოს ჩემპიონატზეც იტალიაში იქიდანვე წავიდოდა. ამ გეგმის პირველი ეტაპის ჩაშლამ სხვებსაც წყალი შეუყენა. სპორტსმენს ახლა გერმანიაღა დარჩენია იმედად. ღმერთმა ქნას, იქ მაინც გაუშვან, მაგრამ თუ ესეც ვერ მოხერხდა, მაშინ იტალიაში, ალბათ, მაინც გაამგზავრებენ, თუმცა საშეჯიბრო პრაქტიკას მოკლებული ხუთჭიდელისგან ბევრს რას უნდა ველოდეთ?

არადა, ჭულუხაძემ სეზონისთვის მზადება ნაყოფიერად დაიწყო. დეკემბრიდან მოყოლებული მარტის ბოლომდე მან მინსკში გაიარა შეკრება. საჭირო თანხის ნაწილი სეოკ-მა გაიღო, ნაწილიც დათომ ხელფასიდან დადო. იქ გამართულ ტურნირებშიც იასპარეზა და ძლიერ რუს თუ ბალტიისპირელ მეტოქეებთან პაექრობაში ბელარუსის ზამთრის ღია ჩემპიონის ტიტულიც დაისაკუთრა და თასიც.

ამ დღეებში ბელარუსის ზაფხულის ღია პირველობაში საასპარეზოდ მინსკში უნდა გაფრენილიყო ნაკრების კიდევ ერთი წევრი ნოდარ ბარავი, მაგრამ არც ეს მოხერხდა. მისი მიზანიც იტალიაში ლიცენზიისთვის ბრძოლაა. სპორტსმენს უკეთ მოსამზადებლად მინსკში შეკრების საკუთარი ხარჯით მოწყობაც განუზრახავს.

ირაკლი თავაძე

# PLAY OFF

## მერვედფინალი




ფილადელფიელთაგან გათელილი დომენიკ ჰაშეკი და მისი „ბუფალო“ პლეი ოფს გამოემშვიდობნენ

# ატლანტიდან ტალღა მოდის

*ხუთშაბათს კიდევ ორი მეოთხედფინალისტი გამოვლინდა. ფილადელფია და ნიუ ჯერსი მეტოქეებს საბოლოოდ გაუმკლავდნენ. თუ გავითვალისწინებთ, რომ პიტსბურგიც 3:1-ს უგებს ვაშინგტონს და მომდევნო ეტაპზე გასვლის ჩინებული შანსიც აქვს, უკვე თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ წლეულს ატლანტის დივიზიონის გუნდები ბატონობენ.*

20 აპრილი

**ფილადელფია — ბუფალო 4:1**

**ფილადელფია — ბუფალო 5:2**

**1:1 2:0 2:1**

**0:1 შმეჰლიკი 8'44 (1); 1:1 მაკჯილისი 19'52 (1); 2:1 ლეკლერი 29'47 (3); 3:1 ლენგკოუ 32'52 (2); 3:2 ბარნსი 43'34 (3); 4:2 განი 49'55 (2); 5:2 ლენგკოუ 59'59 (3)**

ჯერ კიდევ ერთი თვის წინ ფილადელფიაში გლოვა იყო გამოცხადებული. კიდევ ერთი დაკარგული სეზონი და იმედგაცრუება — აი, ქომაგთა განცდა და საამისო საბაბიც არსებობდა. წლის დასაწყისში გუნდს თავკაცი როჯერ ნილსონი გამოაკლდა, რომელსაც მძიმე დაავადება, სიმსივნე აღმოაჩნდა და მკურნალობის ხანგრძლივი კურსი დაიწყო. ამას კიდევ უფრო მძიმე დანაკლისი დაემატა: გუნდის სულმა და გულმა ერიკ ლინდროსმა კარიერაში მეოთხედ ტვინის შერყევა მიიღო, რამაც „მფრინავთა“ ფანები ძალიან დაამწუხრა. გაუჭირდა ფილადელფიას ულიდეროდ, თუმც ჩემპიონატის ბოლოს იგი კარგად გამოიყურებოდა და კონფერენციის ჩემპიონობაც კი მოიპოვა. პირველ რაუნდში მას ბუფალო ერგო მეტოქედ, ისეთი გუნდი, რომელთან შეხვედრაც ბევრს არ სურდა, მაგრამ მოხდა სასწაული, ლინდროსის არყოფნაში ფილადელფია შეიკრა, თავის საფირმო, აგრესიულ და ძალისმიერ სტილს არ უღალატა და, მავანთა აზრით, კიდევ უფრო გაძლიერდა. და თუ ამაში ვინმეს ეჭვი ეპარებოდა, სერიის მეხუთე და უკანასკნელმა თამაშმა ყველა კითხვას პასუხი გასცა. „მფრინავებმა“ დიდებულად ჩაატარეს მატჩი და მათი უპირატესობა აშკარად გამოიკვეთა. მაშინაც კი, როცა სტუმრები დაწინაურდნენ, ფილადელფია არ დაიბნა და კვლავ გააგრძელა თავის სტილში თამაში. ამჯერადაც, ისევე როგორც მთელ სერიაში, ფილადელფიელებმა დაამტკიცეს, რომ რიცხვმრავლობაში ბადალი არ ჰყავთ. ცხადია, ბუფალოელებმა ეს იცოდნენ, მაგრამ ტოტალური, ძალისმიერი პრესინგის პირობებში მეტოქეთა შეტევებს მხოლოდ წესების დარღვევით აჩერებდნენ. ჯონ ლეკლერი, კეიტ პრიმო და სხვა მფრინავები ისე მარჯვედ იბრძოდნენ კარის სიახლოვეს, რომ მუდმივად საუკეთესო პოზიციაში იყვნენ და დომინიკ ჰაშეკს მაქსიმალურად ურთულებდნენ საქმეს. პირველი ორი გოლი მასპინძლებმა შორეული დარტყმებით გაიტანეს და ამის შემდეგ თამაშიც მათი კარნახით წარიმართა. მხოლოდ მესამე პერიოდის პირველ წუთებში ჰქონდა ბუფალოს გარკვეული შანსი, თუმც ერთი გოლის გატანა მოახერხა. მერე ამას კვლავ „მფრინავთა“ აფეთქება მოჰყვა და მთელი სერიის საუკეთესო მოთამაშეების, ახალბედა სიმონ განეის და დეიმონ ლენგკოუს ლამაზი კომბინაციის შემდეგ ყველაფერს ნათელი მოეფინა. ამგვარად, ფილადელფია მეორე რაუნდში გავიდა, სადაც მას ლინდროსი კვლავ არ ეყოლება. თავმა ისევ შეიაწუხა და დაბრუნება გადაიდო.

**ფლორიდა — ნიუ ჯერსი 0:4**

**ფლორიდა — ნიუ ჯერსი 1:4**

**1:0 0:2 0:2**

**1:0 პ. ბურე 5'17 (1); 1:1 ელიაში 24'26 (1); 1:2 ს. ნიდერმაიერი 35'02 (2); 1:3 ნემჩინოვი 56'12 (1); 1:4 ნემჩინოვი 58'03 (2)**

ნიუ ჯერსიმ, როგორც იქნა, თავი დააღწია ბოლო წლების კოშმარს და მტანჯველი წარსულისგან გათავისუფლდა, თანაც ეს ისე დამაჯერებლად გააკეთა, რომ მთელი სერიის განმავლობაში ეჭვიც არავის შეჰპარვია მის უპირატესობაში. უპირველესად „ეშმაკ“ მცველთა თამაშია გამოსარჩევი — მათ ჩინებულად გაართვეს თავი პაველ ბურეს გაუვნებლობის პრობლემას. ფლორიდელთა ლიდერმა რა ხერხს არ მიმართა, მაგრამ მეტოქეთა მეურვეობისგან თავი ვერ გაითავისუფლა და 4 მატჩში მხოლოდ 1 გოლი გაიტანა. ის რამდენიმე მომენტიც, რომლებიც ბურესა და ფლორიდას მეოთხე შეხვედრის პირველ პერიოდში შეექმნათ, ნიუჯერსელთა მეკარე მარტინ ბროდომ ჩაშალა. ინიციატივა თანდათან გოლკიპერის საიმედო თამაშით გამხნევებულ „ეშმაკთა“ ხელში გადავიდა. გადამწყვეტი მეორე მესამედი გახდა, თანაც ისევე, როგორც წინა მატჩებში, მთავარი როლი ნიუჯერსელთა მცველებმა შეასრულეს. ისინი შეტევებშიც ხშირად ერთვებოდნენ, რაც ფლორიდელთათვის მოულოდნელი გამოდგა და ერთ-ერთი ასეთი ეპიზოდის შემდეგ სკოტ ნიდერმაიერმა თავისიანები დააწინაურა. მასპინძლები საბოლოოდ გატყდნენ. „პანტერების“ მარცხმა ყველაზე მეტად რუსები გაახარა. გეხსომებათ, ჯერ კიდევ ჩემპიონატის მსვლელობისას ბურემ განაცხადა, რომ თუ მისი გუნდი პლეი ოფს გამოეთიშებოდა, უეჭველად ჩავიდოდა სანკტ პეტერბურგში და თავისი ქვეყნის ეროვნულ ნაკრებს მსოფლიოს ჩემპიონობის მოპოვებაში დაეხმარებოდა. ვნახოთ, სიტყვის კაცია თუ არა ბურე. ერთი რამ კი ცხადია — მისით გაძლიერება რუსებს პირველობის აშარა ფავორიტად აქცევს.

# მოთმინიერებელს აპატიეს

საპლეიოფო ბატალიების მიღმა დარჩენილმა გუნდებმაც დაიწყეს სამომავლოდ მზადება. ცხადია, კლუბების მთავარი მიზანი თასისთვის ბრძოლაა და როცა იმედი იწურება, საკადრო ცვლილებებიც იწყება. ზედიზედ მეოთხე სეზონია, კალგარი პლეი ოფში ვერ ხვდება და ამას წლეულს მთავარი მწვრთნელი დერილ სატერი და გენერალური მენეჯერი ელ კოუტსი შეეწირნენ. სატერისთვის ეს მესამე სეზონი იყო კალგარში, ხოლო კოუტსი 1995 წლიდან ითავსებდა გენერალურ მენეჯერობას და ვიცე-პრეზიდენტობას.

„ორ წელიწადში ძნელია გუნდის ჩამოყალიბება“ — დაიჩივლა სატერმა და დასძინა, რომ მან, კოუტსთან ერთად, დიდი სამუშაო ჩაატარა და გუნდის წინსვლაც მალე დაიწყებოდა. თუმც შედეგი ყველაფერზე მეტყველებს (შარშან კალგარის უფრო მაღალი ადგილი ეკავა ჩემპიონატში) და თავს ვერც იმით იმართლებენ, რომ წლეულს გუნდი, მონრეალთან ერთად, ყველაზე მეტად დაზარალდა ტრავმების გამო. შეგახსენებთ იმასაც, რომ მთავარი მწვრთნელი ჯონ მაკლერი და გენერალური მენეჯერი ნილ სმიტი რეინჯერსმა ჯერ კიდევ ჩემპიონატის მსვლელობისას გაათავისუფლა წარუმატებლობის გამო. აი, ბოსტონის თავკაცს, სახელგანთქმულ პეტ ბერნსს კი აპატიეს წლევანდელი უხეირობა გუნდის მესვეურებმა. მიუხედავად მითქმა-მოთქმისა (ამბობდნენ ბერნსი რეინჯერსში გადადისო), „დათვების“ მთავარმა მწვრთნელმა შეინარჩუნა ადგილი. ეს იქნებ იმიტომაც მოხდა, რომ შარშანწინ ბერნსმა გამოიყვანა გუნდი ღრმა კრიზისიდან და წლეულს „დათვების“ უკუსვლის ბევრი ობიექტური მიზეზიც არსებობდა. „მე წასვლა არ მინდა“ — თამამად განაცხადა ბერნსმა ამას წინათ და დასძინა, რომ გუნდის მოთამაშეები მისი გაზრდილები არიან, შედეგსაც მომავალ სეზონში ელის. კლუბის მესვეურები გაგებით შეხვდნენ ყველაფერს და სახელოვანი სპეციალისტი თანამდებობაზე დატოვეს.

**სამველ ღარიბიანი**

# ჩემი კუჭი ჩემი მხსნელია

გუშინწინ, ამერიკის ჩრდილო-დასავლეთით, სოლტ ლეიკ სიტში, 2002 წლის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებს რომ უნდა უმასპინძლოს, 15 კაცი გაჭყლეტას გადაურჩა. ისინი მემონტაჟეები იყვნენ და ღმერთს უმადლოდნენ, კუჭი დროულად რომ აუწრიალდათ და ლანჩზე წავიდნენ. სულ ორიოდე წუთის შემდეგ, რაც მათ საოლიმპიადოდ შეგულებული გიგანტური საციგურაო დარბაზი დატოვეს, გრანდიოზული სახურავის ნაწილი ზათქითა და ზრიალით ჩამოინგრა. მსხვერპლი არ არის, არავინ დაშავებულა, ამიტომ შეიძლება ცოტათი გავიხაროთ და თითი ნიშნისმოგებით გავიშვიროთ სოლტ ლეიკ სიტისკენ, ვითომ ცივილიზებულ მსოფლიოშიც ზოგჯერ უხარისხობა რომ გამოერევა, იმიტომ. როგორც ირკვევა, ჩამონგრევის მიზეზი ერთი დიდი ჭანჭიკის გამოვარდნა გამხდარა. ჭანჭიკის გამოვარდნას ლითონის თოკის მოშვება გამოუწვევია, იმას კიდევ სახურავი ვერ შეუკავებია და...



# ანჟელიკა ყინულის დედოფალი

## კრილოვას ზურგიც ეტკინა და გულიც

ფიგურულად მოსრიალე, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი და ნაგანოს ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი ანჟელიკა კრილოვა საყვარელ საქმეს სამუდამოდ ჩამოშორდა. გუშინ დილით რუსულმა სპორტულმა საინფორმაციო სააგენტომ საბოლოოდ დასვა ბეჭედი. გავრცელებული ინფორმაციით, კრილოვამ და მისმა მეწყვილემ, ოლეგ ოვსიანიკოვმა სახალხოდ განაცხადეს თავიანთი სპორტული კარიერის დამთავრების შესახებ. ოვსიანიკოვზე ისიც ითქვა, კრილოვასთან აღარ იქნება დუეტში, თორემ სრიალს როდი გამოეთხოვებაო. იმასაც ამბობენ, ვითომ შესაძლოა ოლიმპიური ჩემპიონი, პაშა გრიშჩუკი გახდეს მისი ახალი მეწყვილე, რომელიც ჯერჯერობით ჰოლივუდში ილვწის. კრილოვა კი კატეგორიული იყო. „ნემსებზე ცხოვრება და სრიალი აღარ შემიძლია“ — თქვა მან და აქვე განმარტავთ, რაზეა ლაპარაკი. ბოლო ორი წელია, მოციგურავეს ზურგის მწვავე ტკივილები სტანჯავს და ყინულზე ყოველი გასვლის წინ გამაყუჩებლების ზორბა დოზას ღებულობს, თუმცა ნიცის მსოფლიოს პირველობაზე საქმეს ამანაც ვერ უშველა და წყვილმა ის უმნიშვნელოვანესი ტურნირი გამოტოვა. უეჭველად ესეც იყო ერთი ძირითადი მიზეზი, რამაც ბოლო 32 წლის მსოფლიოს ჩემპიონატებზე რუსთა პირველი უმედლოდ დარჩენა განაპირობა. ერთი სიტყვით, კრილოვამ ითმინა, ითმინა და გატყდა. არადა, ჯერ კიდევ გუშინწინ ფრიად დამაიმედებლად ილაპარაკა 30 წლის ოვსიანიკოვმა, რომელსაც სპორტსმენობისთვის მწვრთნელობა შეუთავსებია და ახლა ამერიკულ, ქალაქ ნიუ არკის (ნიუ იორკში არ აგერიოთ, თუმცა იქვეა, ყურის ძირში) საციგურაო სკოლაში დამატებით ერთ-ორ კაპიკს აკეთებს. „ყველა ამბობს, რომ კრილოვა აღარ ისრიალებს. მე მასთან მოსკოვში მუდმივი კავშირი მაქვს და ვიცი, რომ ანჟელიკა და მისი ექიმი აქტიურად მუშაობენ პრობლემის დასაძლევად. დამატებით ინფორმაციას წუთი წუთზე ველი“ — უთხრა ოვსიანიკოვმა სააგენტო „როიტერს“ და ინფორმაციაც მალე მიიღო. მისი შინაარსი, შემდეგი მოვლენებიდან გამომდინარე, მკითხველისთვის გასაგები უნდა იყოს: ოფიციალური განცხადებები სპორტიდან წასვლაზე ჰაიჰარად არ იბადება.

**დავით გულუა**



ანჟელიკა კრილოვა და ოლეგ ოვსიანიკოვი გაიყარნენ

**ქირავდება**

საოფისედ 4 ოთახიანი ბინა. საერთო ფართი 150 კვ.მ.
„დინამო“ სტადიონთან ქურდიანის (ყოფილი გლდანის) ქუჩაზე.
ტელ: 34-80-68

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

### გერმანია. ბუნდესლიგა. 31-ე ტური
22 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 001 | ვოლფსბურგი-კაიზერსლაუტ. | 2,4 | 2,9 | 2,8 |
| 002 | ულმი-ჰერტა | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 003 | ფრაიბურგი-შალკე | 2,2 | 2,9 | 3,2 |
| 004 | მიუნხენ 1860-შტუტგარტი | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| 005 | ჰანზა-დუისბურგი | 1,4 | 4,0 | 6,5 |
| 006 | ჰანზა-დუისბურგი 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |

23 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 007 | არმინია-უნტერჰახინგი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 008 | დორტმუნდი-ბაიერნი | 4,0 | 2,9 | 1,9 |

### გერმანია. II ბუნდესლიგა. 28-ე ტური
22 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 009 | მიონხენგლადბახი-ბერლინი | 1,75 | 3,0 | 4,4 |
| 010 | ვალდჰოფი-ბოხუმი | 2,9 | 3,0 | 2,3 |

23 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 011 | კარლსრუე-კოტბუსი ($17^{45}$) | 3,5 | 3,2 | 1,9 |
| 012 | ოფენბახი-კიკერსი | 1,9 | 3,0 | 3,8 |
| 013 | ფორტუნა-ფიურტი | 2,3 | 2,8 | 3,1 |

24 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 014 | ქემნიცი-ზანქტ პაული | 2,0 | 2,9 | 3,6 |

### ინგლისი. პრემიერლიგა. 34-ე ტური
22 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 017 | ასტონ ვილა-ლესტერი | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 018 | ჩელსი-მიდლსბრო | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 019 | უენსდი-სანდერლენდი | 2,0 | 3,0 | 3,5 |
| 020 | საუთჰემპტონი-მანჩესტერი | 4,7 | 3,1 | 1,7 |
| 021 | ტოტენჰემი-უიმბლდონი | 1,75 | 3,2 | 4,0 |
| 022 | ვესტ ჰემი-ქოვენთრი | 1,7 | 3,1 | 4,7 |

23 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 023 | ნიუკასლი-ლიდსი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 024 | უოტფორდი-არსენალი | 5,6 | 3,6 | 1,5 |

### ინგლისი. პრემიერლიგა. 35-ე ტური
24-25 აპრილი

025 არსენალი-ვესტ ჰემი
026 ქოვენთრი-ევერტონი
027 დერბი-საუთჰემპტონი
028 ლიდსი-უოტფორდი
029 ლიდსი-უოტფორდი 0:1
030 ლივერპული-ასტონ ვილა
031 მანჩესტერი-ჩელსი
032 მიდლსბრო-ნიუკასლი
033 სანდერლენდი-ბრედფორდი
034 უიმბლდონი-უენსდი

### ინგლისი. I დივიზიონი. 43-ე ტური
22 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 036 | ქრიუ-სტოკპორტი | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| 037 | კრისტალ პალასი-ბირმინგემი | 3,4 | 2,9 | 2,1 |
| 038 | გრიმსბი-ბლექბერნი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 039 | ჰადერსფილდი-ბოლტონი | 1,8 | 3,2 | 3,8 |
| 040 | მანჩესტერ სიტი-ტრანმერი | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| 041 | მან.სიტი-ტრანმერი 0:1 | 1,9 | 3,0 | 2,8 |
| 042 | ნორვიჩი-პორტ ვეილი | 1,7 | 3,3 | 4,2 |
| 043 | ნოტინგემი-შეფილდი | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| 044 | ქუინზ პარკი-იფსვიჩი | 3,6 | 2,9 | 2,0 |
| 045 | სუინდონი-ფულემი | 3,5 | 3,0 | 2,0 |
| 046 | უოლსოლი-ვესტ ბრომვიჩი | 2,2 | 2,9 | 3,2 |
| 047 | ვულვერჰემპტონი-ბარნსლი | 2,3 | 3,0 | 2,9 |

### ინგლისი. I დივიზიონი. 44-ე ტური
24-25 აპრილი

048 ბარნსლი-ნორვიჩი
049 ბირმინგემი-უოლსოლი
050 ბლექბერნი-ჩარლტონი
051 ბოლტონი-ვულვერჰემპტონი
052 ფულემი-ნტინგემი
053 იფსვიჩი-კრისტალ პალასი
054 იფსვიჩი-კრისტალ პალასი 0:1
055 პორტ ვეილი-ჰადერსფილდი
056 პორტსმუთი-მანჩესტერ სიტი
057 შეფილდი-ქრიუ
058 სტოკპორტი-სუინდონი
059 ტრანმერი-ქუინზ პარკი
060 ვესტ ბრომვიჩი-გრიმსბი

### ინგლისი. II დივიზიონი. 43-ე ტური
22 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 062 | როვერსი-ბრისტოლი | 1,7 | 3,4 | 4,0 |
| 063 | ბარნლი-მილუოლი | 2,2 | 2,9 | 3,2 |
| 064 | ბერი-ბლეკპული | 1,9 | 3,4 | 3,3 |
| 065 | ჩესტერფილდი-რექსემი | 2,1 | 3,2 | 2,9 |
| 066 | კოლჩესტერი-კემბრიჯი | 2,1 | 2,9 | 3,4 |
| 067 | ჯილინგემი-ლუტონი | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 068 | ოლდემი-კარდიფი | 1,9 | 3,4 | 3,3 |
| 069 | ოქსფორდი-ბრენტფორდი | 1,9 | 3,4 | 3,3 |
| 070 | პრესტონი-სკანთორპი | 1,4 | 4,0 | 6,5 |
| 071 | პრესტონი-სკანთორპი 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| 072 | სტოკი-ბორნმუთი | 1,4 | 4,0 | 6,5 |
| 073 | სტოკი-ბორნმუთი 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| 074 | უიგანი-რედინგი | 1,45 | 3,8 | 6,0 |
| 075 | უიგანი-რედინგი 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |

### ინგლისი. II დივიზიონი. 44-ე ტური
24-25 აპრილი

076 ბლეკპული-როვერსი
077 ბორნმუთი-ჩესტერფილდი
078 ბრენტფორდი-ბარნლი
079 ბრისტოლი-ოქსფორდი
080 კემბრიჯი-პრესტონი
081 კარდიფი-ბერი
082 ლუტონი-უიგანი
083 მილუოლი-ჯილინგემი
084 ნოტსი-ოლდემი
085 რედინგი-უიკომბი
086 სკანთორპი-სტოკი
087 რექსემი-კოლჩესტერი

### ინგლისი. III დივიზიონი. 43-ე ტური
22 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 090 | ბარნეტი-როტერჰემი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 091 | კარლაისლი-ექსეტერი | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| 092 | ჩელტენჰემი-დარლინგტონი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 093 | ჰარტლპული-მენსფილდი | 1,4 | 4,0 | 6,5 |
| 094 | ჰარტლპული-მენსფილდი 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| 095 | ლინკოლნი-ლეიტონი | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 096 | მაკლსფილდი-ჩესტერი | 1,7 | 3,4 | 4,0 |
| 097 | პიტერბრო-ჰალიფაქსი | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| 098 | პიტერბრო-ჰალიფაქსი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 099 | პლიმუთი-როჩდეილი | 1,8 | 3,2 | 3,8 |
| 100 | შრიუსბერი-საუთენდი | 1,9 | 3,3 | 3,4 |
| 101 | სუონსი-ტორკი | 1,6 | 3,5 | 4,7 |
| 102 | იორკი-ბრაიტონი | 2,3 | 3,0 | 2,9 |

### ინგლისი. III დივიზიონი. 44-ე ტური
24-25 აპრილი

103 ბრაიტონი-პიტერბრო
104 ჩესტერი-იორკი
105 დარლინგტონი-ჰარტლპული
106 ექსეტერი-ლინკოლნი
107 ჰალიფაქსი-შრიუსბერი
108 ჰალი-ბარნეტი
109 ლეიტონი-პლიმუთი
110 მენსფილდი-სუონსი
111 როჩდეილი-ნორთჰემპტონი
112 როტერჰემი-ჩელტენემი
113 საუთენდი-კარლაისლი
114 ტორკი-მაკლსფილდი

### იტალია. სერია "ა". 31-ე ტური
22 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 124 | ბოლონია-პერუჯა | 1,7 | 2,9 | 5,3 |
| 125 | ინტერი-ბარი | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| 126 | ინტერი-ბარი 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 127 | იუვენტუსი-ფიორენტინა | 1,45 | 3,5 | 7,0 |
| 128 | იუვენტუსი-ფიორენტინა 0:1 | 2,1 | 3,0 | 2,3 |
| 129 | ლეჩე-კალიარი | 1,35 | 3,5 | 6,0 |
| 130 | პიაჩენცა-ლაციო | 6,5 | 3,6 | 1,45 |
| 131 | რეჯინა-მილანი | 3,6 | 2,9 | 2,0 |
| 132 | რომა-პარმა | 2,0 | 2,8 | 3,8 |
| 133 | უდინეზე-ტორინო | 1,65 | 3,2 | 5,0 |
| 134 | ვენეცია-ვერონა | 2,3 | 2,9 | 3,0 |

### იტალია. სერია "ბ". 31-ე ტური
22 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 135 | ატალანტა-ვიჩენცა | 2,2 | 2,4 | 4,0 |
| 136 | კიევო-ბრეშა | 3,0 | 2,4 | 2,7 |
| 137 | კოზენცა-ტრევიზო | 2,2 | 2,4 | 4,0 |
| 138 | ფერმანა-სალერნიტანა | 3,1 | 2,6 | 2,4 |
| 139 | პესკარა-ტერნანა | 1,8 | 2,5 | 5,6 |
| 140 | პისტოიეზე-მონცა | 2,0 | 2,5 | 4,4 |
| 141 | რავენა-ალზანო | 1,8 | 2,5 | 5,6 |
| 142 | სავოია-ჩეზენა | 2,2 | 2,5 | 3,6 |
| 143 | ემპოლი-ჯენოა | 2,2 | 2,5 | 3,6 |
| 144 | სამპდორია-ნაპოლი | 2,1 | 2,5 | 4,0 |

### იტალია. სერია "ც1/ა". 31-ე ტური
22 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 146 | ბრეშელო-სანდონა | 1,5 | 3,0 | 8,0 |
| 147 | ჩიტადელა-ალბინოლეფე | 1,9 | 2,5 | 5,0 |
| 148 | კომო-მონტევარკი | 1,7 | 2,5 | 6,5 |
| 149 | ლუკეზე-ლეკო | 1,5 | 3,0 | 8,0 |
| 150 | ლუმეცანე-კარარეზე | 2,1 | 2,4 | 4,2 |
| 151 | მოდენა-ლივორნო | 2,2 | 2,4 | 3,8 |
| 152 | სიენა-სპალ | 1,8 | 2,4 | 6,0 |
| 153 | ვარეზე-რეჯანა | 1,7 | 2,5 | 7,0 |

### იტალია. სერია "ც1/ბ". 31-ე ტური
22 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 154 | ანკონა-პალერმო | 1,8 | 2,4 | 6,0 |
| 155 | არეცო-მარსალა | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| 156 | არეცო-მარსალა 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 157 | ატლეტიკო-ჯულიანოვა | 1,9 | 2,5 | 5,0 |
| 158 | დი სანგრო-აველინო | 1,9 | 2,4 | 5,0 |
| 159 | ფ.ანდრია-კატანია | 3,2 | 2,4 | 2,5 |
| 160 | გუალდო-კროტონე | 3,2 | 2,3 | 2,7 |
| 161 | სტაბია-ასკოლი | 3,4 | 2,1 | 2,9 |
| 162 | ნოჩერინა-ბენევენტო | 1,9 | 2,0 | 6,5 |
| 163 | ვიტერბეზე-ლოდიჯანი | 1,5 | 3,0 | 8,0 |

### ესპანეთი. I დივიზიონი. 34-ე ტური
22 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 164 | ვალიადოლიდი-ესპანიოლი | 2,1 | 2,8 | 3,5 |
| 165 | მალაგა-რაიო ვალეკანო | 2,1 | 2,9 | 3,4 |
| 166 | ნუმანსია-სარაგოსა | 2,8 | 2,9 | 2,4 |
| 167 | ბარსელონა-სევილია | 1,15 | 6,0 | 12,0 |
| 168 | ბარსელონა-სევილია 0:1 | 1,4 | 3,6 | 4,0 |
| 169 | ბილბაო-სელტა | 2,2 | 2,9 | 3,2 |
| 170 | რეალი-რასინგი | 1,25 | 5,0 | 9,0 |
| 171 | რეალი-რასინგი 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 172 | ვალენსია-ატლეტიკო | 1,5 | 3,5 | 6,0 |

23 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 173 | დეპორტივო-სოსიედადი | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| 174 | დეპორტივო-სოსიედადი 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| 175 | ბეტისი-ალავესი | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| 176 | ოვიედო-მალიორკა | 2,2 | 2,9 | 3,2 |

### ესპანეთი. II დივიზიონი. 36-ე ტური
22-23 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 177 | ეულვა-სპორტინგი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 178 | ტოლედო-ტენერიფე | 4,2 | 3,3 | 1,7 |
| 179 | მერიდა-ლევანტე | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 180 | ატლეტიკო "ბ"-ვილიარეალი | 3,0 | 2,9 | 2,3 |
| 181 | ლეგანესი-ელჩე | 1,8 | 2,9 | 4,4 |
| 182 | ოსასუნა-ეიბარი | 1,6 | 3,2 | 5,6 |
| 183 | კომპოსტელა-ხეტაფე | 2,0 | 2,9 | 3,6 |
| 184 | კორდობა-ბადახოსი | 1,7 | 2,9 | 5,3 |
| 185 | ლას პალმასი-ალბასეტე | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 186 | ლოგრონიესი-სალამანკა | 3,6 | 2,9 | 2,0 |
| 187 | ლეიდა-ეხტრემადურა | 2,2 | 2,9 | 3,2 |

### პორტუგალია. 31-ე ტური
22 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 190 | ალვერკა-ამადორა | 2,2 | 2,9 | 3,2 |
| 191 | კამპომაიორენსე-სანტა კლარა | 1,7 | 3,1 | 4,7 |
| 192 | ბელენენსეში-სალგეირუში | 1,8 | 2,9 | 4,4 |
| 193 | ბრაგა-ფარენსე | 1,7 | 3,1 | 4,7 |
| 194 | პორტუ-სეტუბალი | 1,2 | 5,6 | 10,0 |
| 195 | პორტუ-სეტუბალი 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| 196 | გიმარაეში-მარიტიმუ | 1,6 | 3,2 | 5,6 |
| 197 | ბოავიშტა-ჟილ ვისენტე | 1,7 | 3,0 | 5,0 |

### ჰოლანდია. 31-ე ტური
22 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 202 | ჰერენვენი-როდა | 1,5 | 3,6 | 5,6 |
| 203 | ტილბურგი-გრააფსხაპი | 1,6 | 3,4 | 5,0 |
| 204 | სპარტა-კამბური | 1,6 | 3,6 | 4,4 |
| | 23 აპრილი | | | |
| 205 | ფეიენოორდი-აიაქსი ($17^{30}$) | 2,2 | 3,0 | 3,1 |
| 206 | ნაიმეგენი-ვიტესი ($17^{30}$) | 3,4 | 3,1 | 2,0 |
| 207 | ვალვაიკი-დენ ბოსხი ($17^{30}$) | 1,6 | 3,5 | 4,7 |

### ბელგია. 32-ე ტური
22 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 209 | ბევერენი-სენტ ტრუიდენი | 2,1 | 2,9 | 3,4 |
| 210 | მუსკრონი-ლოკერენი | 1,5 | 3,8 | 5,3 |
| 211 | შარლერუა-ბეერსხოტი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 212 | სტანდარდი-აალსტი | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 213 | გენკი-ანდერლეხტი | 3,3 | 3,2 | 2,0 |
| 214 | გენტი-ჰარელბეკე | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| 215 | გენტი-ჰარელბეკე 0:1 | 1,9 | 3,4 | 2,4 |
| 216 | ვესტერლო-მეხელენი | 1,7 | 3,4 | 4,0 |
| 217 | ლომელი-გეელი | 2,0 | 3,0 | 3,5 |

### საბერძნეთი. 29-ე ტური
22-24 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 218 | კალამატა-ოლიმპიაკოსი | 6,0 | 3,5 | 1,5 |
| 219 | კავალა-აპოლონი | 1,6 | 3,4 | 5,0 |
| 220 | იონიკოსი-პანილიაკოსი | 1,7 | 3,0 | 5,0 |
| 221 | ტრიკალა-პანიონიოსი | 2,7 | 3,0 | 2,4 |
| 222 | არისი-ირაკლისი | 2,2 | 2,9 | 3,2 |
| 223 | აეკ-პროდეფტიკი | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| 224 | აეკ-პროდეფტიკი 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 225 | ოფი-ეთნიკოსი | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| 226 | ოფი-ეთნიკოსი 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| 227 | პაოკ-პანაჰაიკი | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| 228 | პაოკ-პანაჰაიკი 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| 229 | პანათინაიკოსი-ქსანთი | 1,25 | 5,0 | 9,0 |
| 230 | პანათინაიკოსი-ქსანთი 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |

### ჩეხეთი. 26-ე ტური
22 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 232 | ვიკტორია-დრნოვიცე ($13^{15}$) | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 233 | დუკლა-ბოჰემიანსი | 2,1 | 3,0 | 3,3 |
| 234 | ბრნო-ბანიკი | 1,8 | 2,9 | 4,4 |
| 235 | ბუდეიოვიცე-ჰ.კრალოვე | 1,6 | 3,4 | 5,0 |
| 236 | სპარტა-ლიბერეცი | 1,15 | 6,0 | 12,0 |
| 237 | სპარტა-ლიბერეცი 0:1 | 1,4 | 3,6 | 4,0 |
| 238 | ოპავა-სიგმა | 2,0 | 2,9 | 3,6 |
| 239 | ტეპლიცე-ბლშანი | 1,6 | 3,2 | 5,6 |

### პოლონეთი. 24-ე ტური
22 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 241 | ლკს-პოლონია ($15^{00}$) | 3,6 | 2,9 | 2,0 |
| 242 | ლეხი-პლოცკი ($17^{00}$) | 2,1 | 2,9 | 3,4 |
| 243 | ვისლა-რუხი ($17^{30}$) | 2,1 | 2,9 | 3,4 |
| 244 | ლეგია-რაძიონკოვი | 1,25 | 5,0 | 9,0 |
| 245 | ლეგია-რაძიონკოვი 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 246 | ამიცა-გროცლინი | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| 247 | ამიცა-გროცლინი 0:1 | 1,9 | 3,4 | 2,4 |
| 248 | გურნიკი-სტომილი | 2,2 | 2,9 | 3,2 |
| 249 | ოდრა-ვიძევი | 2,2 | 2,9 | 3,2 |

### თურქეთი. 30-ე ტური
22 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 251 | ბურსა-გენჩლერბირლიგი | 2,1 | 2,9 | 3,4 |
| 252 | ადანა-ვანი | 1,15 | 5,0 | 9,0 |
| 253 | ადანა-ვანი 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| 254 | ტრაბზონი-ალთაი | 1,5 | 3,6 | 5,6 |
| 255 | ანთალია-ბეშიქთაში | 4,2 | 3,1 | 1,75 |
| | 23 აპრილი | | | |
| 256 | გიოზთეფე-ერზურუმი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 257 | გაზიანთეფი-ისთანბული | 1,5 | 3,6 | 5,6 |
| 258 | ქოჯაელი-ანკარაგიუჯიუ | 1,8 | 3,0 | 4,2 |

### შოტლანდია. 32-ე ტური
22 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 259 | აბერდინი-მოზერუელი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 260 | სელტიკი-ჰიბერნიანი | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| 261 | სელტიკი-ჰიბერნიანი 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 262 | დანდი-კილმარნოკი | 2,1 | 3,2 | 3,1 |
| 263 | ჰართსი-დანდი იუნაიტედი | 1,6 | 3,3 | 5,3 |
| | 23 აპრილი | | | |
| 264 | სენტ ჯონსტონი-რეინჯერსი | 6,0 | 3,5 | 1,5 |

### ავსტრია. 30-ე ტური
22 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 265 | რაპიდი-რიდი ($17^{30}$) | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| 266 | რაპიდი-რიდი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 267 | ბრეგენცი-შტურმი | 4,7 | 3,3 | 1,65 |
| 268 | გრაცერი-ლუსტენაუ | 1,5 | 3,8 | 5,3 |
| 269 | ზალცბურგი-აუსტრია | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 270 | ლინცერი-ტიროლი | 4,2 | 3,0 | 1,8 |

### შვეიცარია. მე-7 ტური
22 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 271 | გრასჰოპერი-სერვეტი | 1,6 | 3,2 | 5,6 |
| 272 | ბაზელი-ქსამაქსი | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 273 | ლუცერნი-ლოზანა | 2,6 | 2,9 | 2,5 |
| 274 | ივერდონი-სენტ გალენი | 3,5 | 3,0 | 2,0 |

### დანია. 26-ე ტური
23 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 275 | კოპენჰაგენი-ვაილე | 1,6 | 3,4 | 5,0 |
| 276 | სილკებორგი-აკადემისკი | 2,1 | 3,1 | 3,2 |
| 277 | ოდენსე-ოლბორგი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 278 | ესბიერგი-ვიბორგი | 2,8 | 3,1 | 2,3 |
| 279 | ჰერფიოლგე-ორჰუსი | 1,6 | 3,6 | 4,4 |
| 280 | ლიუნგბიუ-ბრიონდბიუ | 3,0 | 3,1 | 2,2 |

### რუსეთი. მე-5 ტური
22 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 281 | სპარტაკი-ცსკა | 1,4 | 4,0 | 6,5 |
| 282 | სპარტაკი-ცსკა 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| 283 | ფაკელი-კრილია | 2,1 | 2,9 | 3,4 |
| 284 | როტორი-ლოკომოტივი | 3,2 | 2,9 | 2,2 |
| 285 | ანჟი-ურალანი | 2,0 | 2,9 | 3,6 |
| 286 | ნ.ნოვგოროდი-ალანია | 2,1 | 3,0 | 3,3 |
| 287 | დინამო-როსტსელმაში | 1,5 | 3,4 | 6,5 |
| 288 | სატურნი-ზენიტი | 2,4 | 2,9 | 2,8 |
| 289 | ჩერნომორეცი-ტორპედო | 2,3 | 2,9 | 3,0 |

### შვედეთი. მე-3 ტური
22 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 295 | ჰამარბი-გაის | 1,8 | 3,2 | 3,8 |
| | 24 აპრილი | | | |
| 296 | ჰაკენი-სუნდსვალი | 2,0 | 3,2 | 3,3 |

### საფრანგეთი. ლიგის თასის ფინალი (პარიზში)
22 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 297 | პსჟ-გენიონი | 1,35 | 4,0 | 7,5 |

### კალათბურთი. 1/8 ფინალი
22 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 801 | მაიამი-დეტროიტი | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| 802 | შარლოტი-ფილადელფია | 1,3 | 12,0 | 2,8 |
| 803 | იუტა-სიეტლი | 1,25 | 12,0 | 3,1 |
| 804 | სან ანტონიო-ფინიქსი | 1,2 | 12,0 | 3,5 |
| | 23 აპრილი | | | |
| 805 | ინდიანა-მილუოკი | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| 806 | ნიუ იორკი-ტორონტო | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 807 | ლეიკერსი-საკრამენტო | 1,05 | 12,0 | 7,5 |
| 808 | პორტლენდი-მინესოტა | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| | 24 აპრილი | | | |
| 809 | შარლოტი-ფილადელფია | | | |
| 810 | იუტა-სიეტლი | | | |

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

# გათამაშების წესები

თამაშში მონაწილე პირის მიზანია, გამოიცნოს ტირაჟში მოცემული სპორტული შეჯიბრების შედეგი, სპორტის სათამაშო სახეობებში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში". სიაში მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება შეტანილი, ქვითრის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო"-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

1. ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ;
2. შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება;
3. შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება);
4. მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში;
5. წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი;
6. არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი.

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიან სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა.

ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკოპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩაბარდეს „კროკო"-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვითარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო"-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თანხა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვითრებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო"-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო"-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ჩემპიონატი — II წრე — მესამედი

# ანონსი

დღეს ბათუმში ექვსეულის მეორე წრე იწყება. ქართული კალათბურთის საუკეთესო გუნდები ამ ზღვისპირა ქალაქში მოიყრიან თავს, ახლა იქიდან დაჰბერავს ვნებათაღელვის სიო...

ეს სიახლეა, შინაური კალათბურთი ვერის ბაღის სანახებს გასცდა...

მონაწილე გუნდები გუშინ ჩავიდნენ ბათუმში, დაბინავდნენ, კარგად დაისვენეს და საღამოხანს რიგრიგობით მოსინჯეს იქაური საკალათბურთო სარბიელი. სიტყვამ მოიტანა და აქვე ისიც ვთქვათ, რომ ამ დარბაზს ნაკლს ძნელად თუ მოუნახავს კაცი. ყველაფერი გემოვნებით არის გაკეთებული, ეგ არის, სულ მხოლოდ 800 დასაჯდომი ადგილია, რაც, ალბათ, შეჯიბრების ორგანიზატორებს თავსატეხს მოუმატებს, რადგან კალათბურთზე დასწრების მსურველთა რიცხვი სულ ცოტა, ორჯერ მეტი იქნება.

თუმცა ეს პრობლემა არამც და არამც არ ეხებათ გუნდებს. მათ ყველანაირი წინაპირობა აქვთ კალათბურთის სათამაშოდ.

აქ კი მივადექით მეცხრე ეროვნულის ჯერჯერობით მთავარ ინტრიგას, რომელიც დღითიდღე ღვივდება. ექვსეულის ბათუმური წრე ბევრ რამეს მოჰფენს ნათელს, მათ შორის იმას, თუ ვინ გააგრძელებს ბრძოლას ჩემპიონობისთვის.

ერთ-ერთი აუცილებლად იქნება გათამაშების ერთპიროვნული ლიდერი ბათუმის „ბასკო". ამ გუნდმა თბილისშივე გაინაღდა პლეი ოფში მოხვედრა და ახლა ხუთივე თამაშიც რომ წააგოს, დიდიდიდი მეორე ადგილზე ჩამოქვეითდეს. ეს ისე, ცნობისთვის, თორემ „ბასკო" რომ პირველობას ხელიდან არ გაუშვებს და საკუთარ კედლებში თავს არ შეირცხვენს, ამას ლაპარაკი არ სჭირდება.

ოთხეულში მოხვედრა, შეიძლება ითქვას, „აზოტსაც" განაღდებული აქვს. ამისთვის მას ორი თამაშის მოგებაც ეყოფა, მაგრამ საეჭვოა, ოთარ ხმელიძის გუნდი ამით დაკმაყოფილდეს. საქმე ისაა, რომ რუსთაველებს სტუ ჩასდგომია კვალში, რომელიც ყველა ღონეს იხმარს, რათა „აზოტს" გადაუსწროს. მოგეხსენებათ, მეორე და მესამე ადგილოსნები ოთხეულის პლეი ოფში ერთმანეთს დაუპირისპირდებიან. „აზოტი" და სტუ ამთავითვე პოტენციურ მეტოქეებად ითვლებიან და საბოლოოდ, ალბათ, ასეც მოხდება. საკითხავი ისღაა, პლეი ოფში რომელი გუნდი მოიპოვებს მოედნის უპირატესობას.

მესამე პოზიციაზე მოკალათებულ სტუ-ს თავის მხრივ ორი მოგებით მეტი აქვს „ვითაზე" და სდასუ-ზე. დიდად საეჭვოა, ტექნიკოსებმა ეს უპირატესობა ბათუმში გაანიავონ და ოთხეულში მოხვედრა სათუო გაიხადონ. პლეი ოფის მესამე საგზურიც სტუდენტებს უნდა ვუწინასწარმეტყველოთ, რადგან უახლოესი მდევრები — „ვითა" და სდასუ ერთი შეხედვით არ ჩანან ისეთი სიძლიერისა, სტუ-ს გადაახტნენ.

მაგას ვინ ჩივის, „ვითაც" და სდასუ-ც მეოთხეობაზეც ყაბულს არიან. პლეი ოფის მეოთხე საგზურსაც ალბათ, ამ ორიდან ერთ-ერთი ირგუნებს. ვინ იქნება ეს, შვიდგზის ჩემპიონი „ვითა" თუ სტუდენტური სდასუ — ამ კითხვას სწორედ ბათუმში გაეცემა პასუხი.

მეტოქეებს სადღეისოდ თანაბარი ქულები აქვთ, ჩემპიონი მხოლოდ ურთიერთშეხვედრათა უკეთესი ბალანსით უსწრებს მოსეშვილის გუნდს. ვფიქრობთ, გადამწყვეტი მნიშვნელობისა მათი პირადი შეხვედრა იქნება, არც ის დაგვავიწყდეს, რომ საბოლოო შედეგზე სხვა თამაშებიც არანაკლებ გავლენას იქონიებს.

„მაკაბი" სადღეისოდ მეექვსეზეა და ოთხეულში შეღწევის ყველაზე ნაკლები შანსი აქვს. მიუხედავად ამისა, ამ გუნდის ჩამოწერა ჯერ ნაადრევია, რადგან ბრძოლა ნებისმიერთან რომ ძალუძს, ეს უკვე არაერთხელ დაუმტკიცებია. აქ გასათვალისწინებელია ისიც, რომ „მაკაბის" ტრავმირებული ირაკლი ბერიშვილი დაუბრუნდება, ფეხი მოირჩინა კახა შენგელიამაც და ისიც მთელი ძალით გაიხარჯება გუნდის ინტერესებისთვის. სამაგიეროდ, „მაკაბის" სომეხი ლეგიონერი მამიკონ სარქისიანი აღარ ეყოლება. იგი სამშობლოში დაბრუნდა.

თითო-ოროლა ცვლილება სხვა გუნდებშიცაა. სტუ-მ დავით მოისწრაფიშვილი მოისაკლისა, „ბასკომ" — ირაკლი ბაქრაძე, რუსთავის „აზოტმა" ბათუმში პორტუგალიიდან დაბრუნებული ირაკლი ჯაფარიძე იახლა იმ იმედით, რომ ფედერაცია მას თამაშის ნებას დართავს. საბოლოოდ როგორ გადაწყვეტენ ჯაფარიძის საკითხს, ესეც მალე გახდება ცნობილი.

დანარჩენი ძველებურადაა — საომრად გამზადებულან გუნდები და დღეიდან დიდი ჯაჯგურიც ატყდება...

## ბათუმი. 22-27 აპრილი. შეხვედრათა განრიგი

| | |
|---|---|
| **22 აპრილი** | |
| სდასუ — სტუ | 14.00 |
| ვითა — აზოტი | 16.00 |
| მაკაბი — ბასკო | 18.00 |
| **23 აპრილი** | |
| აზოტი — მაკაბი | 14.00 |
| სტუ — ვითა | 16.00 |
| ბასკო — სდასუ | 18.00 |
| **24 აპრილი** | |
| ვითა — სდასუ | 14.00 |
| მაკაბი — სტუ | 16.00 |
| აზოტი — ბასკო | 18.00 |
| **26 აპრილი** | |
| სტუ — აზოტი | 14.00 |
| სდასუ — მაკაბი | 16.00 |
| ბასკო — ვითა | 18.00 |
| **27 აპრილი** | |
| მაკაბი — ვითა | 12.00 |
| აზოტი — სდასუ | 14.00 |
| სტუ — ბასკო | 16.00 |

# ქვემოთ ანტრაქტია

მეშვიდე-მეთორმეტე ადგილებისთვის მოთამაშე გუნდებმა გუშინ პირველი წრე დაასრულეს. სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდმა დაძაბულ ბრძოლაში 100:99 მოუგო „დინამოს", „შევარდენმა" იოლად სძლია სსუ-ს — 79:57, ხოლო ასკ-მ 58:53 დაამარცხა „გორი".

საქართველოს ჩემპიონატი — 5 ტური — VII-XII ადგილები

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| თსუ | 26 | 14 | 12 | 2248:2231 | 40 |
| დინამო | 27 | 11 | 16 | 2041:2177 | 37 |
| შევარდენი | 27 | 11 | 16 | 1913:2068 | 37 |
| სსუ | 27 | 5 | 22 | 1921:2449 | 32 |
| ასკ | 27 | 3 | 24 | 1933:2478 | 30 |
| გორი | 26 | 3 | 23 | 1547:1930 | 25 |

*გორს დაკლებული აქვს ოთხი ქულა, შევარდენს და დინამოს — თითო-თითო*

## საბერძნეთი

პლეი ოფის მეოთხედფინალი
(ორ მოგებამდე)

| | |
|---|---|
| აეკ | 1 |
| პანიონიოსი | 1 |

**პანიონიოსი 91:76 აეკ**

*გადამწყვეტი შეხვედრა დღეს გაიმართება*

## თურქეთი

პლეი ოფის პირველი წრე
(სამ მოგებამდე)

| | |
|---|---|
| გალათასარაი | 1 |
| *ტროი* | *3* |

**ტროი 83:72 გალათასარაი**

*დახრილი შრიფტით გამოყოფილი გუნდი გავიდა მეორე წრეში*

პლეი ოფში ერთმანეთს შეხვდებიან

ეფესი — ტელეკომი
თოფაში — ტროი
ულქერი — დარუშაფაკა
ძარშიაქა — ბეშიქთაში

*ეფესი სერიას 1:0-ით დაიწყებს*

პლეი ოფი

# ვინ?

## თვენახევარში ტრიუმფატორიც გამოჩნდება

*დღეს, 22 აპრილს, რეგულარული ჩემპიონატის დამთავრებიდან სამი დღის შემდეგ, დაიწყება ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის 54-ე სეზონის პლეი ოფი. ამ მარათონში გამარჯვებული ექვსი კვირის შემდეგ გახდება ცნობილი. პირველ წრეში კი პლანეტის უძლიერესი საკალათბურთო ლიგის 16 რჩეული ასე დაწყვილდა:*

### აღმოსავლეთ კონფერენცია

**ინდიანა პეისერზი (1) — მილუოკი ბაქსი (8)**
(ურთიერთშეხვედრები სეზონში 2-2)

**მაიამი ჰითი (2) — დეტროიტ პისტონზი (7)**
(ურთიერთშეხვედრები სეზონში 2-2)

**ნიუ იორკ ნიქსი (3) — ტორონტო რეპტორზი (6)**
(ურთიერთშეხვედრები სეზონში 3-1)

**შარლოტ ჰორნეტსი (4) — ფილადელფია 76 (5)**
(ურთიერთშეხვედრები სეზონში 3-1)

### დასავლეთ კონფერენცია

**ლოს ანჯელეს ლეიკერსი (1) — საკრამენტო კინგზი (8)**
(ურთიერთშეხვედრები სეზონში 3-1)

**იუტა ჯაზი (2) — სიეტლ სუპერსონიქსი (7)**
(ურთიერთშეხვედრები სეზონში 2-2)

**პორტლენდ თრეილ ბლეიზერსი (3) — მინესოტა ტიმბერვულვზი (6)**
(ურთიერთშეხვედრები სეზონში 2-2)

**სან ანტონიო სფურზი (4) — ფინიქს სანზი (5)**
(ურთიერთშეხვედრები სეზონში 2-2)

*პლეი ოფის პირველი წრე სამ მოგებამდეა*

# ფრისკოელ მეომრებს ახალი სარდალი ჰყავთ

მიმდინარე სეზონი ერთობ უიღბლო გამოდგა სან ფრანცისკოს გუნდ „გოლდენ სტეიტ ვორიორზისთვის". ფრისკოს (სან ფრანცისკოს ამერიკელები შინაურულად ასე უწოდებენ) „მეომრები" მხოლოდ იმით თუ დაიტრაბახებენ, რომ ეს ბოლო ორი სეზონია, წყნარი ოკეანის დივიზიონში ბოლოსწინა ადგილზე გადიან და უსუსურ „კლიპერსზე" უკეთესი შედეგი აქვთ, რაც, დაგვეთანხმებით, ბევრი ვერაფერი ნუგეშია კლუბისთვის, რომელსაც საკმაოდ მდიდარი ისტორია აქვს და სამჯერ მსოფლიოს უძლიერესი საკალათბურთო ლიგის ჩემპიონიც გამხდარა. კლუბის ხელმძღვანელობა თავს არ ზოგავს, რათა ამ კრიზისს თავი დააღწიოს. ხშირია კლუბში რეფორმები და ცვლილებები. აი, ახლაც სეზონი ხეირიანად არ დასრულებულა და „ვორიორზმა" უკვე მეორედ გამოცვალა მწვრთნელი. „მეომრებს" თავდაპირველად ფი ჯეი კარლესიმო თავკაცობდა. იგი 28 დეკემბერს მოხსნეს და მისი ადგილი გარი სენტ ჟანმა დაიკავა, რომელიც სეზონის დასრულებამდე ორი დღით ადრე თავისივე ნებით გადადგა და ადგილი მის ასისტენტად ორიოდე თვის წინ დანიშნულ დეივ კოუენსს დაუთმო, თავად კი კლუბის ადმინისტრაციაში დარჩა გენერალური მენეჯერის პოსტზე. მართალია, „გოლდენ სტეიტისთვის" ჩემპიონატი დამთავრებულია და რა შედეგს მოიტანს ეს ცვლილება, მხოლოდ მოგვიანებით, რამდენიმე თვის შემდეგ გამოჩნდება.

კოუენსს ყველა იმედით უყურებს. „მან თავისი საქმე მშვენივრად იცის და საამისო გამოცდილებაც საკმაოდ აქვს. როგორც მწვრთნელს, დეივს ბევრი კარგი თვისება აქვს. ვფიქრობ, ჩვენი გუნდი საიმედო ხელშია" — ასე ახასიათებს სენტ ჟანი თავის ყოფილ ასისტენტს. ცხადია, თავად კოუენსიც კმაყოფილია დაწინაურებით — „მე მშვენივრად ვიცნობ პერსონალს, გენერალურ მენეჯერს და მასთან მშვენიერი ურთიერთობა მაქვს. ვფიქრობ, არც ბიჭებს დასწყდათ გული. ჩემს ირგვლივ მხოლოდ კეთილგანწყობას ვგრძნობ და ბედნიერი ვარ, როცა ვიცი, რომ კლუბს ვჭირდები".

ვერ ვიტყვით, რომ კოუენსს მწვრთნელობაში ჭიპი აქვს მოჭრილი, მაგრამ 70-იანი წლების ლეგენდარულ ბოსტონელს ვერც გამოუცდელობას დასწამებს ვინმე. მას მოთამაშის კარიერის დამთავრებისთანავე ჩააბარეს უკვე დაუძლურებული „ბოსტონ სელტიქსი" 1978-79 წლების სეზონში, ოთხი წლის შემდეგ იგი ერთი სეზონით მიუბრუნდა აქტიურ კალათბურთს და 1982-83 წლებში „მილუოკიში" თამაშობდა. 1996-99 წლებში კოუენსი „შარლოტ ჰორნეტსს" ედგა სათავეში. იქიდან რატომ წავიდა დღემდე არავინ უწყის. თავად კოუენსიც ამ თემაზე არცთუ ხალისით ლაპარაკობს. სავარაუდოდ, მას ხელფასი ეცოტავა. უცნობია, რამდენს მიიღებს იგი „გოლდენ სტეიტში", მაგრამ თავად კმაყოფილია და იმედოვნებს, რომ შარლოტური ამბები აღარ განმეორდება.

# რეგულარული ჩემპიონატის ლიდერები

### ქულა საშუალოდ მატჩში

| | |
|---|---|
| 1. შაკილ ონილი (ლეიკერსი) | 29,7 |
| 2. ალენ აივერსონი (ფილადელფია) | 28,4 |
| 3. გრანტ ჰილი (დეტროიტი) | 25,8 |
| 4. ვინს კარტერი (ტორონტო) | 25,7 |
| 5. კარლ მელოუნი (იუტა) | 25,5 |
| 6. კრის ვებერი (საკრამენტო) | 24,5 |
| 7. გერი პეიტონი (სიეტლი) | 24,2 |
| 8. ჯერი სტეკჰაუზი (დეტროიტი) | 23,6 |
| 9. ტიმ დანკანი (სან ანტონიო) | 23,2 |
| 10. კევინ გარნეტი (მინესოტა) | 22,9 |
| 11. მაიკლ ფინლი (დალასი) | 22,6 |
| 12. კობი ბრაიანტი (ლეიკერსი) | 22,5 |
| 13. სტივენ მარბერი (ნიუ ჯერსი) | 22,2 |
| 14. რეი ალენი (მილუოკი) | 22,1 |
| 15. ალონზო მურნინგი (მაიამი) | 21,7 |
| 16. გლენ რობინსონი (მილუოკი) | 20,9 |
| 17. ანტუან უოლკერი (ბოსტონი) | 20,5 |
| 18. შარიფ აბდურ-რაჰიმი (ვანკუვერი) | 20,3 |
| 19. ელტონ ბრენდი (ჩიკაგო) | 20,1 |
| ედი ჯონსი (შარლოტი) | 20,1 |

### მოხსნა საშუალოდ მატჩში

| | |
|---|---|
| 1. დიკემბე მუტომბო (ატლანტა) | 14,1 |
| 2. შაკილ ონილი (ლეიკერსი) | 13,6 |
| 3. ტიმ დანკანი (სან ანტონიო) | 12,4 |
| 4. კევინ გარნეტი (მინესოტა) | 11,8 |
| 5. კრის ვებერი (საკრამენტო) | 10,5 |
| 6. შარიფ აბდურ-რაჰიმი (ვანკუვერი) | 10,1 |
| 7. ელტონ ბრენდი (ჩიკაგო) | 10,0 |
| 8. დეილ დევისი (ინდიანა) | 9,9 |
| 9. დევიდ რობინსონი (სან ანტონიო) | 9,6 |
| ჯერომ ვილიამსი (დეტროიტი) | 9,6 |

### პასი საშუალოდ მატჩში

| | |
|---|---|
| 1. ჯეისონ კიდი (ფინიქსი) | 10,1 |
| 2. სემ კასელი (მილუოკი) | 9,0 |
| ნიკ ვან ექსელი (დენვერი) | 9,0 |
| 4. ტერელ ბრენდონი (მინესოტა) | 8,9 |
| გერი პეიტონი (სიეტლი) | 8,9 |
| 6. ჯონ სტოქტონი (იუტა) | 8,6 |
| 7. სტივენ მარბერი (ნიუ ჯერსი) | 8,4 |
| 8. მაიკ ბიბი (ვანკუვერი) | 8,1 |
| 9. მარკ ჯეკსონი (ინდიანა) | 8,0 |

### ჩაჭრა საშუალოდ მატჩში

| | |
|---|---|
| 1. ედი ჯონსი (შარლოტი) | 2,76 |
| 2. პოლ პირსი (ბოსტონი) | 2,08 |
| 3. დარელ არმსტრონგი (ორლანდო) | 2,06 |
| ალენ აივერსონი (ფილადელფია) | 2,06 |
| 5. მუკი ბლეილოკი (გოლდენ სტეიტი) | 2,00 |
| ჯეისონ კიდი (ფინიქსი) | 2,00 |
| 7. ტერელ ბრენდონი (მინესოტა) | 1,89 |
| 8. გერი პეიტონი (სიეტლი) | 1,87 |
| 9. ქენდალ გილი (ნიუ ჯერსი) | 1,83 |
| 10. ჯონ სტოქტონი (იუტა) | 1,74 |

### დაფარება საშუალოდ მატჩში

| | |
|---|---|
| 1. ალონზო მურნინგი (მაიამი) | 3,72 |
| 2. დიკემბე მუტომბო (ატლანტა) | 3,28 |
| 3. შაკილ ონილი (ლეიკერსი) | 3,03 |
| 4. თეო რეთლიფი (ფილადელფია) | 3,00 |
| 5. შონ ბრედლი (დალასი) | 2,47 |
| 6. დევიდ რობინსონი (სან ანტონიო) | 2,29 |
| 7. ტიმ დანკანი (სან ანტონიო) | 2,23 |
| 8. რიფ ლაფრენცი (დენვერი) | 2,22 |
| 9. გრეგ ოსტერტაგი (იუტა) | 2,12 |
| 10. მარკუს კემბი (ნიუ იორკი) | 1,97 |

### თამაშიდან ჩაგდებული სროლები (%)

| | |
|---|---|
| 1. შაკილ ონილი (ლეიკერსი) | 57,4 |
| 2. დიკემბე მუტომბო (ატლანტა) | 51,2 |
| 3. ალონზო მურნინგი (მაიამი) | 55,1 |
| 4. რუბენ პატერსონი (სიეტლი) | 53,6 |
| 5. რაშიდ ვოლესი (პორტლენდი) | 51,9 |
| 6. დევიდ რობინსონი (სან ანტონიო) | 51,2 |
| 7. ვალი შჩერბიაკი (მინესოტა) | 51,1 |
| 8. კარლ მელოუნი (იუტა) | 50,9 |
| 9. ანტონიო მაკდაიესი (დენვერი) | 50,7 |
| 10. ოტელა ჰარინგტონი (ვანკუვერი) | 50,6 |

### სამქულიანები (%)

| | |
|---|---|
| 1. ჰუბერტ დევისი (დალასი) | 49,1 |
| 2. ჯეფ ჰორნაჩეკი (იუტა) | 47,8 |
| 3. მატ ბალარდი (ჰიუსტონი) | 44,6 |
| 4. როდნი როჯერსი (ფინიქსი) | 43,9 |
| 5. ალან ჰიუსტონი (ნიუ იორკი) | 43,6 |
| 6. ტერი პორტერი (სან ანტონიო) | 43,5 |
| 7. ლინდსი ჰანტერი (დეტროიტი) | 43,2 |
| 8. ტრეისი მიურეი (ვაშინგტონი) | 43,0 |
| 9. ჯონ ბერი (საკრამენტო) | 42,9 |
| 10. ვესლი პერსონი (კლივლენდი) | 42,4 |

### საჯარიმოები (%)

| | |
|---|---|
| 1. ჯეფ ჰორნაჩეკი (იუტა) | 95,0 |
| 2. რეჯი მილერი (ინდიანა) | 91,9 |
| 3. დარელ არმსტრონგი (ორლანდო) | 91,1 |
| 4. ტერელ ბრენდონი (მინესოტა) | 89,9 |
| 5. რეი ალენი (მილუოკი) | 88,7 |
| 6. პრედრაგ სტოიაკოვიჩი (საკრამენტო) | 88,2 |
| 7. დერიკ ანდერსონი (კლიპერსი) | 87,7 |
| ჯიმ ჯეკსონი (ატლანტა) | 87,7 |
| 9. სემ კასელი (მილუოკი) | 87,6 |
| მიჩ რიჩმონდი (ვაშინგტონი) | 87,6 |

დასაწყისი პირველ გვერდზე

# დაივიწყეთ ევროლიგა!

## ფიბამ სუპროლიგა მოიგონა

რას არ იტყვის გამწარებული კაცი. თუმც ყველა მწვრთნელი ხომ ერთნაირია და წაგებას, პირველ რიგში, მსაჯებს აბრალებს. დიდ პატ რაილის გაუკეთებია ეს და გერშონი ვინაა მასთან შედარებით, ეს საშუალება ხელიდან გაეშვა. განა გერშონმა არ იცის, შვიდი გუნდური ჯარიმის მერე ყველა პერსონალური საჯარიმო სროლებით რომ ისჯება? ან განა ის არ იცის, რომ სროლის მომენტში წესის დარღვევას აგრეთვე საჯარიმო სროლა მოჰყვება? ან განა ის არ უწყის, რომ „მაკაბის“ კალათბურთელები მატჩის ბოლოს შეგნებულად ჯარიმდებოდნენ, რათა დრო მოეგოთ (ბოლო ორ წუთში თელავიველები სამჯერ დაჯარიმდნენ ბოდიროგაზე, ორჯერ — კატაშზე და ერთხელ — რებრაჩაზე, რამაც „პანათინაიკოსს“ 12 საჯარიმოს სროლის საშუალება მისცა)? იცის, როგორ არა, მაგრამ ევროლიგის ფინალის წაგებაც რომ ძალიან მწარეა?! გერშონი ბოლოსკენ დამშვიდდა და თქვა: „ვულოცავ „პანათინაიკოსს“ და მის მწვრთნელს გამარჯვებას. ამ გუნდმა ჩვენზე აგრესიულად ითამაშა და ამიტომაც მოიგო. მეტოქეს არაფერში ვადანაშაულებ, სამაგიეროდ, პრეტენზია მაქვს მსაჯებთან. მათ ყველაფერი უნდა დაინახონ, რაც მოედანზე ხდება, ოღონდ არა ცალმხრივად.“

„პანათინაიკოსის“ მწვრთნელი ჟელკო ობრადოვიჩი პრესკონფერენციაზე ვითომ ზოგადად, მაგრამ სინამდვილეში კი გერშონის გასაგონად შეეხო მსაჯობას: „ჩავიხედოთ კალათბურთის წესებში, სადაც გარკვევითაა აღნიშნული: თამაშის წესების დარღვევა ისჯება პერსონალური საჯარიმოთი. „მაკაბი“ ბევრჯერ დაჯარიმდა ჩვენს წინააღმდეგ, რადგან დაცვაში სხვა გზა არ ჰქონდა.“

ობრადოვიჩმა მეოთხედ მოიგო ევროლიგა და ოთხჯერვე სხვადასხვა გუნდთან (1992 — ბელგრადის „პარტიზანი“, 1994 — ბადალონას „ხუვენტუდი“, 1995 — მადრიდის „რეალი“, 2000 — ათენის „პანათინაიკოსი“). ყველაზე პრესტიჟულ ევროთასს ამდენჯერ არავინ დაპატრონებია. ამის გამო რას განიცდითო, ჰკითხეს ობრადოვიჩს. მან უპასუხა: „როგორ შეიძლება, პირადი რეკორდი გუნდის გამარჯვებაზე წინ დააყენო. მთავარია, რომ „პანათინაიკოსმა“ ევროლიგა მოიგო, ჩემი მოთამაშეები ევროპის საკლუბო ჩემპიონები გახდნენ. აუცილებლად უნდა აღვნიშნო, რომ ეს წარმატება, პირველ რიგში, ჩემმა კალათბურთელებმა მოიპოვეს. მე კი მათ, უბრალოდ, დავეხმარე.“

კარგი დახმარება სცოდნია ობრადოვიჩს. „პანათინაიკოსის“ კალათბურთელებმა ფინალი მწვრთნელის მიერ არჩეული ორიგინალური ტაქტიკის მეშვეობით მოიგეს. საუკეთესო მოთამაშის და ლიდერის უკანა პლანზე გადაწევა, გადამწყვეტ მომენტებში კი თამაშში იმ კალათბურთელთა ჩართვა, რომელთაგან ბევრს არ ელიან — რა არის ეს, უბრალოდ გამართლება თუ ევროკალათბურთის სიახლე? ამას, ალბათ, დრო უკეთ გამოაჩენს. ფაქტი კი ისაა, რომ ობრადოვიჩმა შეგნებულად დაჩრდილა დეიან ბოდიროგა (რომელსაც ყველა შეჯიბრების უძვირფასესი მოთამაშის ტიტული აქვს, გარდა ევროლიგის „ოთხთა ფინალისა“). თავიდან ჟელკო რებრაჩა ალიდერა. მეორე ტაიმში იგიც გაიყვანა და თამაში ხან ფრაგისკოს ალვერტისს წააყვანინა, ხან — ოდედ კატაშს. მერე კი მთლად ლაჩვარი ჩასცა მეტოქეს, როცა თითქმის უცნობი, 18 წლის ფოცისი შეიყვანა.

გამართლების ფაქრსაც ნუ დავივიწყებთ: უკლებლივ ყველა მოთამაშემ ხასიათის სიმტკიცე გამოავლინა და მწვრთნელის ნდობა გაამართლა. რა არის ეს, ბედის ღიმილი? შეიძლება, მაგრამ ხომ იცით, ვისაც უღიმის ბედი? „პანათინაიკოსი“ ძლიარი გუნდია, ობრადოვიჩი — ძლიერი მწვრთნელი. ჰოდა, ბედი სხვასთან რატომ წავიდოდა?!

ცალკე აღსანიშნავია 18 წლის ფოცისი. ამ ბიჭს გარკვეული საევროლიგო გამოცდილება კი აქვს (თუკი მის ასაკში გამოცდილებაზე შეიძლება ლაპარაკი), მაგრამ სულ სხვაა, როცა ფინალის ყველაზე კრიტიკულ მომენტში მოედანზე შეგიყვანენ და შეტევების დაგვირგვინებას მოგთხოვენ. თავიდან ფოცისი ღელავდა და ორი საჯარიმო ააცილა, შემდეგ კი ჯერ სამქულიანი ჩააგდო, მერე კი ზედიზედ სამჯერ იყოჩაღა ფარქვეშ, თანაც ნათანიელ ჰაფმანთან და დალას კომეგისთან ჭიდილში. პრესკონფერენციაზე ობრადოვიჩს საგანგებოდ დაეკითხნენ ფოცისის თაობაზე. მწვრთნელმა ასე დაახასიათა შეგირდი: „ფოცისს კარგ თამაშს ვულოცავ. იგი დღევანდელი გამარჯვების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფიგურა იყო. ანტონისს შეუძლია, ევროპის უდიდესი ვარსკვლავი გახდეს, მე ვარ ის კაცი, ვისაც ამის ყველაზე მეტად სჯერა. ოღონდ ერთი პირობით: მალე დაამთავროს ამ წარმატების აღნიშვნა და როგორც აქამდე გულმოდგინედ შრომობდა, ისე გააგრძელოს. თუ ამას არ გააკეთებს, მთელი ცხოვრება „ამომავალ ვარსკვლავად“ დარჩება“.

ობრადოვიჩს არც სათადარიგოები დავიწყებია. მან „ოთხთა ფინალის“ ათკაციან შემადგენლობას მადლობა მოახსენა, მაგრამ იქვე დასძინა, ეს გამარჯვება კალაიძისს, კარაგუტისს, მაგლოსსა და ლინიადაკისსაც ეკუთვნით, სეზონის განმავლობაში მათ საკმაოდ იშრომესო.

გუშინაც მოგახსენეთ, რომ ობრადოვიჩმა „ოთხთა ფინალის“ უძვირფასესი მოთამაშის ტიტული, ფაქტობრივად, დაათმობინა დეიან ბოდიროგას (გუნდის ინტერესების და ჩემპიონობის სანაცვლოდ). ამიტომაც განსაკუთრებული სიძლიერით წარმოჩინდა „პანათინაიკოსის“ მეორე ლიდერი ჟელკო რებრაჩა. იუგოსლაველ ცენტრს საუკეთესო ფორმაში მყოფ მაკაბელი ჰაფმანის წინააღმდეგ მოუწია თამაშმა. ნაკლები გამოცდილების თუ შედარებით ნაკლები კლასის გამო, ჰაფმანმა ვერ მოახერხა რებრაჩას გაუვნებელ[illegible]ბა. თუმცა, რალა მარტო ჰაფმანმა: „მაკაბის“ კალათბურთელები ცხრაჯერ დაჯარიმდნენ იუგოსლაველის წინააღმდეგ. თავად რებრაჩამ კი ექვსი ნასროლი ორქულიანიდან ხუთი ჩააგდო, რასაც თოთხმეტიდან ათი გამოყენებული საჯარიმო დაუმატა. ფარიც ხომ რებრაჩასი იყო. მან რვა მოხსნა გააკეთა და, რაც მთავარია, ფარიდან ასხლეტილი ბურთის მოსაპოვებლად არც ერთი ორთაბრძოლა არ დაუთმია. რებრაჩა „ოთხთა ფინალის“ უძვირფასესი მოთამაშე გახდა და სავსებით სამართლიანადაც.

„კატაშს რჩევას ვკითხავ, მაგრამ განსაკუთრებულს არაფერს მოვთხოვ. მან უნდა ითამაშოს ისე, როგორც მთელი სეზონის განმავლობაში. მით უმეტეს, მას არავისთვის არაფერი აქვს დასამტკიცებელი, ისედაც კარგი კალათბურთელია“ — ეს ობრადოვიჩის მიერ ფინალის წინა დღეს ნათქვამი სიტყვებია. კატაშმა კი სეზონში საუკეთესო მატჩი ითამაშა. თავიდან მას ბევრი არაფერი გამოსდიოდა, მიამიტურადაც ცდებოდა, მაგრამ მწვრთნელმა იგი მაინც არ შეცვალა. კატაშმა ორი სამქულიანი ჩააგდო და ორივე უაღრესად მნიშვნელოვანი: პირველის შემდეგ (პირველი ტაიმის ბოლოს) ანგარიში გათანაბრდა, ხოლო მეორის შემდეგ „პანათინაიკოსს“ წამოწეული და თამაშის იშტაზე მოსული „მაკაბი“ მორალურად გატყდა.

უძვირფასესი მოთამაშის გარდა დასახელდა ევროლიგის „ოთხთა ფინალის“ სიმბოლური ხუთეულიც:

*არიელ მაკდონალდი (მაკაბი), ჰიდაიეთ თურქოღლუ (ეფესი), ფრაგისკოს ალვერტისი (პანათინაიკოსი), დეიან ბოდიროგა (პანათინაიკოსი), ჟელკო რებრაჩა (პანათინაიკოსი).*

ვინმე ხომ არ გაკლიათ? მეც დამაკლდა თავიდან ნათანიელ ჰაფმანი, მაგრამ ცენტრის პოზიციაზე რებრაჩა მასზე გაცილებით უკეთ გაისარჯა.

სხვადასხვა კომპონენტებში საუკეთესო მაჩვენებლები ჰქონდათ:

ქულა: ნათანიელ ჰაფმანი (მაკაბი) — 50, ჰუსეინ ბეშოქი (ეფესი) — 35, ჟელკო რებრაჩა (პანათინაიკოსი) — 35.

მოხსნა: ნათანიელ ჰაფმანი (მაკაბი) — 15, ჟელკო რებრაჩა (პანათინაიკოსი) — 15, ჰუსეინ ბეშოქი (ეფესი) — 15.

პასი: დამირ მულაომეროვიჩი (ეფესი) — 8, ჰიდაეთ თურქოღლუ (ეფესი) — 6, ენტონი გოლდვაიერი (ბარსელონა) — 6, იგნასიო როდრიგესი (ბარსელონა) — 6.

ჩაჭრა: როდრიგო დე ლა ფუენტე (ბარსელონა) — 6, ჰიდაიეთ თურქოღლუ (ეფესი) — 5, დამირ მულაომეროვიჩი (ეფესი) — 5.

დაფარება: ჰუსეინ ბეშოქი (ეფესი) — 4, ნათანიელ ჰაფმანი (მაკაბი) — 4.

ამით 2000 წლის ევროლიგის „ოთხთა ფინალი“ დასრულდა. ჩემპიონი ღირსეული გახდა. თანაც, „პანათინაიკოსი“ ევროპული კალათბურთის ისტორიაში შევა, რადგან უკანასკნელი ევროლიგის გამარჯვებული შეიქნა...

ნუ ღელავთ, ეს ტურნირი მომავალ სეზონშიც და შემდეგაც გაიმართება, ოღონდ მას „ევროლიგა“ აღარ ერქმევა. სალონიკში გაიმართა კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციის (ფიბა) დირექტორთა საბჭოს სხდომა, რომელმაც დაადგინა:

— შეეცვალოს სახელი ევროლიგის ტურნირს და მომავალი სეზონიდან ეწოდოს „ფიბა სუპროლიგა“.

ფიბამ აგრეთვე შეიმუშავა ახალი შეჯიბრების, „სუპროლიგის“ (არ აგერიოთ „სუპერლიგაში“) გათამაშების ფორმატი, დაადგინა მასში მონაწილეთა რაოდენობა (წლევანდელი ევროლიგისებრ — 24 გუნდი) და დათქვა ასპარეზობის ვადები. 2000-2001 წლების „სუპროლიგა“ 2000 წლის 19 ოქტომბერს დაიწყება და ესპანეთის ქალაქ ვიტორიაში „ოთხთა ფინალით“ დასრულდება 2001 წლის 4-6 მაისს. ახალი შეჯიბრების დეტალებს მოგვიანებით მოგახსენებთ, მანამდე კი ვთქვათ:

— „მშვიდობით, ევროლიგა, სალამი, სუპროლიგა!“



REUTERS სალონიკიდან



ფინალში, „მაკაბისთან“, ჟელკო ობრადოვიჩმა (მარცხენა ფოტოზე) დეიან ბოდიროგას ლიდერობაც დაათმობინა და „ოთხთა ფინალის“ უძვირფასესი მოთამაშის ტიტულიც, სამაგიეროდ, პირველად მოაგებინა ევროლიგა




REUTERS სალონიკიდან

„მაკაბის“ ქომაგებს ღმერთის იმედი ჰქონდათ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ინგლისი

XXXIV ტური

ბრედფორდი 4:4 დერბი

0:1 დელაპი (1), 0:2 შტრუპარი (6), 1:2, 2:2 უინდასი (11, 18), 3:2 ბიგრი (27 პ), 3:3 ბარლი (36 პ), 4:3 უინდასი (44), 4:4 ბარლი (52 პ)

ევერტონი 0:0 ლივერპული

I დივიზიონი

XLIII ტური

ჩარლტონი 1:1 პორტსმუთი

II დივიზიონი

XLIII ტური

უიკომბი 2:0 ნოტსი

III დივიზიონი

XLIII ტური

ნორთჰემპტონი 1:0 ჰალი

## თურქეთი

XXX ტური

ფენერბაჰჩე 1:0 სამსუნი

## შვედეთი

III ტური

ელფსბორგი — ჰელსინგბორგი 2:3; ჰალმსტადი — აიკ 4:0; ტრელებორგი — გოტებორგი 1:1; იორებრო — ფრიოლუნდა 6:0; იორგრიტე — ნორჩიოპინგი 2:0

## ჰოლანდია

XXXI ტური

ტვენტე 1:3 პსვ

ალკმარი 2:0 მაასტრიხტი

სიტარდი 3:0 უტრეხტი

## ბელგია

XXXII ტური

ლიერსი 1:0 ბრიუგე

## ჩეხეთი

XXVI ტური

იაბლონეცი 0:0 სლავია

## პოლონეთი

XXIV ტური

ზაბლეზიე 3:1 პოგონი

## საფრანგეთი

II დივიზიონი

XXXIV ტური

ლორიანი — გენგამი 0:2; ვალანსი — ლავალი 1:1; კანი — ნიმი 2:0; კაენი — ნიცა 1:1; ლე მანი — აიაჩო 1:1; ნიორი — შატორუ 1:0; ვასკეალი — ლუ-ანი 2:1; კრეტეი — ტულუზი 3:1; სოშო — ლილი 2:0

## ხაროზს ეინდჰოვენი

წუხელ ლხენის ჟამი დაუდგა „პსვ ეინდჰოვენს“ — ენსხედეში „ტვენტეს“ ძლევით ჰოლანდიის ჩემპიონობა ვადამდე, სამი ტურით ადრე გაინაღდა. ამ ფოტოზე აღბეჭდილი ეს ორი გახარებული კაცი, ტომით ბელგიელნი, პსვ-ს წარმატების სულისჩამდგმელთაგანნი არიან: ლუკ ნილისი კლუბის ერთ-ერთი მთავარი მეგოლეა, მწვრთნელმა ერიკ გერეტსმა კი ნამდვილად ივარგა — პირველივე ეინდჰოვენური სეზონი თავაწეულმა ჩაამთავრა.



REUTERS





REUTERS სილვერსტოუნიდან

## სილვერსტოუნის აღდგომა

*ბრიტანეთის დიდი პრიზი ფორმულა 1-ში წლეულს იქაურ აღდგომას დაემთხვა. სილვერსტოუნზე დიდი მედია-„დვიჟენიებია“ გაჩაღებული და ფოტომოდელი გოგოების ტევა არ არის. კამერები მუშაობს, თუმცა, ეს ლაღობანი ხვალ არავის ემახსოვრება, ძრავთა ბღუილი ყველაფერს გადაფარავს. აქვე სიტყვას ჩავაგდებთ — საუკეთესო წინასწარი დრო გერმანელმა ჰაინც ჰერალდ ფრენცენმა უჩვენა.*

## ლეილა მაოს ქვეყანაში

*ორმოცდაათი წელიწადია სახალხო კომუნისტურ ჩინეთში პროფესიული საკრივო ორთაბრძოლა არ გამართულა. და აი, პირველი ნაბიჯი ამ ღონიერი სპორტისა, თანაც ნაბიჯი ქალური და არა მამაკაცური. ბოლო დროს მოკრივედ ქცეული ლეილა ალი, ქალიშვილი დიად მუჰამედ ალისა, ჯერაც დაუმარცხებელ კრისტინა კინგს (ქვედა ფოტოზე მარჯვნივ) შეერკინება გუანჯოუში. ქალთა კრივის სიკარგისა რა გითხრათ, შოუ კი ფრიადია მოსალოდნელი.*



REUTERS გუანჯოუდან



სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ გურასაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი სოლომონ გულისაშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კონსტანტინე გოგიშვილი, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე უცხოური განყოფილება გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ზურაბ მეძველია, ვანო ოქროპირიძე; ინფორმაციის რედაქცია ზაზა ბენიძე, დავით გულუა, ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის განყოფილება გიო აზვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კაზურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია http://www.opentext.org.ge/sarbieli